ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
30 ნოემბერი **სამშაბათი** 2010
№282 (13270) ფასი 60 თეთრი

## ჩვენ მეორე ტაიმი მოვიგეთ!

ინტერვიუ რიჩი დიქსონთან გვ. 14




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრების შავი ორშაბათი

გვ. 9

## ტორერო ბარსამ რეალი ხარივით მოკლა




# 5:0

## განსაკუთრებულის განსაკუთრებული მარცხი

გვ. 13




## გრინიალური

რეალი საქართველოს ნაკრების წევრმაც გაამწარა

## ჯაფარიძე ნაუშვეს

### ნავიდა თუ გაუშვეს?

გვ. 2



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲖᲔ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲐᲠᲐ ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲗᲐᲜ

ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს საქართველოს ნაკრები გაისად, 26 მარტს ხორვატიასთან საშინაო მატჩით განაახლებს. მანამდე ჩვენს ეროვნულს კიდევ ერთი მატჩი შეიძლება ჰქონდეს. 9 თებერვალი ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის დადგენილი თარიღია. ამ დღეს ამხანაგური თამაშის გამართვის ორგანიზებაზე კარგა ხანია, მუშაობს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დეპარტამენტი. შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად, უნგრეთთან საგარეო ამხანაგური შეხვედრის ჩატარების საკითხი განიხილებოდა, მაგრამ შეთანხმება არ შედგა. მერე ლუქსემბურგთან თამაშის ვარიანტი გაჩნდა, მაგრამ მათ პირი გვიტეხეს. ბოლოს სლოვაკეთთან სტუმრად შეხვედრაზე ითქვა, მაგრამ არც ეს გამოვიდა და ამჟამად სხვა წინადადებები განიხილება. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ამის თაობაზე დავეკითხეთ.

*„სამწუხაროდ, სლოვაკეთთან 9 თებერვალს თამაში გამოირიცხა. ახლა სხვა წინადადებებს განვიხილავთ. შემოთავაზება გვაქვს აზიიდან, იქ თებერვალში არაერთი ტურნირი იმართება. გარდა ამისა, შემოგვთავაზეს კვიპროსზე თამაში, მაგრამ არა ადგილობრივ ეროვნულ გუნდთან. თებერვალში კვიპროსზე ჩავა ევროპის ან აზიის ერთ-ერთი ნაკრები და ამ გუნდთან სპარინგს გვთავაზობენ. ამ საკითხზე მუშაობას ვაგრძელებთ და რამდენიმე დღეში ყველაფერი გაირკვევა“*, - გვითხრა **ზვიად სიჭინავამ**.

**დავით ცაბაძე**

● ოლიმპი

# ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ ᲝᲚᲘᲛᲞᲖᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ



რუსთავის “ოლიმპი” ვიცე-პრეზიდენტმა **ზურაბ ჯაფარიძემ** დატოვა. ინფორმაცია გუშინ შეგვატყობინეს, მაგრამ ჯაფარიძესთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

სხვათა შორის, “ლელოს” შაბათის ნომერში ასეთ შესაძლებლობაზე უკვე ვწერდით: *“კიდევ ერთი ჭორი რუსთავის „ოლიმპში“ ქვემო ქართლის გუბერნატორის დავით კირკიტაძის დაბრუნებას უკავშირდება. კაცი საგუბერნიო საქმეებზე არანაკლებად საფეხბურთო კლუბებზე („ოლიმპი“ და „სიონი“) ზრუნავდა. თუმცა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან „ოლიმპის“ გამოვარდნის შემდეგ გუნდზე გული აიცრუა და რუსთავის სტადიონზე მხოლოდ დუბლების მატჩებზე დადის, უმაღლესლიგელთაგან კი ქუთაისის „ტორპედოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ შეხვედრას დაესწრო.*

*ხმები, თითქოს “ოლიმპს” ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ჯაფარიძე ტოვებს და კირკიტაძე ბრუნდება, ჯაფარიძემ კატეგორიულად უარყო: „დათო შეძლებისდაგვარად ყოველთვის გვეხმარებოდა, მაგრამ „ოლიმპში“ ოფიციალურად მის მოსვლაზე ლაპარაკი ტყუილია და არც მე გადამიწვეტია ფეხბურიდან წასვლა - ეს აბსურდია“.*

გავიდა ორი დღე და ჩვენი ინფორმაცია მაინც გამართლდა – ჯაფარიძე კლუბის ვიცე-პრეზიდენტი აღარაა. თუმცა გაურკვეველია წავიდა თუ გაუშვეს - კლუბში გვითხრეს, რომ თავად გადადგა, მეორე წყარო კი ამტკიცებს, თითქოს კლუბის მეპატრონე **ჯოზეფ ქეიმ** გაათავისუფლა.

გუშინ კლუბში ოფიციალურ განმარტებებს არ აკეთებდნენ, მაგრამ ვიცე-პრეზიდენტის გადადგომა დაგვიდასტურეს.

ჯაფარიძის ნაცვლად “ოლიმპს” დროებით მმართველი დირექტორი **ბადრი ქარქაშაძე** გაუძღვება – სხვათა შორის, ასე იყო “ოლიმპის” დაარსების დროსაც, როდესაც ჯაფარიძე კლუბს ოფიციალურად ვერ ეხმარებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები

# ᲮᲣᲑᲣᲢᲘᲐ ᲐᲘᲬᲘᲐ, ᲙᲐᲘᲡᲔᲠᲘ ᲓᲐᲘᲬᲘᲐ

გუშინ უცხოეთში ჩვენებურთა ორმა გუნდმა ითამაშა. რუმინეთში, **აკაკი ხუბუტიას** „გაზ მეთანმა“ „უნივერსიტატიას“ უმასპინძლა და 1:0 მოუგო. ქართველი მცველი, რომელსაც სლოვენიასთან 17 ნოემბრის ამხანაგურ მატჩში ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდა, ძირითად შემადგენლობაში იყო, სრულადაც ითამაშა და მატჩის მიწურულს კინაღამ ანტიგმირად იქცა. აკაკიმ 89-ე წუთზე პენალტი „აიკიდა“, რისთვისაც ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. თუმცა მისმა თანაგუნდელმა **კოზმინ ვუტჩუმ** თერთმეტმეტრიანი მოიგერია და გუნდს გაამარჯვებინა მოაპოვებინა. ამ მოგებით ხუბუტიას გუნდი ცხრილში საფეხურით დაწინაურდა და ახლა მეხუთე ადგილზეა.

თურქეთის სუპერლიგაში „კაისერისფორმა“, რომელსაც **შოთა არველაძე** წვრთნის, წაუგებელი სერია შეწყვიტა. ამ თამაშამდე მოქმედი ჩემპიონი „ბურსასფორი“ კაისერელებთან ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფდა. შოთას გუნდმა სტუმრად ბოლომდე კი იბრძოლა, მაგრამ... ეროვნული ნაკრების მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი** სასტარტო შემადგენლობაში იყო და 90 წუთი ითამაშა. 83-ე წუთამდე მატჩი უგოლოდ მიმდინარეობდა, ორწუთიან მონაკვეთში კაისერელებმა ორი ბურთი გაუშვეს და 0:2 წააგეს. ამ მარცხის შედეგად ჩვენებურთა გუნდი 28 ქულით მესამე ადგილზე დარჩა.

**დავით ცაბაძე**

● ინტერვიუ რამაზ მუმლაძესთან

# ᲛᲣᲛᲚᲐᲫᲔᲡ ᲘᲦᲑᲐᲚᲘ ᲖᲣᲠᲒᲘᲗᲐᲪ ᲔᲩᲕᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲘᲗᲐᲪ



**ბედის ირონიაა – რამაზ მუმლაძემ ქუთაისის “ტორპედო” ისე დატოვა, ერთი შეხვედრა ვერ მოიგო. მალე “ოლიმპში” დანიშნეს და მეათე ტურის შემდეგ რუსთაველებს არათუ არ წაუგიათ, ჩემპიონატში გალიდერდნენ კიდეც – თექვსმეტი ტურის შემდეგ 33 ქულა დააგროვეს და “ზესტაფონს” ორი ქულით გაუსწრეს.**

**- ჯერ საშინელი უიღბლობა ინვნიეთ, “ოლიმპში” კი იღბალი გწყალობთ.**

- ფეხბურთში უიღბლობაც ჩვეულებრივი მოვლენაა და იღბალიც. წლეულს ორივე ერთად ვიწვნიე. ქუთაისში საერთოდ ვერ ვიგებდით. ახალი გუნდის შექმნა რთულია, საამისოდ მოკლე ვადა მქონდა, ხალხი კი შედეგს ითხოვდა. გული იმაზე დამწყდა, რომ “ვისოლის” ხელმძღვანელობა კეთილგანწყობილი იყო და მათი იმედები ვერ გავამართლე. ვერც ქუთაისელი გულშემატკივარი გავახარე. გულწრფელად ვამბობ, მე ნაწყენი იმათზეც არ ვარ, ვინც ჩემს გაშვებას ითხოვდა. გულშემატკივარს უმაღლესში გადასვლა გაუხარდა, პირველივე ტურიდან წარმატებაზე ოცნებობდა და ეს ვერ ავუსრულე. სიმართლე გითხრათ, დღემდე ვერ ვხვდები, ქუთაისში რა მოხდა. ცუდი გუნდი არ გვყავდა, მაგრამ გამტანის პრობლემა იყო. ალბათ, შერჩევაც დაგვიანდა, სასურველი ფეხბურთელების უმრავლესობა გადანაწილებული იყო, მაგრამ დრო იყო საჭირო და ვითარება გამოსწორდებოდა. არა უშავს, მე ხომ ვიცი, რომ “ტორპედოში” სული და გული ჩავაქსოვე.

“ოლიმპში” კი კარგად მომზადებული გუნდი ჩავიბარე და დღევანდელი წარმატებაც ამან განაპირობა. ან რა გასაკვირია, გუნდს ჩემამდე გამოცდილი მწვრთნელი ავარჯიშებდა. ჩემპიონი გუნდის გაძლოლა კი შედარებით იოლი იყო. მიხარია, რომ ყველაფერი ნორმალურად მიდის. საკმაოდ კარგად ვართ დაკომპლექტებულები და კარგი პირობებიც გაგვაჩნია. ვფიქრობ, გუნდი სამომავლოდ კიდევ უფრო უკეთესი იქნება.

**- თქვენი მოსვლის შემდეგ “ოლიმპის” სათამაშო სქემაც შეიცვალა: მოდებაძე თავდასხმის ფლანგზეა, ბერიაშვილი კი ცენტრში – ადრე პირიქით იყო.**

- გადაადგილებებს თამაშის ტაქტიკური მონახაზიდან გამომდინარე ვაკეთებთ. მთავარი ისაა, რომ ორივე ფეხბურთელი სასარგებლოა.

**- “ზესტაფონისა” და “დინამოს” მოულოდნელი ჩავარდნით კარგად ისარგებლეთ და ჩემპიონობის შანსი გაგიჩნდათ.**

- ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო “ზესტაფონთან” მოგება, რომლის შემდეგაც პირველ ადგილზე გადავინაცვლეთ. წლეულს წინაზე უფრო დაძაბული ჩემპიონატია, რაც ქუთაისის “ტორპედოსა” და ფოთის “კოლხეთის” დამსახურებაა. მართალია, “კოლხეთს“ უჭირს, მაგრამ ამ გუნდთან მოგება გარანტირებული არავის აქვს. ლიდერთა ჯგუფშიც დაძაბული ბრძოლაა. ჩვენ გალიდერების შანსს ველოდით და გამოვიყენეთ კიდეც.

**- კონკურენტ “ზესტაფონისგან” განსხვავებით, “ოლიმპს” მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს. ალბათ, ზამთარში ფეხბურთელებს დაიმატებთ.**

- ჯერ პირველი ეტაპია დასამთავრებელი და ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. თუმცა ეს საკითხი წამოიჭრება, რადგან ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს სათადარიგოთა გრძელი სკამი სჭირდება. ვფიქრობ, ზამთარში რამდენიმე ფეხბურთელით გავძლიერდებით.

**- გაძლიერება რომელ პოზიციაზე გჭირდებათ?**

- ამაზე ლაპარაკი ჯერ არ მსურს.

**- დაარსების დღიდან, ყოველ ნახევარ წელიწადში “ოლიმპის” შემადგენლობა იცვლება, რაც პრობლემას უპირველესად მწვრთნელს უქმნის. ხელმძღვანელობას შემადგენლობის შენარჩუნება თუ მოსთხოვეთ?**

- ეს საკითხი არც ჩემზეა დამოკიდებული და, სხვათა შორის, გარანტიას ხელმძღვანელობაც ვერ მოგვცემს. ფეხბურთში მოვლენები ისე იცვლება, წინასწარ ლაპარაკი ძნელია. თუმცა შემადგენლობის შენარჩუნება და გაძლიერება უკეთესი იქნება.

**- დღევანდელ ვითარებაში რეალურ საჩემპიონო კონკურენტად ვის მიიჩნევთ?**

- “ოლიმპს”, “დინამოსა” და “ზესტაფონს”, რად უნდა ამას ლაპარაკი. ახლა ეს სამია გამოკვეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ ოცი ტურია სათამაშო და არაა გამორიცხული, ამ ბრძოლაში მეოთხე გუნდიც ჩაერიოს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲐᲫᲔ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲐ

რუსულმა ვებგვერდმა onedivision.ru-მ რუსეთის პირველ დივიზიონში ბოლო სეზონის რჩეულები გამოავლინა. ასეთთა სიაში სულ 12 ფეხბურთელი მოხვდა, მათში საუკეთესო კი „ვოლგას“ თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძეა.

*„პირველი დივიზიონის ფეხბურთელებს შორის ერთ მატჩის საშუალო შეფასებით ოთარ მარცვალაძეს საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა და ამიტომაც 12-ეულში პირველია. გაისად ოთარი „ვოლგასთან“ ერთად პრემიერლიგაში იასპარეზებს და წარმატებებს ვუსურვებთ“*, - წერს საიტი onedivision.ru.

მარცვალაძეს ლიგაში საუკეთესოდ მიიჩნევს „ვოლგას“ მთავარი მწვრთნელი **ომარ თეთრაძეც**.

*„ოთარი კიევის „დინამოში“ იყო, მაგრამ ტრავმების გამო ვერ ათამაშდა. ამასთან, ის მძიმე ავარიაშიც მოყვა და ამის გამოც გარკვეული პერიოდი გაუცდა. ჯერ კიდევ „ანჟიში“ მუშაობისას, როცა პირველ დივიზიონში ვიყავით, დავუკავშირდი მარცვალაძეს და გუნდში გადმოსვლა შევთავაზე. კიევის „დინამოში“ იყო, მაგრამ იმდენად უნდოდა თამაში, რომ დაგვთანხმდა, „ანჟიში“ ჯერ იჯარის წესით თამაშობდა, შემდეგ კი უკრაინული კლუბიდან მისი კონტრაქტი მთლიანად გამოვისყიდეთ.*

*„ვოლგაში“ ოთარი ჯერ კიდევ მაშინ გავუშვი იჯარით, როცა „ანჟიში“ ვმუშაობდი. მახაჩყალაში ხშირად მეუბნებოდნენ, რომ ბევრი ქართველი მყავდა. ამას ოთარიც ხედავდა, ყველაფერი აწონ-დაწონა და თავადვე გამოთქვა მახაჩყალიდან წასვლის სურვილი. მარცვალაძე ნამდვილი პროფესიონალია და ეს მხოლოდ ვარჯიშებსა და მატჩებში კი არა, მოედნის მიღმაც ჩანს. მას ლიდერის თვისებები აქვს. „ვოლგაში“ თამაშისას ოთარი მხოლოდ აწმყოზე კი არა, მომავალზეც ფიქრობდა. მას დაუფიქრებლად დავასახელებდი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად, რასაც დიდი შრომის ხარჯზე მიაღწია“.*

მარცვალაძესა და მის გუნდზე ერთ ინფორმაციასაც გაგაცნობთ, რომელიც „სპორტ ექსპრესმა“ გუშინ გაავრცელა. ამ ცნობის თანახმად, „ვოლგას“ უკვე ხუთი ახალწვეული ჰყავს სამწლიანი კონტრაქტებით, ხუთეულში ერთადერთი ქართველია - ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა**, რომელმაც ნალჩიკის „სპარტაკი“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. ამავე ვებგვერდის ცნობით, „ვოლგასთან“ სამწლიანი კონტრაქტები გააფორმეს იმ ფეხბურთელებმა, რომლებიც ნიჟნინოვგოროდელთა გუნდში განათხოვრების წესით თამაშობდნენ. ასეთებში ორი ჩვენებურია - ოთარ მარცვალაძე და **გოჩა ხოჯავა**.

**დავით ცაბაძე**

## ᲛᲐᲡᲚᲐᲩᲔᲜᲙᲝ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ



კვირას 74 წლისა გარდაიცვალა ცნობილი რუსი მეკარე და ტელეკომენტატორი ვლადიმირ მასლაჩენკო. შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ ამ ამბის საგანგებოდ აღნიშვნა სულ არ იყო საჭირო - მსოფლიოში ბევრი ვეტერანი სპორტსმენი კვდება, „ლელო“ კი ყველას გარდაცვალებას ნამდვილად ვერ გამოეხაურება, მაგრამ მასლაჩენკო ქართული ფეხბურთისთვის უცხო ფიგურა ნამდვილად არ იყო. ვინ იცის, წლების განმავლობაში რამდენჯერ უთამაშია თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ, ანდა რამდენჯერ გამოსულა ქართველი ფეხბურთელების მხარდამხარ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და ბოლოს, ჩვენი გუნდის რამდენი თამაშის რეპორტაჟი წაუყვანია ამა თუ იმ ტელეარხზე. ტენდენციური იყოო... შეიძლება, იყო კიდეც.

ის გახსოვთ, მსაჯზე განაწყენებულ ოთარ გაბელიაზე „საფეხბურთო მიმოხილვაში“ რაღაც მწარე რომ თქვა, მეორე დღეს კი მელორ სტურუამ გაზეთში რეპლიკა დაუწერა: „ფინტი ეთერში“. აუჰ, როდინდელი ამბავი გაგვახსენდა...

**ილია ბაბუნაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

სახელმწიფო და ფეხბურთი

# დიდი სახელმწიფო პროექტი: სანახაობა ხალხისთვის

## ის, რაზეც ჯერ მხოლოდ სახელისუფლებო კულუარებში ლაპარაკობენა

ქართულ ფეხბურთში და, კერძოდ, ეროვნულ ჩემპიონატში, უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. პირველი დარტყმა „კოლხიდას" პროექტის გაუქმება იყო. ფინანსური პრობლემების გამო მედიაკომპანიამ ეროვნული ჩემპიონატის გაშუქება ველარ მოახერხა და იძულებული გახდა, პროფლიგასთან 20-წლიანი კონტრაქტი გაეწყვიტა. არადა, "კოლხიდა" ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა.

შემდეგ "დომინოს პრინციპი" ამოქმედდა და სეზონის მსვლელობისას უმაღლესი ლიგის რამდენიმე კლუბი (თბილისის "დინამო", "სამტრედია", ზუგდიდის "ბაია" და ფოთის "კოლხეთი") უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდა. ზუგდიდი და ფოთი წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს, იგივე სურთ დინამოელებსაც. უფულობისა და უსპონსორობის გამო, უმნიშვნელოვანესი საფეხბურთო ორგანიზაცია პროფლიგა, ფაქტობრივად, გაუქმდა; სპონსორს ვერც ფეხბურთის ფედერაცია პოულობს.

მოკლედ, სეზონის დაწყებამდე არსებული მოლოდინი - წლეულს ბოლო წლების ყველაზე საინტერესო ჩემპიონატი ჩატარდებოდა, გვეყოლებოდა მდიდარი კლუბები და ტრიბუნები ოდნავ მაინც შეივსებოდა - არ გამართლდა. ცხადია, ეს გასულ წელს ეროვნული ნაკრების კატასტროფული გამოსვლის შედეგიც იყო — ფეხბურთში ფულის დაბანდება სამარცხვინოდაც ითვლებოდა.

ამის ფონზე უცნაურად ჩანდა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** განცხადება, რომ მსაჯების ანაზღაურება გაიზრდებოდა - უმაღლეს ლიგაში არბიტრებისა 1100 ლარამდე, ლაინსმენებისა კი 650-მდე, ნაცვლად დღევანდელი 290 და 190-ისა. ცხადია, ასეთი ანაზღაურება მსაჯობას ფასს შემატებს, მაგრამ სპონსორების კატასტროფული დეფიციტისა და ბიზნესმენებისგან ქართული ფეხბურთის იგნორირების პირობებში ფულს ვინ გადაიხდიდა? მით უფრო, რომ ფედერაციის პრეზიდენტმა უმაღლესი ლიგის კლუბების საწევრო გადასახადების შემცირებაც გადაწყვიტა - მომავალ სეზონში 40 ათასი ლარის ნაცვლად, 20 ათასი დაწესდება, მომავალში კი საერთოდ გაუქმდებაო. მსაჯებს კი თანხებს სწორედ საწევროებიდან უხდიდნენ.

სიჭინავამ განმარტა, რომ 2011 წლის იანვრიდან მსაჯების დაფინანსებას მთავრობას შესთავაზებს. ახლახან იგივე თქვა, როდესაც პროფლიგის ფუნქციები ფედერაციას დაუბრუნა – მთავარობის დახმარებას ველოდებითო.

როგორც ჩანს, მთავრობა ფეხბურთის განვითარებაზე სერიოზულად დაფიქრდა. ამას საქმეში ჩახედული ის ადამიანებიც გვიდასტურებენ, რომლებიც ხელისუფლებას წარმოადგენენ. მათი მონათხრობიდან ასეთი სურათი გამოიკვეთა: არჩევნები მოახლოვდა და, ცხადია, ხელისუფლებას განსაკუთრებით ჩავარდნილი სფეროების ამოქაჩვა სურს. იმ დროს, როდესაც საოპერო ხელოვნებას უდიდეს ყურადღებას უთმობენ, ფეხბურთი აშკარად დაჩრდილულია. ამას ხელისუფლებაშიც მიხვდნენ და მისი განვითარება-გაპიარების მექანიზმზე მუშაობენ.

ვერ გეტყვით, პროექტი საბოლოოდ რა სახეს მიიღებს და როდის განხორციელდება, დღეისთვის კი მისი მონახაზი ასეთია: უახლოეს პერიოდში ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ცნობილ ვეტერანს უმაღლესი ლიგის კლუბს ჩააბარებენ, შემდეგ იგივე მოხდება მეორე, მესამე კლუბში და ეს იქნება პროცესის დასაწყისი.

ვეტერანთა მისვლას კლუბების დაფინანსება უნდა მოჰყვეს, შემდეგ კი ცნობადი სახეების ჩამოყვანა: მაგალითად, 37 წლის ვეტერან ბრაზილიელს ბოლნისში მიიწვევენ, ერთ ფრანგს - "სამტრედიაში", ესპანელს - "დინამოში" და ამით ახალგაზრდობას სტადიონზე მიიზიდავენ.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში კლუბების ხელმძღვანელები შეკრიბეს. ოფიციალურად შეკრების მიზეზი ეს იყო – მათ პროფლიგის ფუნქციების ფედერაციისთვის გადაბარება აცნობეს და ახალ რეალობაში გაარკვიეს. არაოფიციალურად კი, ერთ-ერთმა მონაწილემ გაგვიმხილა, რომ კლუბები სახელმწიფოსგან 7 მილიონი ლარის გამოყოფას ელოდნენ, რაც უმაღლესის ათივე მონაწილეზე თანაბრად უნდა გადანაწილებულიყო, ანუ 700 ათასი თითოეულზე. მართალია, გუშინ მოლოდინი არ გამართლდა, მაგრამ კულუარებიდან გამოსული ხმებიც ადასტურებს, რომ კლუბების დაფინანსების პროექტი არსებობს, რაც ახლახან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმაც** განაცხადა.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია თბილისის "დინამოს" მოფერიანება, რომელიც ამჟამად პატრონს ეძებს. როგორც შევიტყვეთ, ის ერთ-ერთ გავლენიან ბიზნესმენს შესთავაზეს. თუმცა მის გვარს არ გვიკონკრეტებენ.

ეს ყველაფერი გაკეთდება იმის ხაზგასასმელად, რომ სახელმწიფო ფეხბურთსა და ხალხზე ზრუნავს. თუმცა უცნობია, ეს ყველაფერი ზვიად სიჭინავას ფედერაციაში ყოფნის დროს მოხდება თუ მისი წასვლის შემდეგ – სავარაუდოდ, შემდეგი წლიდან. რამდენად რეალურია ამ გეგმის შესრულება? ფული თუ იქნება, ვეტერანი ვარსკვლავების ჩამოყვანას წინ ვერაფერი დაუდგება, მაგრამ სტადიონზე ხალხის მოზიდვაც ხომ უდიდესი პრობლემაა? თუმცა ტელევიზიის დიქტატურის პირობებში ეს ადვილია.

დღევანდელ ხელისუფლებაში პიარტექნოლოგიების მცოდნეებიც არიან და ეროვნული პირველობის გაპიარებაც უპრობლემოდ მოხდება: მისი გამუდმებული გაშუქებით ხალხს ინტერესი გაეღვიძება. გაიხსენეთ ბათუმში ამას წინათ გამართული საოპერო საღამო, ზღვისპირა ქალაქში ჩასვლის სურვილი ოპერასთან მწყრალად მყოფ ადამიანებსაც გაუჩნდათ – ქართველები ხომ ფეხის ხმის ამყოლი ხალხი ვართ და სწორედ ეს მიიზიდავს სტადიონზე ახალგაზრდობას.

ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ საქართველოს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც ფეხბურთის როლს აცნობიერებდნენ. ვერსად ნახავდით ისეთ ემოციურ საფრანგეთის პრეზიდენტ **ჟაკ შირაქს**, როგორც 1998 წელს, როდესაც "მამლები" მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ: ვერც ისეთ **ანგელა მერკელს**, როგორც ის 2010 წლის სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატზე იყო;

ვერავინ ვერასდროს შეკრებს თბილისში იმდენ ამომრჩეველსა თუ მომიტინგეს, რამდენიც 1981 წლის 13 მაისს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე "დინამოს" დიუსელდორფულმა გამარჯვებამ შეკრიბა. სხვათა შორის, ელისეს მინდვრებზე ფაშისტებისგან გათავისუფლება 300 ათასმა ფრანგმა იზეიმა, მსოფლიოს ჩემპიონობა კი — 600 ათასმა?!

ფეხბურთის სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობასა და გავლენაზე მრავალი ფაქტი მიუთითებს: 1969 წელს ჰონდურასი და სალვადორი მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად შეხვდნენ: პირველი მატჩი ჰონდურასმა 1:0 მოიგო, განმეორებითი კი 0:3 წააგო. მეორე მატჩის შემდეგ სალვადორში სტუმართა გულშემატკივრები და ფეხბურთელები სცემეს და დროშები დაუწვეს. ამას ჰონდურასში საპასუხო რეაქცია მოჰყვა და 130 ათასი სალვადორელი სამშობლოში გაიქცა.

მაშინ გამარჯვებული ბურთების სხვაობით არ ვლინდებოდა. მესამე მატჩს მექსიკის დედაქალაქმა მეხიკომ უმასპინძლა, სალვადორმა 3:2 გაიმარჯვა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა. ჰონდურასმა მეზობელ ქვეყანასთან დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა, საპასუხოდ კი სალვადორი თავს დაესხა. ომი მხოლოდ საერთაშორისო ძალების ჩარევით შეწყდა და ეს კონფლიქტი ისტორიაში "საფეხბურთო ომის" სახელით შევიდა.

ფეხბურთს ქვეყნების შერიგებაც შეუძლია. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მსვლელობისას აშშ-ს მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა **ელ გორმა** ფიფას მაშინდელ პრეზიდენტ **ჟოაო ავლანჟს** ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებაში დახმარება სთხოვა. ეს დახმარება კი ისრაელ-პალესტინის ნაკრებების ამხანაგური მატჩის ორგანიზებაში გამოიხატებოდა.

რაღა შორს მივდივართ, 1995 წელს ვლადიკავკაზის "ალანია" რუსეთის ჩემპიონი ჩვენების დახმარებითაც გახდა. ქართველი ფეხბურთელების დამსახურებაა, ქართულ-ოსური დაძაბულობა მაშინ მნიშვნელოვნად რომ განიმუხტა. ერებს შორის შერიგების მიზნით, თბილისში "ალანია"-თბილისის "დინამოს" ამხანაგური მატჩი გაიმართა და მას **ედუარდ შევარდნაძე** და ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი **ახსარბეკ გალაზოვი** დაესწრნენ.

ამ ემოციების გამომწვევ მიზეზებსა და ფეხბურთის მაგიურ ძალას დიდი ხანია პოლიტტექნოლოგები აანალიზებენ. ამიტომაც არ გვიკვირს, ჩვენს ხელისუფლებაში ფეხბურთის გამოყენებას რომ აპირებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ჩემპიონატი



21 დეკემბერს ვიტ ჯორჯია ტიტულის დაცვას შეეცდება

# 300 ათასი ქართულ ფეხბურთს

## სასარგებლო არითმეტიკა კლუბებისთვის: 40-20

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** 25 ნოემბერს საგანგებო პრესკონფერენციაზე გვამცნო, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგა სეზონის ბოლომდე უფუნქციოდ დარჩა, მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება-ჩამთავრება კი ფეხბურთის ფედერაციამ ითავა. ითქვა ისიც, რომ სიჭინავა 29 ნოემბერს კლუბების წარმომადგენლებთან ერთად შექმნილ ვითარებაზე იმსჯელებდა და საშეჯიბრო კომიტეტის შესახებაც ბევრი რამ გაირკვეოდა.

გუშინ, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ზემოთ ნახსენები თათბირი შედგა, რომელიც საათზე მეტხანს გაგრძელდა. შეკრება-შეხვედრას უმაღლესი ლიგის ყველა და პირველი ლიგის რამდენიმე კლუბის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

გადაწყდა, რომ ეროვნულ ჩემპიონატს ყველა ლიგაში და თასის გათამაშებას უხელმძღვანელებს საშეჯიბრო კომიტეტი, რომელიც უკვე ჩამოყალიბდა ფეხბურთის ფედერაციაში. უმაღლეს ლიგასა და დუბლების გათამაშებას **ნოდარ კაკულია** უხელმძღვანელებს, პირველ ლიგას - **რევაზ შენგელია**, ჭაბუკთა ლიგას კი **ირაკლი ოყრომიძე** და **არტურ საკიანი** გაუძღვებიან. შევიტყვეთ ისიც, რომ ჩემპიონატისა და სათასო მატჩების წინა დღეს თამაშების მომსახურე მსაჯებისა და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელების ვინაობა, მატჩების ჩატარების დრო და ადგილი, ამიერიდან ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე შეგვიძლია ვიხილოთ.

*„ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ჩატარება ფეხბურთის ფედერაციამ ითავა. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ საშეჯიბრო კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს ჩემპიონატის ჩატარებას ყველა ლიგასა და თასის გათამაშებაში. ამ საშეჯიბრო კომიტეტში იგივე კადრები, პროფესიონალები იმუშავებენ და მათთვის ეს ახალი საქმე არ იქნება",* - „ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ზვიად სიჭინავამ.

გუშინდელ თავყრილობაზე სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაც მიიღეს. მიმდინარე სეზონის დაწყებამდე, უმაღლესი ლიგის კლუბს საწევროს სახით 40 ათასი ლარი უნდა გადაეხადა ფედერაციაში. ეს თანხა სრულად თითო-ოროლა კლუბს აქვს შეტანილი, ზოგ კლუბს კი ნახევარი ანაც მხოლოდ გარკვეული ნაწილი. დღის წესრიგში დადგა, საწევროს განახევრების ან შემცირების საკითხი.

*„სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი ქართული ფეხბურთის განვითარებაა და ამის დასტურად კიდევ ერთი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა. სახელმწიფო უწყებებთან კონსულტაციების შედეგად გადავწყვიტეთ, რომ მიმდინარე ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის კლუბებს საწევრო თანხა გაუნახევრდეთ. შესაბამისად, კლუბებს 40 ათასის ნაცვლად, 20 ათასი ლარის გადახდა მოუწევთ. შესაბამისად, თუ რომელიმე კლუბს 20 ათას ლარზე მეტი უკვე შეტანილი აქვს, ზედმეტი თანხა უკან დაუბრუნდებათ. დარჩენილ ნახევარს, ანუ თითო კლუბზე 20-20 ათასი ლარის გადახდა, სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო.*

*უფრო მეტიც, ჩვენი სურვილია, უმაღლესი ლიგა უფრო პრესტიჟული და ელიტური იყოს. გვინდა, მომდევნო სეზონიდან უმაღლეს ლიგაში საერთოდ აღარ იყოს საწევრო შესატანი. დუბლების პირველობაზე, პირველ ლიგასა და ჭაბუკთა ლიგებში კი საწევრო ისევ დარჩება. ამ საკითხზე კლუბებთან კიდევ გვექნება კონსულტაციები და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებთ",* - გვითხრა ფედერაციის პირველკაცმა.

ამ საკითხების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მსაჯების გასამრჯელოს თემა. ჯერ ერთი, მსაჯებს ბოლო 2-3 თვის კუთვნილი თანხა აქამდე არ მიუღიათ. მეორეც, გაიზრდება თუ არა, ახალი წლიდან უმაღლეს ლიგაში მომსახურე მსაჯების ანაზღაურება. სიჭინავას ამ თემაზეც დავეკითხეთ.

*„ფედერაციის პროექტია, 2011 წლიდან უმაღლეს ლიგაში არბიტრის ანაზღაურება ათას ლარამდე გავზარდოთ. მოიმატებს თანამსაჯების ჰონორარიც, მაგრამ ჯერ ზუსტი ოდენობა არ დაგვიდგენია. ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაზე მალე ზამთრის შესვენება დაიწყება, ამ საკითხზე ვიმსჯელებთ და მერე გეტყვით ციფრებს, თუ რა თანხით გაიზრდება მსაჯების ჰონორარი.*

*რაც შეეხება მსაჯების დავალიანებას, ამ საკითხშიც სახელმწიფო გვეხმარება და ამ კვირის ბოლომდე მსაჯები კუთვნილს აუცილებლად მიიღებენ.*

*ამ საკითხების მოგვარებაში სახელმწიფო დაგვეხმარება. მადლობის მეტი რა გვეთქმის, 300 ათას ლარამდეა ეს დავალიანება".*

გუშინ გაირკვა ისიც, რომ სუპერთასის მატჩი რუსთავის „ოლიმპსა" და „ვიტ ჯორჯიას" შორის 21 დეკემბერს გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# ორი ქართველი მწვრთნელის მარცხი

ერთი ტურიც და, აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში ზამთრის პაუზა დადგება. ჩემპიონატი, სადაც ყველაზე მეტი ქართველი ლეგიონერი თამაშობს, ბუნებრივია, ჩვენი ყურადღების საგანია. მე-15 ტურის ცენტრალური მატჩი „ტოფიკ ბაჰრამოვზე" გაიმართა, სადაც 2,5 ათასი მაყურებელი დაესწრო „ყარაბახისა" და „ნეფთჩის" შეხვედრას. გუნდებში, მოგეხსენებათ, თითო ქართველი ირიცხება, მაგრამ თუ **გიორგი ადამია** „ყარაბახში" გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, **ლადო ბურდულს** ბევრი უკლია ამ სტატუსამდე „ნეფთჩიში", თანაც ახლა ტრავმირებულია და გუნდს ვერაფრით ეხმარება. „ნეფთჩიმ" ბურდულის გარეშეც (მაგრამ მსაჯების დახმარებით) იმარჯვა - 1:0. ადამია თამაშში 59-ე წუთზე ჩაერთო. „ნეფთჩი" 34 ქულით პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერია, ხოლო „ყარაბახი" 21 ქულით მხოლოდ მეშვიდეა.

**კახა ცხადაძის** „ინტერი" მოულოდნელად სტუმრად დამარცხდა აუტსაიდერ „მუღანთან" - 0:1. გამარჯვებულთა რიგებში ერთადერთი ქართველი ირიცხება, თუმცა **დავით სვანაძე** ამ მატჩში სათადარიგო იყო. ცხადაძემ კარი **გიორგი ლომაიას** ანდო, პირველი წუთებიდან ითამაშა **ილია კანდელაკმა**, რომელიც ბოლოს **კახა მჟავანაძემ** შეცვალა, **დავით ოდიკაძე** უფრო ადრე, 78-ე წუთზე გამოცვალეს. „ინტერი" 27 ქულით მე-4 ადგილზეა, ცხადაძის გუნდი ლიდერს უკვე 7 ქულით ჩამორჩება.

ამ ტურში აზერბაიჯანში მომუშავე მეორე ქართველმა სპეციალისტმაც წააგო. **რევაზ ძოძუაშვილის** „თურანი" შინ 1:2 დამარცხდა აზალ-თან. მასპინძელთა ფორვარდმა **გიორგი ჭედიამ** თავიდან ბოლომდე ითამაშა, ხოლო **შალვა ფირცხალავა** 69-ე წუთზე შევიდა მოედანზე. სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ნუგზარ კვირტიამ.** აზალ-ი 31 ქულით მე-3 ადგილზეა, „თურანს" კი 11 ქულა აქვს და მეათეა.

„ბაქი"-"ხაზარის" შეხვედრამ (1:1) უქართველოდ ჩაიარა, თუმცა სტუმართა ნახევარმცველი **დავით იმედაშვილი** უკვე მატჩის განაცხადშია (ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ). აუტსაიდერთა დაპირისპირებაში „განჯამ" 1:0 აჯობა მოიკ-ს, რომლის ქართველი გოლკიპერი **ამირან გვენცაძე** დისკვალიფიცირებულია. მასპინძელთა შორის 38-ე წუთზე **ზურაბ ძამსაშვილი** გამოჩნდა, 90-ეზე კი - **გიორგი სეთურიძე**, **ლევან მდივნიშვილი** სათადარიგო იყო. „განჯა" 19 ქულით მე-8 ადგილზეა.

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფმა" მოულოდნელად დაკარგა ქულები „კოსტულენისთან" მატჩში - 0:0. გუნდის ვეტერან ქართველ კაპიტანს არ უთამაშია. „დაჩიამ" 5:0 მოუგო ბენდერის „დინამოს", მაგრამ ქართველებს თავი არ გამოუჩენიათ.

ბელარუსის ჩემპიონატში ქართველები მხოლოდ „ბრესტში" თამაშობენ, 33-ე ტურში ამ გუნდმა შინ 2:0 მოუგო „ბელშინას". მატჩის ბოლო წუთზე მცველი **ზაზა ჭელიძე უჩა გოგოლაძემ** შეცვალა. „ბრესტმა" 46 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა, რადგან ამ ტურით იქ საფეხბურთო პირველობა დასრულდა.

დანიაში **დავით დევდარიანის** „ორჰუსი" საკმაოდაა წინ გაქრილი, თუმცა მაინც ცუდია, რომ ქართველის გუნდმა ქულების განიავება დაიწყო - „ბრონშოისთან" სტუმრად 0:1 წააგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქართული სერიალები: მთავრდება და გრძელდება




...ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ტური უნდა ყოფილიყო; თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში იმას არ მივიღებდით, რომ XVI ტურით ჩვენი მწვრთნელები, ფეხბურთელები და მსაჯები ნოემბერსაც „ჩაამთავრებდნენ" და „დამსახურებულ" შვებულებამდე ორი კვირაღა დარჩებოდათ. საბედნიეროდ, კლიმატურ პირობებს ვერავინ ვერაფერს დააბრალებდა: ჰოდა, ალბათ, ამ დროისათვის მართლაც უჩვეულოდ თბილ ამინდს უნდა მივაწეროთ, რომ წინა ორი ტურისაგან განსხვავებით ჩვენი ფეხბურთელების შედეგიანობას დასაწუნი არაფერი ჰქონდა. ჰო, ნამდვილად ასეა: ჩვენს ჩემპიონატში ისე დავეჩვიეთ ტურის ხუთ შეხვედრაში ოთხი ან ხუთი გოლის ხილვას, უკვე მართლაც „გამორჩეულ მოვლენად" მიგვაჩნია კონკრეტულ ტურში 14 ან 15 გატანილი ბურთი. ბოლოს და ბოლოს, სწორედ გასულ ტურში დაფიქსირდა ამ ჩემპიონატის (ჯერჯერობით) სარეკორდო ანგარიში: გათამაშების ერთ-ერთმა რეალურმა ფავორიტმა „ზესტაფონმა" მართლაც რომ არ დაინდო „სამტრედია" და მეტოქის კარში 7 უპასუხო გოლი გაიტანა! ამას გარდა, ძალიან დიდი შანსი იყო, კიდევ ერთი „განსაკუთრებული მოვლენა" მომხდარიყო: ტურის უკანასკნელ შეხვედრაში „ტორპედოს" რომ გაემარჯვა, სეზონის დაწყებიდან პირველად მოხდებოდა, როდესაც ხუთივე მატჩს მასპინძლები მოიგებდნენ; თუმცა „ვიტ ჯორჯიამ" ამჯერადაც სიურპრიზი შემოგვთავაზა, ოღონდ, წინა ტურისაგან განსხვავებით, ეს გუნდი ახლა უკვე მხოლოდ და მხოლოდ ქებას იმსახურებს; ისე როგორც ტურში თავგამოჩენილი კონკრეტული ფეხბურთელებიც: ზოგმა „ჰეთ თრიქი" შეასრულა, ერთდროულად სამმა მოთამაშემ - „დუბლი"; ეგ კი არა, ზოგმა „მხოლოდ" ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ იმდენად ეფექტურად შეასრულა ყოველივე, ერთდროულად რამდენიმეს რომ „გადანონიდა". მოკლედ, სათასო მეოთხედფინალების წინ ჩატარებული ტური ურიგო არ ყოფილა; თანაც მეოთხედფინალში მოსპარეზე ფეხბურთელებმაც... ველარ იცუღლუტეს და მსაჯებისგან ყვითელი ბარათები შეგნებულად არ მიუღიათ. თუმცა მხოლოდ ჩვენი ფეხბურთელებისგან ნუ გვიკვირს მსგავსი „ტაქტიკურ-სტრატეგიული" გათვლები: სულ ახლახან არ იყო, მადრიდის „რეალის" ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა (ჩაბი ალონსო, სერხიო რამოსი) მთელი მსოფლიოს დასანახად, აშკარად და გამიზნულად რომ მიიღეს გაფრთხილებები „აიაქსთან" მატჩში. უფრო ზუსტად, იმ შეხვედრის არბიტრს... თავი გააძევებინეს, რის გამოც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო და ყოვლად უმოტივაციო მატჩს გამოტოვებენ; სამაგიეროდ, თებერვლიდან გადამწყვეტი პაექრობები რომ დაიწყება, ალონსოც და რამოსიც დისკვალიფიკაციის ზღვარზე აღარ იქნებიან...

...შესავალში აღვნიშნეთ XVI ტურის „განსაკუთრებულობის" შესახებ; ფაქტობრივად, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ სწორედ ამ ტურით დამთავრდა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის „ლეგალური" საქმიანობა. თითქმის 7 წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატს სწორედ ეს ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა და უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლოდროინდელ პრობლემებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მთლიანობაში მხოლოდ და მხოლოდ დადებითად უნდა შეფასდეს პროფლიგის მუშაობა. თუმცა ეს მაინც ცალკე საუბრის თემაა და სამიოდ დღეში ამ საკითხზე ბევრად დაწვრილებით ვიმსჯელებთ; მანამდე კი გასული ტურის მნიშვნელოვანი მოვლენები გავიხსენოთ...

## ტაქტიკა და აგრესია

XVI ტურის მიმოხილვა კი... უკანასკნელი მატჩით გვინდა დავიწყოთ, მეტნაკლებად მოულოდნელი შედეგით რომ დასრულდა. „ვეტერინართა" მიმართ სიმპათიის მიუხედავად, მაინც ვფიქრობდით, რომ ამ წყვილში ფავორიტის სტატუსი მასპინძლებს უნდა ჰქონოდათ. ჯერ ერთი, „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელად **გია გიგატაძის** დანიშვნის შემდეგ ქუთაითურთა საყვარელმა გუნდმა მართლაც მშვენიერი, რვამატჩიანი წაუგებელი სერია შემოგვთავაზა. არანაკლებ შთამბეჭდავი იყო „ტორპედოს" მეკარის **ომარ მიგინეიშვილის** პირადი მაჩვენებელიც, ვინც ამ ტურამდე საკუთარ კარს ზედიზედ 6 მატჩი მშრალად ინახავდა. ცალკე საუბრის თემაა სატურნირო მოტივაციაც: გამარჯვების შემთხვევაში „ტორპედო" ხომ IV ადგილზე აინაცვლებდა, — ეს კი, ჩემპიონატის დაწყებიდან საუკეთესო შედეგი იქნებოდა. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი პირიქით მოხდა: მიგინეიშვილის „მშრალი" სერიაც შეწყდა, მთლიანად გუნდისაც (სეზონში პირველი საშინაო მატჩი რომ წააგო) და მეოთხე ადგილზე კი... „ვიტ ჯორჯია" გადავიდა. ეს შეხვედრა „პირველი არხის" ეთერით გადაიცემოდა და „ტორპედოსა" და „ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირებას თვალი ვინც მიადევნა, ალბათ დაგვეთანხმება, რომ სტუმართა გამარჯვება აბსოლუტურად კანონზომიერი იყო. **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა განსაკუთრებით ორგანიზებულად და ტაქტიკურად სწორედ მეორე ტაიმში ითამაშა; ჯერ იყო და გუნდის ლიდერების, **ირაკლი კლიმიაშვილისა და ჯაბა ლიპარტიას** ეფექტური კომბინაცია ამ უკანასკნელის მართლაც ჩინებული გოლით დასრულდა. მატჩის დამთავრებამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი, მაგრამ ანგარიშის შეცვლის შანსი (თან, რამდენჯერმე) სტუმრებს უფრო ჰქონდათ: **ბესიკ ჩიმაკაძის, დავით ჯანელიძისა** და ირაკლი კლიმიაშვილის სახიფათო დარტყმების შემდეგ მიგინეიშვილი ყოჩაღობდა, თორემ „ვიტ ჯორჯია" ბევრად უფრო დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვებდა. არადა, თითქოსდა ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ მათი შეტევები ქაოსურ ხასიათს ატარებდა და თუ მაინც ახერხებდნენ მეტოქის კარისკენ დარტყმას, მაშინ უკვე „ვეტერინართა" მეკარე **გიორგი ძაძამია** თამაშობდა საიმედოდ. სხვათა შორის, ამ სეზონში „ტორპედოს" ერთ-ერთი მთავარი მინუსი დაბალი შედეგიანობაა: უმაღლესი ლიგის გუნდებიდან მეტოქეთა კარში ყველაზე ნაკლები, 8 გოლი აქვს გატანილი! მართალია, დაცვის ხაზი და მეკარე უაღრესად საიმედოდ თამაშობენ, მაგრამ ამბიციური მიზნების მქონე გუნდს შეტევაში ბევრად უფრო აგრესიული და, რაც მთავარია, მრავალფეროვანი თამაში მოეთხოვება. აი, „ვიტ ჯორჯიას" მთავარი ნაკლი კი (როგორც ადრეც აღვნიშნეთ) არასტაბილურობაა, თუმცა გუნდის საშუალო ასაკიდან გამომდინარე ეს ფაქტი არავის უნდა გაუკვირდეს. ყველაფრის მიუხედავად, „ვიტ ჯორჯიამ" დაიმსახურა ლიდერთა სიახლოვეს ყოფნა და, რაც მთავარია, წინა ტურში „სპარტაკთან" მოულოდნელი (პლუს, „ცოტა" უცნაური) მარცხის მერე სრული რეაბილიტაცია მოახდინა. რაღა თქმა უნდა, ქების სიტყვებით უნდა მოვიხსენიოთ გუნდის მთავარი მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილი, ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ სწორი ტაქტიკა რომ აირჩია; თუმცა, ფეხბურთელებსაც ნუ დავუკარგავთ გარჯას, მწვრთნელის დავალებები თითქმის იდეალურად რომ შეასრულეს. ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია „ვეტერინართა" უდავო ლიდერი ჯაბა ლიპარტია, — ლამაზი გოლის გარდა, საერთოდაც, ერთობ დამაჯერებლად რომ თამაშობდა. სხვათა შორის, ჩემპიონატში „ტორპედომ" ბოლოს 24 სექტემბერს წააგო და მეტოქედ მაშინაც „ვიტ ჯორჯია" ჰყავდა...


ტურის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ჯაბა ლიპარტია (ბურთით)
არჩილ გეგენავას ფოტო

## ზამთრის ჩემპიონები?

ნებისმიერ მწვრთნელს „თავისი გუნდი" სჭირდებაო, ხშირად გვსმენია და ამის ნათელი დადასტურებაა გამოცდილი სპეციალისტის **რამაზ მუმლაძის** „ოლიმპში" მუშაობა. თავად განსაჯეთ: თვე-ნახევარია, რაც მუმლაძე რუსთავის კლუბის მთავარი მწვრთნელია და ამ დროის განმავლობაში გუნდმა შვიდთამაშიანი წაუგებელი სერიაც „გამოაცხო" (17 ქულაც არ არის ურიგო შედეგი); მოკლედ, „ოლიმპი", ფაქტობრივად, „საჩემპიონო გრაფიკით" ასპარეზობს და თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, ზამთრის პაუზას გუნდი ცხრილის სათავეში მყოფი შეხვდება. ანუ, „ზამთრის ჩემპიონობას" სიმბოლური მნიშვნელობა კი აქვს, მაგრამ ბუნდესლიგისა არ იყოს, ჩვენთანაც საბოლოო გამარჯვებული, უმეტესწილად, სწორედ ის გუნდი ხდება, გათამაშების პირველ ეტაპზე ყველაზე მეტ ქულას რომ მოაგროვებს. არადა, იმავე მუმლაძეს ამ ჩემპიონატში როგორი სტარტი ჰქონდა, ყველას კარგად გვახსოვს: მისი ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ტორპედო" შვიდ შეხვედრაში ვერ ახერხებდა გამარჯვებას; თუმცა „ოლიმპში" აბსოლუტურად საპირისპირო შედეგი აქვს და ამ ეტაპზე თუ რომელიმე გუნდი უნდა მივიჩნიოთ ჩემპიონობის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატად, „ზესტაფონთან" ერთად, რაღა თქმა უნდა, „ოლიმპიც" უნდა ვახსენოთ; აი, „დინამოს" რაც შეეხება, ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბს ისედაც „მარადიული ფავორიტის" სტატუსი აქვს მინიჭებული...

გასულ ტურში „ოლიმპს", ფაქტობრივად, უბრძოლველად ერგო 3 ქულა: სამწუხაროდ, ფოთის „კოლხეთმა" ზედიზედ მეორე შეხვედრაში კვლავაც დუბლშემადგენლობით იასპარეზა და ასეთ ვითარებაში, სტუმრებისგან სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას არც არავინ ელოდა. გულახდილად ვამბობთ: მართლაც საწყენია, რომ უმაღლეს ლიგაში „ხმაურით" დაბრუნებული „კოლხეთი" სატურნირო ცხრილის ფსკერისკენ ნელ-ნელა კი არა, ჩქარ-ჩქარა მიექანება. ბოლოდროინდელ შედეგებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: ზედიზედ 5 წაგება პლუს ბურთების კატასტროფული სხვაობა (1-15)...

...VIII ტური იყო, „ოლიმპის" თავდამსხმელმა **ირაკლი მოდებაძემ** „სამტრედიის" კარში 3 გოლი რომ გაიტანა; და აი, ფაქტობრივად, ორი თვის ლოდინის შემდეგ ჩემპიონატში მეორე „ჰეთ-თრიქიც" ვიხილეთ: „ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ნიკოლოზ გელაშვილმა** მეტოქის კარში 3 გოლი გაიტანა! საინტერესო დამთხვევაა, მაგრამ ჩემპიონატის მეორე „ჰეთ-თრიქი" კვლავაც... „სამტრედიის" წინააღმდეგ ჩატარებულ მატჩში მოხდა; თუმცა ამ ორი იმერული კლუბის დაპირისპირებაში სხვა გამოსარჩევი მომენტებიც იყო: ჯერ ერთი, ამ ჩემპიონატის სარეკორდო ანგარიში (7:0) დაფიქსირდა; „ზესტაფონი" და „სამტრედია" ჩემპიონატში მეექვსედ შეხვდნენ ერთმანეთს და ექვსივეჯერ „ზესტაფონმა" გაიმარჯვა; ამას გარდა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს გელაშვილის თანაგუნდელთა გარჯაც: **ჯაბა დვალმა** და **რატი წინამძღვრიშვილმა** „სამტრედიის" კარში ორ-ორი გოლი გაიტანეს; საერთოდაც, **გია გეგუჩაძის** გუნდი ჩემპიონატში ყველაზე შედეგიანია და ეს, რაღა თქმა უნდა, „ზესტაფონის" ფორვარდთა „ტრიოს" (გელაშვილი, დვალი, წინამძღვრიშვილი) დამსახურებაა. სხვათა შორის, წინამძღვრიშვილმა ზედიზედ მეორე შეხვედრაში შეასრულა „დუბლი" და ორივეჯერ... შეცვლაზე შესულმა მოახერხა. ისე, „ზესტაფონი" ამ მატჩის წინ წყვილში აშკარა ფავორიტად კი მიიჩნეოდა, მაგრამ მაინც ძნელი სათქმელია, თუ როგორ წარიმართებოდა მოვლენები, სტუმრებს ორივე ცენტრალური მცველი რომ არ გამოჰკლებოდათ: გამოცდილი **სპარტაკ გოგიაც** და ახალგაზრდა **გიორგი ხუმარაშვილიც** მოედნიდან გააძევეს...

## მიდიან და მოდიან...

„დინამოს" ირგვლივ ამ ბოლო დროს ისეთი აჟიოტაჟია ატეხილი, არ შეიძლებოდა ფეხბურთელების ასპარეზობას არ დასტყობოდა. ყველა „უბედურებასთან" ერთად, არცთუ იოლ მეტოქესთან მატჩში „დინამოს" დროებითი მწვრთნელი **თამაზ სამხარაძეც** ვერ ხელმძღვანელობდა (დისკვალიფიცირებული იყო) და გუნდს ერთ-ერთი „ძირძველი" დინამოელი **გელა ჭანტურია** მოძღვრავდა. არადა, ამ ტურამდე „დინამოს" ერთობ წარუმატებელი პერიოდი ჰქონდა: „მარადიულმა ფავორიტმა" სამ შეხვედრაში მხოლოდ და მხოლოდ 2 ქულის აღება მოახერხა! დავუმატოთ ამას ზემოთ ნახსენები მეტოქის ფაქტორიც და ამის გამოც არის „სიონთან" მოპოვებული გამარჯვება ერთობ ფასეული. ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „დინამომ" მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლო გოლების გატანა ამ ბოლო დროს აშკარად უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბებულ „სიონთან". გამორჩეული მატჩი ჩაატარა „დინამოს" ნიჭიერმა ფორვარდმა **მათე ვაწაძემ** — ეფექტური გოლიც გაიტანა და მეორე გოლშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო. ვაწაძე საქართველოს ჩემპიონატს მალე დატოვებს და კარიერას რუსეთში გააგრძელებს; იმედი დავიტოვოთ, რომ იქ მაინც აღარ შეაწუხებს ქრონიკული ტრავმები და საკუთარ შესაძლებლობებს ჩვენზე ბევრად ძლიერ ლიგაშიც სრულად გამოავლენს. არადა, ვაწაძემ ამ სეზონში მხოლოდ და მხოლოდ მეორე გოლი გაიტანა: ჩემპიონატის სტარტზე „ზესტაფონთან" რომ თავი გამოიჩინა, იმის მერე, ფაქტობრივად, სამთვე-ნახევარი გავიდა და ახლაღა შეძლო „დინამოს" მაისურით წარმატების მიღწევა. მიზეზი, რაღა თქმა უნდა, ყველამ კარგად ვიცით - პერმანენტული ტრავმები, ამ ახალგაზრდა თავდამსხმელს კარიერის დასაწყისიდანვე რომ თან სდევს...

ვაწაძე თუ მალე დაემშვიდობება საქართველოს ჩემპიონატს, სამაგიეროდ კვლავაც გრძელდება „დაბრუნების ტენდენცია"; აი, ახლაც, გასულ ტურში ერთდროულად ორი დაბრუნება ვიხილეთ: „ოლიმპის" შემადგენლობაში მეორე ტაიმში **რევაზ ბარაბაძე** გამოჩნდა, „სპარტაკში" კი მისი მოგვარე **მიხეილ ბარაბაძე.** სამწუხაროდ, „ოლიმპელი" ბარაბაძე, ვაწაძის მსგავსად, ტრავმებითაა გატანჯული და „კოლხეთთან" მატჩშიც დაშავდა; რაც შეეხება დანიური „ჰიკისა" და საფრანგეთის „რუანის" (ორივე გუნდი თავიანთ ქვეყნის ჩემპიონატში დაბალ ლიგებში გამოდის) ყოფილ ფეხბურთელ მიხეილ ბარაბაძეს, მართლაც მშვენიერი დასაწყისი გამოუვიდა: საქართველოს ჩემპიონატში ოთხწლიანი პაუზის მერე დაბრუნებულმა შემტევმა მეტოქის კარში „დუბლი" შეასრულა და თავის გუნდს უაღრესად საჭირო 3 ქულა მოუტანა. სხვათა შორის, „სპარტაკს" უკანასკნელი საშინაო მატჩი სამი თვის წინათ ჰქონდა მოგებული და აი, როგორც იქნა, ეს ნავსიც გატყდა. საერთოდაც, ზედიზედ ორი გამარჯვებით (წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან" მოგებას, გნებავთ მოულოდნელი დაარქვით, გნებავთ — უცნაური) „სპარტაკის" სატურნირო მდგომარეობას კრიტიკული ნამდვილად აღარ ეთქმის; მით უფრო, როცა ზოგიერთ კონკურენტს აშკარაზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი ფინანსური თუ „სხვანაირი" პრობლემები აქვს....

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავლის ფეხბურთი

# საფეხბურთო სკოლების ლიცენზირება ვარსკვლავების ხელშია

**ევროპული საფეხბურთო სამყარო ბავშვთა ფეხბურთს უდიდეს ყურადღებას უთმობს. რა გასაკვირია, რომ წამყვანი საფეხბურთო ქვეყნები ვარსკვლავებით დახუნძლული ეროვნული ნაკრებებით იწონებენ თავს. მათ ფონზე ქართული რეალობა არასახარბიელოა. მოზარდმა თაობამ ეროვნულ ნაკრებამდე რომ მიაღწიოს, ბავშვებთან შესაბამისი მუშაობაა საჭირო.**

**რუბრიკის სტუმარია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა.**

- როდესაც პრეზიდენტად ამირჩიეს, ეროვნული ნაკრები შესარჩევ ჯგუფურ ეტაპს 2 ქულით ამთავრებდა. მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურასთან ერთად ყველაზე დიდი პრობლემა მწვრთნელთა ლიცენზირება იყო.

**- მემკვიდრეობა მართლაც მძიმე გერგოთ. რა გაკეთდა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?**

- თავდაპირველად სახელმწიფოს დახმარებით შედგა პროექტი. გაიზარდა ასაკობრივი ნაკრებების რაოდენობა. გამოიყო თანხები და ევროპაში მათი თამაშები დაიგეგმა.

**- ახლახან ფეხბურთის ფედერაციამ 1997 -1998 წლებში დაბადებულ მოზარდთა შერჩევა დაასრულა. შედეგები იმედის მომცემია?**

- შერჩევაში 300-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა. მათ სოსო ჭედია, კახა კაჭარავა და მამუკა აბუსერიძე აკვირდებოდნენ. გამოჩნდა, რომ საქართველო ტალანტების ქვეყანაა. თითო ასაკში ორი-სამი ნაკრების შექნაც კი შეიძლება. საქართველოს დიდი მომავალი აქვს. ეს ბავშვები შესაძლებლობებით მარადონასა და პელესაც კი გაუტოლდებიან.

**- შეფასება გადაჭარბებული ხომ არ არის?**

- არა, ბავშვებმა ამის თქმის საშუალება მოგვცეს.

**- ნაკრებში მათი მიწვევა როგორ ხდება?**

- ასაკობრივი ნაკრების შერჩევას 14 მწვრთნელი უკლებლივ ყველა რეგიონში აკონტროლებს. ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ, ნაკრებში მოხვდნენ. გადაწყდა, რომ თემურ ქეცბაია სპეციალისტებთან ერთად შესაბამისი მუშაობის სტილის დამკვიდრებას თითოეულ ნაკრებში თავად უხელმძღვანელებს.

**- საფეხბურთო სკოლებში სტანდარტული მოედნების, საშხაპეებისა და ინვენტარის ნაკლებობაა...**

- შესაბამისი მიმართვა უკვე გავაგზავნეთ - ყველა საფეხბურთო სკოლა ლიცენზირებას მაისში გაივლის. უეფასთან შეთანხმებით მათ შესაბამისი ვარსკვლავები მიენიჭებათ.

**- ლიცენზიის მოსაპოვებლად რა არის საჭირო?**

- ვარსკვლავები ისეთ სკოლებს მიენიჭებათ, რომელთაც აქვთ მოედანი საკუთრებაში ან იჯარით, საშხაპე-გასახდელები, ჰყავთ ლიცენზირებული მწვრთნელები, ექიმები, მოწესრიგებულია კვების რეჟიმი, დოკუმენტაცია... სამწუხაროდ, ბევრი სკოლაა, სადაც ბავშვებს არ აქვთ შესაბამისი პირობები.

**- ულიცენზიო სკოლებს რა ბედი ეწევათ?**

- სკოლებს, რომლებიც უვარსკვლავოდ დარჩებიან, მოყვარულთა სტატუსი მიენიჭებათ, თუმცა მათ დახმარებას არ შევწყვეტთ.

**- დღეს რომელი იმსახურებს უმაღლეს შეფასებას?**

- ერთი ვარსკვლავი სულაც არაა ძნელი მისაღები. რაც შეეხება ხუთი ვარსკვლავის მოპოვებას, ეს შეუძლებელია, რადგან საქართველოში არ მოიძებნება ბაზა ან სკოლა, რომელიც თუნდაც სამ ვარსკვლავს იმსახურებს. მეტი რა გითხრათ...

**- ბავშვთა ფეხბურთის სატკივარია მწვრთნელთა არაპროფესიონალიზმი...**

- ახლახან 120-მა მწვრთნელმა მიიღო ლიცენზია. იანვარში კიდევ იგეგმება სემინარები.

**- შეიძლება, მწვრთნელმა ლიცენზია მიიღოს, შესაბამისი განათლებაც შეიძინოს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში საფეხბურთო სკოლები თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში არ ან ვერ ახორციელებენ.**

- ყველაფერს გავაკეთებთ მწვრთნელთა გადასამზადებლად. შეგვიძლია, ფრანგები და იტალიელები ჩამოვიყვანოთ, მაგრამ მეორე საკითხია, ამ ყველაფერს თავიანთ სკოლებში რამდენად მიიტანენ. სკოლა, რომელიც ვარსკვლავს მიიღებს, ჩვენი კონტროლის ქვეშ იქნება.

**- რა არის საჭირო რომ საფეხბურთო სკოლამ სწორად იმუშაოს?**

- სკოლა მზად უნდა იყოს წინსვლისთვის, გაიღოს შესაბამისი თანხები, დაგეგმოს მენეჯმენტი და გააკეთოს ზუსტი გათვლები. ორ-სამ წელიწადში შეიძლება ამ სკოლამ მოგებაც მიიღოს. სამწუხაროდ, საქართველოს გარდა ფეხბურთი ყველგან მომგებიან ბიზნესად იქცა.

**- სწავლის გადასახადი ყველგან სხვადასხვაა...**

- ამ ეტაპზე ვმუშაობთ, რომ ყველაფერი სტანდარტებში მოვაქციოთ. თბილისისა და რეგიონების სკოლებს შორის სწავლის გადასახადი განსხვავებული აღარ იქნება. ვარსკვლავის მიხედვით მშობელი თავად შეარჩევს, სად მიიყვანოს შვილი.

**- ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბების უმეტესობას არ ჰყავს ბავშვთა გუნდები, რაც ასევე დიდი პრობლემაა.**

- საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ყველა კლუბი უახლოეს მომავალში ვალდებული იქნება ჰყავდეს ბავშვთა გუნდები. ეს უეფას მოთხოვნაა.

**- სახელმწიფომ მასობრივ სპორტზე დაიწყო ზრუნვა. ფეხბურთის ფედერაციას შეუძლია მასობრივი ფეხბურთი გააკონტროლოს?**

- შეგვიძლია, მხოლოდ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში. მოყვარულთა ფეხბურთს საზღვრებს ვერ დაუწესებ. თუ საჯარო სკოლები ფეხბურთზე გააკეთებენ არჩევანს, ფიზკულტურის მასწავლებლებს სპეციალურ სალიცენზიო განათლებას მივცემთ.

**- ქალთა ფეხბურთში ბევრი პრობლემაა...**

- ევროპის ქვეყნებში ქალთა ფეხბურთი საკმაოდ პოპულარულია. ჩვენთან ისე არაა განვითარებული, რომ შედეგებით ვიამაყოთ. ამისთვის საჭიროა, ჩემპიონატი ჩატარდეს. პრობლემა მსურველთა სიმცირეშია.

**- ხომ შეიძლება, გოგონებიც ისე ვეძებოთ, როგორც ვაჟებს ვეძებთ?**

- წლების წინ საქართველოში თუ ოჯახს ქალიშვილი შეეძინებოდა, ის აუცილებლად ექიმი უნდა გამხდარიყო. სამწუხაროდ, ეს მენტალიტეტი დარჩა. ამ ეტაპზე გოგონათა 17-წლამდელთა ნაკრებს ვქმნით. 19-წლამდელთა ნაკრებისთვის გოგონები, ფაქტობრივად, არ გვყავს. ფეხბურთის თამაშის მსურველი ძალიან ცოტაა. მათ სჭირდებათ კონკურენტუნარიანი გარემო, რათა შესაბამისი გამოცდილება შეიძინონ.

**- უეფა ფეხბურთის განვითარებას აფინანსებს. ეს ფული რა მიმართულებით იხარჯება?**



ზვიად სიჭინავა

- უკეთესი იქნებოდა, ფული, რომელიც ბავშვთა ფეხბურთის დასახმარებლად იგზავნება, მთლიანად ერთი ან ორი სკოლის სრულფასოვან კეთილმოწყობას მოხმარდეს, რაც ეტაპობრივად სხვა სკოლებზეც გავრცელდება. ევროპაში საუკეთესო კლუბში სწავლა წლიურად 35-38 ათასი ევრო ღირს. მშობელი ამ თანხას იხდის და იცის, რომ შვილს სპეციალისტებს აბარებს. უეფა ევროკავშირის ქვეყნებს დაახლოებით 20-25 ათასი ევროთი ეხმარება, რომელსაც საფეხბურთო სკოლები ტრანსპორტში ან მსგავს წვრილმანში ხარჯავენ. ჩვენთან ეს თანხა საკმარისია იმისთვის, რომ ქართული ფეხბურთი განვითარდეს.

**- ცოტაც გვყოფნის?**

- არა, ცოტა კი არ გვყოფნის, უბედურება ისაა, რომ ყველაფერს ვეგუებით. არ ვაქცევთ ყურადღებას განვითარებას. გვაინტერესებს არა შიდა ჩემპიონატი და ჩვენი ბიჭების მომზადების დონე, არამედ ის, თუ ეს ბიჭები ხვალ სად ითამაშებენ.

**- ევროპის საფეხბურთო ქვეყნებმა წინასწარ იციან, წლების შემდეგ რა დონეზე იქნება მათი ფეხბურთი. ფეხბურთის ფედერაციას თუ აქვს შემუშავებული მსგავსი პროექტი?**

- საზოგადოების გარკვეული ნაწილი ჩემგან პროგრამას მოითხოვს. დაწერა ადვილია. განვითარება ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს. ერთწლიანმა მუშაობამ დაგვანახვა, თუ რა იყო დადებითი და რა უარყოფითი. შესაბამისად, გეგმები ყოველწლიურ კორექტირებას საჭიროებს, რადგან ფეხბურთი სწრაფად ვითარდება.

**სალომე ხარატიშვილი**

ამბები




## ინტერი კრიშიტოს უმიზნებს

„ინტერმა" საჯაროდ დააფიქსირა **დომენიკო კრიშიტოს** შეძენის სურვილი. „ჯენოასა" და იტალიის ეროვნული ნაკრების მცველის გადაბირებას **რაფა ბენიტესის** გუნდი ზამთრის სატრანსფერო პერიოდშივე შეეცდება. მილანელთა ესპანელ დამრიგებელს კრიშიტო **ვალტერ სამუელის** იდეალურ შემცვლელად მიაჩნია. შეგახსენებთ, არგენტინელმა ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და მისთვის სეზონი დასრულებულია. „ინტერის" გარდა, სამხრეთაფრიკული მუნდიალის მონაწილე კრიშიტოს მიუნხენის „ბაიერნიც" უმიზნებს. დომენიკოს სატრანსფერო ღირებულება 14 მილიონ ევროს შეადგენს.

## ელიტარული ქრთამი

შვეიცარიული გაზეთი „თაგეს ანცაიგერი" სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. აღნიშნული გამოცემის მტკიცებით, საფეხბურთო სამყაროში კარგად ცნობილმა სამმა ჩინოვნიკმა ათი წლის წინ ქრთამი აიღო. ესენი არიან ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **რიკარდო ტეიშეირა**, აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი **ისა ჰაიატუ** და სამხრეთამერიკული ფეხბურთის შეფი **ნიკოლას ლეოსი**. გაზეთი ირწმუნება, რომ ამ სამეულმა თანხები უკანონო გზით ერთ-ერთი აწ უკვე გაბანკროტებული ფირმისგან მიიღო, სანაცვლოდ კი მას სატელევიზიო უფლებების ხელში ჩაგდებაში დაეხმარა.

აღსანიშნავია, რომ ტეიშეირაც, ჰაიატუცა და ლეოსიც დღემდე არიან ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრები.

## როსიმ პალერმოსთან გააახანგრძლივა

„პალერმოს" ხელმძღვანელობამ **დელიო როსის** კონტრაქტი გაუხანგრძლივა. სიცილიელთა მწვრთნელის ძველი ხელშეკრულება მომავალი წლის ივნისამდე იყო გათვლილი, ახალი კონტრაქტი კი ძალაში 2012 წლის ივნისამდე იქნება. ბუნებრივია, არსებობს თანამშრომლობის გახანგრძლივების პერსპექტივაც.

როსის ხელმძღვანელობით „პალერმო" მიმდინარე სეზონში არცთუ ურიგოდ ასპარეზობს. იტალიის ჩემპიონატში გუნდი დღეისათვის მეექვსე ადგილზეა. სერია A-ს გასულ ტურში „პალერმომ" „რომა" დაჯაბნა და დედაქალაქელებს დამაჯერებლად, 3:1 სძლია.

## იუვე აკვილანის გამოისყიდის

„იუვენტუსის" გენერალური დირექტორის, **ბეპე მოროტას** განცხადებით, მისი კლუბი აუცილებლად შეიძენს **ალბერტო აკვილანის**, რომელიც „ლივერპულის" საკუთრებაა და ამჟამად „ბებერი ქალბატონის" ღირსებას იცავს.

*„როგორც ველოდით, ალბერტომ ჩვენი იმედები აბსოლუტურად გაამართლა და „იუვენტუსისთვის" მნიშვნელოვან ფეხბურთელად იქცა. აქედან გამომდინარე, მისი შეძენა უდავოდ გამართლებული ნაბიჯი იქნება. „ლივერპულის" ხელმძღვანელობასთან ამ საკითხზე მოლაპარაკებები უკვე წამოვიწყეთ და დარწმუნებული ვარ, მალე ყველაფერი დადებითად გადაწყდება"*, - ამბობს მოროტა.

მან იქვე დასძინა, რომ **ჯანლუიჯი ბუფონს**, რომელიც ჯერაც ლაზარეთშია, „იუვენტუსი" არაფრისდიდებით შეელევა და მას კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ჩამოუგდებს სიტყვას.

## ჩემპიონატი ჩემპიონობის შანსია

2018 და 2022 წლების მუნდიალების მასპინძლების ვინაობა რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის რეალური შანსი აქვს ინგლისს და ამ ქვეყნის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ფეხბურთი აინტერესებს, უდიდესი ინტერესით ელის ფიფას გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, ამ თემაზე საკუთარ პოზიციას აფიქსირებენ ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელებიც.

მათ შორისაა **ჯონ ტერი**, რომლის აზრითაც, უპირველესი სარგებლობა, რასაც მისი ქვეყანა მუნდიალით მიიღებს, მსოფლიო ჩემპიონობის შანსის ერთიორად გაზრდაა. *„ინგლისის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონობის პერსპექტივა ყოველთვის აქვს, მაგრამ უდავოა, რომ შინაური კედლების ფაქტორი უმნიშვნელოვანეს და შესაძლოა, გადამწყვეტ როლსაც ითამაშებს. 2018 წლის მუნდიალისთვის ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. უბედნიერესი ვიქნები, თუ ეს პატივი ჩვენ გვერგება წილად"*, - აცხადებს ინგლისის ნაკრების ცენტრალური მცველი.

## განელთა ხუთეული

განის საფეხბურთო ასოციაციამ იმ ხუთი სპეციალისტის ვინაობა გამოაქვეყნა, რომლიდანაც ერთ-ერთი ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ვაკანტურ პოსტს დაიკავებს.

ხუთ კანდიდატს შორის განელი ერთადერთია – **ჰერბერტ ადო**. აქვე დანარჩენების ვინაობასაც გეტყვით: **გორან სტევანოვიჩი, მარსელ დესაი, უმბერტო კოელიო** და **ჩან ვანლი**. დესაი ფეხბურთელის რანგში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი კი ყოფილა, მაგრამ სამწვრთნელო კარიერა სულ ახლახან დაიწყო, კოელიოს კი თავის დროზე პორტუგალიის ეროვნული ნაკრები გაუწვრთნია.

შეგახსენებთ, განელთა მესაჭის თანამდებობა სამხრეთაფრიკული მუნდიალის დასრულებიდან მცირე ხანში დატოვა სერბმა **მილოვან რაიევაცმა**, რის შემდეგაც გუნდს დროებით ადგილობრივი **კვასი აპია** ხელმძღვანელობდა.

განის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობას საფეხბურთო ასოციაცია 15 დეკემბერს გამოაცხადებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

გამოხმაურება

# ჩელსიში რაღაც ხდება

„ჩელსიმ" „ნიუკასლს" ვერ მოუგო (1:1), პრემიერლიგის ცხრილში პირველი პოზიცია დათმო და, შედეგად, მის მწვრთნელ **კარლო ანჩელოტის** კიდევ უფრო დიდი კრიტიკა და ზეწოლა დაატყდა თავს. თამაშის წინ ინგლისურ პრესაში გავრცელდა ხმები, რომ „ლურჯების" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** იტალიელს სეზონის ბოლოს „ბარსელონას" ახლანდელი თავკაცით **პეპ გვარდიოლათი** უპირებს შეცვლას. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, კლუბმა პრესაში გავრცელებული ხმები მყისვე უარყო, მაგრამ „ჩელსიმ" ისევ ვერ მოიგო, რამაც საზოგადოებას გაუძლიერა ეჭვი, რომ „სტემფორდ ბრიჯზე" რაღაც აირია.

ნიუკასლში ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს - „კაჭკაჭთა" ახალგაზრდა ვარსკვლავმა **ენდი ქეროლმა** თამაშის დასაწყისშივე მიაღწია წარმატებას. სტუმრები **სალომონ კალუმ** იხსნა, მაგრამ ამაზე მეტს დასავლეთლონდონელებმა ვეღარაფერს მიაღწიეს. მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ თქვა:

*„ძალიან უკმაყოფილო ვარ. თამაში ცუდად დავიწყეთ, მეტოქეს გოლი მეტისმეტად იოლად გავატანინეთ, შემდეგ გონს მოსაგებად დიდი დრო დაგვჭირდა და სახიფათო მომენტებიც ვერ შევქმენით იმდენი, რამდენიც ამ მდგომარეობაში ჩავარდნილმა გუნდმა უნდა შექმნას".*

„ჩელსი", სხვათა შორის, ბუნებამაც დაჩაგრა: ინგლისში დიდთოვლობაა, რის გამოც ნიუკასლიდან ლონდონის მიმართულებით ფრენები გადაიდო და გუნდი იძულებული გახდა 397 კილომეტრი ავტობუსით გაევლო.

მაგრამ მთავარი, რასაკვირველია, იმის გარკვევაა, თუ რა ხდება დასავლეთ ლონდონურ კლუბში. ზემოთ ვახსენეთ, რომ ნიუკასლში თამაშის წინ მასმედიაში ანჩელოტის შეცვლასთან დაკავშირებული ცნობები გამოჩნდა. დაიწერა, რომ გასულ სეზონში დუბლის შემოქმედი იტალიელი მწვრთნელი „სტემფორდ ბრიჯზე" მთლად მარტო რჩება, რადგან სეზონის ბოლოს კონტრაქტი უთავდება საფეხბურთო საქმეთა დირექტორს, დანიელ **ფრანკ არნესენს**, რომელმაც აბრამოვიჩს განუცხადა, რომ ახალ ხელშეკრულებას აღარ გაუფორმებს. შეგახსენებთ, რომ არნესენის მოვალეობა გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელების მოზიდვა იყო, რასაც ის წარმატებით ართმევდა თავს – ანჩელოტი დიდ გუნდში სწორედ ყოფილი დანიელი ვარსკვლავის მიყვანილ მოთამაშეებს ამკვიდრებდა. ახლა 54 წლის არნესენის ნიჭი და უნარი „იყიდება" და მისი „ყიდვა" „მანჩესტერ სიტისა" და „ასტონ ვილას" სურთ.

ერთი სიტყვით, „ჩელსიში" უცნაური ამბები გრძელდება. ჯერ იყო და, ანჩელოტის დაუკითხავად მისი ასისტენტი, გუნდში ფრიად პოპულარული ადამიანი **რეი უილკინსი** გააგდეს, ახლა არნესენი გარბის... არნესენში „ჩელსიმ" 2005 წელს „ტოტენჰემს" 5 მილიონი ფუნტი გადაუხადა. ის, რომ დასავლეთლონდონელებმა გასულ სეზონში ფეხბურთის ასოციაციის ყმაწვილთა თასი მოიგეს – 49 წელიწადში პირველად – რასაკვირველია, სწორედ დანიელის დამსახურება გახლდათ.

თუმცა, ანჩელოტი პრესკონფერენციებზე ჯერ საქმის გამწვავებას არ აპირებს და ცდილობს, ოპტიმისტად გამოჩნდეს. ის ამბობს, რომ „ლურჯებს" სულ მალე **ფრენკ ლემპარდი** და **ჯონ ტერი** დაუბრუნდებიან, რის მერეც გუნდი სულ სხვანაირად ათამაშდება:

*„შემდეგ კვირაში ლემპარდი და ტერი უკვე გუნდთან ერთად დაიწყებენ ვარჯიშს. მე მათ ექვსი-შვიდი დღე დავაკვირდები და გადავწყვეტ, ვათამაშებ თუ არა „ევერტონთან". ვფიქრობ, „ევერტონთან" თამაშის შანსი უფრო ტერის აქვს ვიდრე ლემპარდს. ეს ორი კაცი ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იმიტომ კი არ არის, რომ კარგი ფეხბურთელები არიან, არამედ მათ მტკიცე ხასიათი აქვთ და ეს არის უმთავრესი".*






# მწვრთნელი მწვრთნელის ტყავს არ დახევს

ეს რა უილბლო კაცი გამოვდექიო, - დაახლოებით ასე აღმოხდა „ლივერპულის" მწვრთნელს **როი ჰოჯსონს** მას მერე, რაც „ტოტენჰემთან" შეხვედრის ბოლო წუთებზე **ჯეიმი კარაგერი** სერიოზულად დაუშავდა, **აარონ ლენონმა** კი გადამწყვეტი გოლი გაუტანა და სამივე ქულა მოწინააღმდეგემ წაიღო. ვეტერანმა მცველმა „უაით ჰართ ლეინზე" გამართული მატჩის (ეს იყო მისი 450-ე თამაში პრემიერლიგაში) მიწურულს მხარი ამოიგდო, რის მკურნალობასაც უკეთეს შემთხვევაში ერთი თვე დასჭირდება. ამრიგად, კარაგერი „წითლების პალატაში" **სტივენ ჯერარდს, დანიელ აგერს** და **ჯო კოულს** შეუერთდა.

ამ მომენტისთვის ანგარიში 1:1 იყო – **მარტინ შკრტელმა** გოლის გატანა ორივე კარში მოახერხა – კარაგერის გასვლის შემდეგ კი „სფურზმა", როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გოლი შეაგდო. და ამას რა დაემატა თუ იცით? გაირკვა, რომ ფეხბურთის ასოციაციის თასის მესამე ეტაპზე „ლივერპული" სტუმრად უნდა შეხვდეს „მანჩესტერ იუნაიტედს".

ჰოჯსონმა თქვა: *„ძალიან ძნელია შეეგუო, რომ თილისმას, სახელოვან ცენტრალურ მცველს კარგავ, რის მერეც უბრალო ჩაკიდებას ვეღარაფერს უხერხებ და მარცხდები. დამარცხება კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ცხრილში სამი ქულა დაგაკლდა - „უაით ჰართ ლეინიდან" ხელმოცარული ვბრუნდებით".*

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ჯეიმი კარაგერის მკურნალობას შესაძლოა ერთი თვე დასჭირდეს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ოპერაციის გარეშე გამოჯანმრთელება შესაძლებელი იქნება. იმ შემთხვევაში, თუ ოპერაცია გარდაუვალი აღმოჩნდება, შემდგომი რეაბილიტაციის პროცესი შესაძლოა სამ თვემდეც გაგრძელდეს. ჰოჯსონმა დასძინა:

*„კარაგერის ტრავმა სერიოზულია. მისი არყოფნით ჩვენ მოედანზე ლიდერი დაგვაკლდება. თან, დანიელ აგერი ჯერ კიდევ დაშავებული გვყავს და საერთოდაც, ცენტრალური მცველების პრობლემა გვაქვს. სტივენ ჯერარდიც უდროო დროს დაგვიშავდა... მაგრამ ჯერარდი გამოჯანმრთელების გზაზეა, აგერის საქმე ასე კარგად არ მიდის. ახლა ჯეიმიც დაემატა...*

*შესაძლოა სხვა გუნდებს დაშავებული მეტი ჰყავდეთ, მაგრამ ჩვენ ერთი და იმავე პოზიციის ხალხი დაგვიშავდა".*

„ტოტენჰემთან" შეხვედრაში **ფერნანდო ტორესმა**, რომელმაც ვერა და ვერ აღიდგინა ოდინდელი ფორმა, ორი საუცხოო მომენტი გაუშვა ხელიდან, მაგრამ ჰოჯსონმა ნაგებაში ბრალი მას არ დასდო:

*„ფერნანდო ტორესით კმაყოფილი ვარ. ის თანდათანობით აუმჯობესებს თამაშს. სწორედ მისი კარგი თამაშის გამო შეიქმნა ლონდონელთა კართან დღეს ორი სახიფათო მომენტი და გოლი რომ ვერ გავიდა, დარწმუნებული ვარ, ამას თავად ფერნანდო განიცდის ყველაზე მეტად".*

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" კაპიტანს **უილიამ გალასს** კი ამ დღეს თავისი გუნდის საბრძოლო სულისკვეთება მოეწონა. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირით ადრე **ჰარი რედნაპის** გუნდმა „არსენალთანაც" განსაკუთრებული თვისებები გამოამჟღავნა – 2:0-ს აგებდა და 3:2 მოიგო. თან, „ლივერპულთან" შეხვედრაში **ჯერმაინ დეფომ** პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ „დეზები" ამის გამო არ გატყდნენ.

გალასმა თქვა: *„ძნელი თამაში იყო, მაგრამ ჩვენი გასაკეთებელი მაინც გავაკეთეთ. „ლივერპულთან" გამარჯვებას დიდი ბრძოლა სჭირდებოდა. ეს პრემიერლიგაა, სადაც იოლად არაფერი მოდის. ჩვენ დავამტკიცეთ, რისი შემძლენიც ვართ. დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალშიც ასე გავაგრძელებთ.*

*მე „სფურზში" კარგი ფეხბურთის სათამაშოდ გადმოვედი. ძალიან მიხარია, რომ ვიმარჯვებთ. ჩვენ საუცხოო საბრძოლო სულისკვეთება გვაქვს და დიდებული მოთამაშეებით ვართ დაკომპლექტებული. ახლა მთავარია ვირწმუნოთ, რომ ბევრის მიღწევა შეგვიძლია და ასე თამაში განვაგრძოთ".*

ჰარი რედნაპიც ძალიან კმაყოფილი დარჩა, თუმცა უკმაყოფილო რატომ უნდა დარჩენილიყო? მან თქვა:

*„ფანტასტიკური თამაში იყო. ჩვენ თავიდანვე საუცხოოდ დავიწყეთ. „ლივერპულმაც" დიდებულად ითამაშა, მთელი შეხვედრის განმავლობაში ხიფათს ქმნიდა ჩვენს კართან. იყო რამდენიმე მომენტი, როდესაც სიმწყობრე დაგვერღვა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გამოვასწორეთ".*

დაბოლოს, როი ჰოჯსონმა ჰარი რედნაპს წარმატებული სვლის გაგრძელება და ინგლისის ნაკრების მომავალი მწვრთნელობა უსურვა:

*„დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი ჰარი იქნება. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ინგლისში ნაკრების თავკაცობა უმაღლესი ამბიციაა. დღეს მას კარგი შედეგები აქვს, მაგრამ მთავარი იქნება ის, თუ როგორ შედეგებს აჩვენებს იმ დროს, როდესაც ნაკრების თავკაცის შერჩევას დაიწყებენ".*

რედნაპმა ჰოჯსონს საპასუხო ქათინაური უთხრა: *„როის კარიერაში წარმატებები ჰქონია და ხალხი მისგან ყოველწამს იმავეს ითხოვს. ახლა ის კვლავ მუშაობის ეშხში შედის და „ლივერპულში" სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. მის ხელში მერსისაიდელები ნამდვილ ძალად იქცევიან".*

**გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა**

ამბები

## ვენგერი კეჰილს უმიზნებს

„არსენალის" მწვრთნელი **არსენ ვენგერი** „ბოლტონის" ცენტრალურ მცველ **გერი კეჰილში** 10 მილიონი ფუნტის გადახდას აპირებს. ვენგერის აზრით, მის გუნდს მიმდინარე სეზონში მხოლოდ დაცვაში დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება შეუშალოს ხელი ტიტულის მოპოვებაში. გასულ უქმეებზე, სანამ მე-15 ტური ჩამთავრდებოდა, „არსენალი" ორი საათით ლიდერობდა პრემიერლიგის ცხრილს - „მეთოფეთა" თამაში შაბათს სხვებზე ადრე ჩატარდა და სანამ „მანჩესტერ იუნაიტედი" „ბლექბერნს" 7:1-ს გადაუვლიდა, ჩრდილოლონდონელები „ასტონ ვილასთან" 4:2 მოგების წყალობით ლიდერის სიმაღლიდან უყურებდნენ დანარჩენებს.

კეჰილი 24 წლისა გახლავთ. მიმომხილველები ამბობენ, რომ მიმდინარე სეზონში „ბოლტონის" კარგი თამაში მნიშვნელოვნად სწორედ მან განაპირობა. სექტემბერში, ბულგარეთთან შეხვედრაში კეჰილი **ფაბიო კაპელომ** ნაკრებშიც კი ათამაშა. თავდაპირველად „ბოლტონი" მაისში 18 მილიონ ფუნტს ითხოვდა, ასე რომ, 10 მილიონი „არსენალისთვის" საუცხოო თანხა იქნება. გეხსომებათ, ზაფხულზე ვენგერი „ევერტონისგან" **პოლ ჯეგიელკას** ყიდვას აპირებდა, მაგრამ ფეხბურთელმა სწორედ მაშინ გააფორმა ლივერპულელებთან ახალი კონტრაქტი.

## დემპსი მწვრთნელს უჭერს მხარს

ამერიკელი ფეხბურთელი **კლინტ დემპსი** ამბობს, რომ „კრეივენ კოტეჯზე" გულშემატკივართა ნაწილი სულ ტყუილად ირჯება და მწვრთნელ **მარკ ჰიუზს** უსამართლოდ დასძახის ტრიბუნიდან „ბუუს" - თავდამსხმელის აზრით, „ფულჰემს" სულაც არ აქვს საქმე განსაკუთრებით ცუდად და სეზონის ბოლოს ათეულშიც იქნება.

დღეს კი ასეა: შაბათს „ბირმინგემთან" ნათამაშები 1:1-ის გამო „ფულჰემი" გასავარდნ ზონას მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქულით აღემატება. ლონდონური კლუბს გუნდს ბირმინგემელებთან ეს ფრე სწორედ დემპსის მიერ გატანილმა გოლმა მოუტანა და, ალბათ, ამიტომაც არის ფორვარდი განსაკუთრებულად თამამი:

*„ასეთ მდგომარეობაში ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია, მუხლჩაუხრელი შრომაა. ჩვენ მწვრთნელისა გვწამს და მისი ხელმძღვანელობით მზად ვართ ბოლომდე ვიბრძოლოთ. ეჭვიც არ გვეპარება, რომ სეზონს ცხრილის ზედა ნახევარში დავამთავრებთ. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ კარგად კი ვთამაშობთ, მაგრამ თამაშის შესაფერის შედეგებს ვერ ვაღწევთ. დროა მოგებები დავიწყოთ. რაც შეეხება ფანებს, კარგია, ჩვენგან მეტს რომ ითხოვენ. ჩვენ თავადაც მეტს ვითხოვთ საკუთარი თავისგან".*

## ფერგი კარისკენ იყურება

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** დაადასტურა, რომ ჰოლანდიელი გოლკიპერი **ედვინ ვან დერ სარი** სეზონის ბოლოს გუნდიდან... უფრო სწორად ფეხბურთიდან წავა და არც ის დამალა, რომ „იუნაიტედი" დანიელი **ანდერს ლინდეგაარდის** გარდა სხვა გოლკიპერსაც იყიდის.

ლინდეგაარდი 26 წლის, 193 სანტიმეტრი სიმაღლის გოლკიპერია, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედთან" უკვე გააფორმა კონტრაქტი. მანჩესტერელებს მისი გადაბირება 3,5 მილიონი ფუნტი დაუჯდა – სწორედ ეს თანხა გადაუხადეს დანიის ბოლო ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასულ ქალაქ ალესუნდის გუნდს, თუმცა ის, რომ „იუნაიტედი" ორი მეკარის შეძენას ფიქრობდა, პრესისთვის იმთავითვე იყო ცნობილი. ინტერვიუში ფერგიუსონმა თქვა:

*„დიახ, უნდა ვაღიარო, რომ მიმდინარე სეზონი ედვინ ვან დერ სარისთვის ბოლოა. ეს, რასაკვირველია, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: 40 წელს მიღწეულ მეკარეებს პრობლემები ეწყებათ. თუ გახსოვთ, ასე დაემართა თავის დროზე პიტერ შილტონსაც. სწორედ ამ ასაკში დგება დღე, როდესაც მათი ფორმა უეცრად უარესდება და ისინი გოლების გაშვებას იწყებენ. მეეჭვება ედვინს სურდეს ამ დღეს დაელოდოს და გოლები გაუშვას. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, ვან დერ სარის მეუღლეს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და მართალია, ახლა კარგად არის, ჰოლანდიაში ჯერ კიდევ დადის ექიმებთან. ედვინისთვის მეუღლის პატრონობა ინგლისიდან ძნელი იქნება".*

ფერგიუსონმა არც ის დამალა, რომ მეორე მეკარე, რომლის შეძენაც „მანჩესტერ იუნაიტედს" სურს „ატლეტიკოს" კარის მცველი, 20 წლის **დავიდ დე ხეაა**. 192 სანტიმეტრი სიმაღლის მეკარეში „ატლეტიკო" 15 მილიონ ფუნტზე მეტს ითხოვსო, - ამბობს ფერგიუსონი.

სავარაუდო ტრანსფერი

# კასანო სახლთან ახლოს

## ფეხბურთელის სკანდალური განცხადება



კასანო არც ჯენოას გამორიცხავს

ძალიან რთულია დღეს იმაზე საუბარი, თუ სად შეიძლება გააგრძელოს კარიერა **ანტონიო კასანომ.** ყველაზე ხშირად „ინტერზე" საუბრობენ, რომელიც ზამთარში მაღალკვალიფიციური შემტევის დამეტებას აპირებს. ამის შესახებ თვით „ნერაძურის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** განაცხადა და მას შემდეგ მუდმივად იწერება კასანოს მილანურ გრანდში შესაძლო გადასვლაზე. დაახლოებით ერთ თვეში ანტონიო თავისუფალი აგენტი გახდება და მასში მილანელებს ერთი ცენტის გადახდაც კი არ მოუწევთ. თუმცა, არის ერთი უარყოფითი ფაქტორიც - კასანომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „სამპდორიას" შემადგენლობაში იასპარეზა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე სეზონში ამ ტურნირში „ინტერის" ღირსებას ვერ დაიცავს. ვნახოთ, იქნება თუ არა ეს შემაკავებელი ფაქტორი მასიმო მორატისა და **რაფაელ ბენიტესისთვის**, რომლებიც დიდად არიან მონადინებულნი ანტონიოს გადაბირებით.

ამასობაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კასანოს გადაბირების სურვილი ინგლისურმა გუნდებმა: „ლივერპულმა" და „ასტონ ვილამ" გამოთქვეს. განსაკუთრებით თურმე მერსისაიდელები აქტიურობენ, რომლებიც მზად არიან იტალიის ნაკრების შემტევს ზღაპრული კონტრაქტი შესთავაზონ. თუმცა, თავად კასანო უცხოეთში ცხოვრების სურვილით არ იწვის. მეტიც, მას სურს, რომ გენუაში დარჩეს საცხოვრებლად და ახალ კლუბსაც სადმე ახლომახლო მონახავს. ამაზე მისი კომენტარი მეტყველებს:

*„გენუაში ძალიან კარგად მოვეწყვე და არავითარი სურვილი არ მაქვს, რომ სახლი გამოვიცვალო. მეც და ჩემი მეუღლეც ამ ქალაქში თავს საუცხოოდ ვგრძნობთ, რაც ახალი კლუბის არჩევაში გადამწყვეტი ფაქტორი იქნება. მას შემდეგ, რაც ცოლი მოვიყვანე, ყველაფერს ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ვწყვეტ და ასე იქნება მომავალშიც. ჩემი ნება რომ იყოს, კარიერას „სამპდორიაში" გავაგრძელებდი, მაგრამ როგორც ვხვდები, ეს ფაქტობრივად გამორიცხულია. ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, კლუბის პრეზიდენტმა გუნდიდან მომკვეთა და როგორც ვხვდები, გადაწყვეტილებას არასდროს შეცვლის. ამიტომ, ისღა დამრჩენია კარიერა სხვაგან გავაგრძელო. გამომდინარე იქიდან, რომ გენუიდან აბარგებას არ ვაპირებ, გუნდსაც ახლოს მოვძებნი. არ გამოვრიცხავ, რომ კარიერა „ჯენოაში" გავაგრძელო, ასევე, ვფიქრობ მილანურ და ტურინულ ვარიანტებზე, არც „ფიორენტინას" და „პარმას" გამოვრიცხავ. დეკემბრის მეორე ნახევარში ალბათ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ და ყველაფერი ნათელი გახდება".*

სკანდალური გამოდგა კასანოს განცხადება იმის შესახებ, რომ შესაძლოა „ჯენოაში" გააგრძელოს კარიერა. მართალია, ის თავისი ნებით არ წასულა „სამპდორიადან" და დღემდე გაიძახის ამ გუნდში მსურს დარჩენაო, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმით, „სამპას" ტიფოზებს სამტროდ გადაიკიდებს. გენუური დერბი ცნობილია უკომპრომისო ხასიათით, გუნდების გულშემატკივრებისთვის კი მთავარი სწორედ თანაქალაქელის დამარცხებაა. თუ კასანომ მართლაც გადადგა ეს ნაბიჯი და „ჯენოაში" ჩაირიცხა, მომდევნო დერბიზე დიდი ამბები დატრიალდება. ანტონიოს ისეთ წნეხში მოუწევს თამაში, ელ კლასიკო, **ლუიშ ფიგუ** და მისთვის ნასროლი გოჭის თავი მონაგონი იქნება. გამომდინარე აქედან, მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რომ კასანომ „ჯენოაში" გააგრძელოს კარიერა და თავი ასეთ დღეში ჩაიგდოს.

ამასობაში, გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ანტონიოს საკუთარ გუნდში ხილვის სურვილი **რობერტო დონადონიმ** გამოთქვა, ვინც ამჟამად „კალიარის" თავკაცობს. დონი თავის დროზე იტალიის ეროვნულ ნაკრებს ედგა სათავეში და მისი ფორმაციის „აძურაში" ანტონიოს ხშირად იძახებდა. გემახსოვრებათ, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზეც იახლა და გამართული ოთხი პაექრობიდან, ორჯერ ძირითად შემადგენლობაში დააყენა. დონადონის ჟურნალისტები შეეხმიანენ და ჰკითხეს, რამდენად მართალია გავრცელებული ცნობა - აქვე, „კალიარის" მთავარი მწვრთნელის პასუხი: *„კასანო? - ვერაფერს გეტყვით, მე მეგონა, რომ დღე დღეზე ლიონელ მესის გავიფორმებდით და სიმართლე გითხრათ, ანტონიოს შესახებ არაფერი მსმენია. თუ სერიოზულად მეკითხებით, გიპასუხებთ, რომ კასანო მსოფლიო დონის ვარსკვლავია და მეეჭვება, რომ ჩვენთან მოისურვოს კარიერის გაგრძელება. ამასთან, საკმაოდ კარგი ფორვარდები გვყავს და ვფიქრობ, ამ რესურსითაც შეიძლება დასახული მიზნების მიღწევა. მიზანი კი ამ სეზონში ერთი გვაქვს: უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება".*

აი ასეთი მოკრძალებული კომენტარი გააკეთა სარდინიული გუნდის თავკაცმა და ალბათ მართალიც არის, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ანტონიომ „კალიარიში" მოისურვოს კარიერის გაგრძელება. მით უმეტეს, სარდინია საკმაოდ შორსაა გენუიდან. დაბოლოს, კიდევ ერთხელ გადავცეთ სიტყვა თავად ფეხბურთელს, რომელიც სანაკრებო პერსპექტივაზე ამახვილებს ყურადღებას. **ჩეზარე პრანდელიმ** კასანო რუმინეთთან ამხანაგური შეხვედრის განაცხადს მიღმა დატოვა, რითაც ეჭვები გააჩინა, რომ ანტონიომ კიდევ ერთხელ მოიჭრა გზა ეროვნული გუნდისკენ. მოვუსმინოთ ანტონიოს: *„პრანდელიმ დამირეკა, კარგა ხანს მესაუბრა და ყველაფერი ამიხსნა. გუნდიდან მოკვეთილი ვარ და სათამაშო პრაქტიკა არ მაქვს, ასეთ მდგომარეობაში კი „აძურას" ვერაფერში გამოვადგებოდი. მითხრა, დაუბრუნდები თუ არა ფეხბურთს, ეროვნულ გუნდში აუცილებლად გამოგიძახებო. პრანდელი სიტყვის კაცია და ვიცი, რომ დანაპირებს შეასრულებს. თუმცა, კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ამისთვის მაღალ დონეზე ასპარეზობაა საჭირო. თავის დაზოგვას ნამდვილად არ ვაპირებ".*

**ლაშა წიკლაური**

იტალიის ნაკრები

# მოტა თავს იტალიელად თვლის



ტიაგო მოტა

მოკლედ, იტალიის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე დიდი „წევა-გლეჯვაა". **მარჩელო ლიპის** დროს ასეთი რამ ნამდვილად არ ხდებოდა, რადგან მაესტრომ თავიდანვე გამოარჩია ფეხბურთელთა ბირთვი და შემადგენლობასაც სწორედ ამ მოთამაშეებით აკომპლექტებდა. **ჩეზარე პრანდელი** კი დღემდე ძიების პროცესშია, მუდმივად იწვევს ახალ ფეხბურთელებს და შესაბამისად, იმედი ბევრს გაუჩნდა. მათ შორის გახლავთ „ინტერის" ბრაზილიელი ფეხბურთელი **ტიაგო მოტა.** კი ვამბობთ ბრაზილიელიო, მაგრამ თავად მოტა თავს იტალიელად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ბავშვობიდან „სკუადრა აძურაში" სურდა ასპარეზობა. სანამ სიტყვას ტიაგოს გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ ტრავმის შემდეგ ფეხბურთელი სერია A-ს გასულ ტურში დაუბრუნდა მოედანს და თავი გატანილი გოლით გამოიჩინა. მთლიანობაში, შესანიშნავად გაისარჯა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. სწორედ ასეთმა წარმატებულმა ასპარეზობამ მისცა სტიმული მოტას, რომ შემდეგი განცხადება გაეკეთებინა:

*„ადრეც აღვნიშნე და კიდევ ერთხელ, ხაზგასმით მინდა განვაცხადო, რომ იტალიის ნაკრებში მსურს ასპარეზობა. მართალია, ბრაზილიაში დავიბადე, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი მშობლები წარმოშობით იტალიიდან იყვნენ და მეც ბავშვობიდან „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში ასპარეზობაზე ვოცნებობდი. ამასთან, მალევე გადმოვედით ევროპაში საცხოვრებლად და უკვე ათი წელია იტალიის მოქალაქე გახლავართ. პასპორტის აღებასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ შემქმნია, რადგან ჩემი წინაპრები სწორედ იტალიელები იყვნენ. მეც თავს იტალიელად ვთვლი და რა გასაკვირია, რომ ამ ქვეყნის ღირსების დაცვა მსურს. დავთანხმდებოდი თუ არა გამოძახებას ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში? - გამომდინარე იქიდან, რომ უკვე წლებია „სკუადრა აძურაში" არ მიწვევენ, ალბათ დავთანხმდებოდი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი - ჩემი სურვილი იტალიის ღირსების დაცვაა".*

ამის შემდეგ მოტას პირადმა აგენტმა **დარიო კანოვიმაც** გააკეთა განცხადება: *„ნახეთ როგორ თამაშობს „ინტერი" ტიაგო მოტას გარეშე და მასთან ერთად... სხვაობა აშკარაა, რაც ჩემი კლიენტის უმაღლეს კვალიფიკაციაზე მეტყველებს. უკვე დიდი ხანია, რაც მოტას იტალიის ნაკრებში სურს ასპარეზობა, მაგრამ ამ საკითხს არა და არ დაადგა საშველი. მარჩელო ლიპიმ ერთხელაც არ მიაქცია ყურადღება და იმედია, ჩეზარე პრანდელი ამ შეცდომას აღარ გაიმეორებს. დარწმუნებული ვარ, ტიაგოს რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ეასპარეზა, „სკუადრა აძურა" ასე არ შერცხვებოდა".*

**ლაშა წიკლაური**

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ მივიდა ალმერია ოლტრამდე

მას შემდეგ, რაც „ალმერია" შინ 0:8 განადგურდა „ბარსელონასთან", კლუბის ხელმძღვანელობა **ხუან მანუელ ლილიოს** შემცვლელის ძიებაში იყო. ეს, ერთი შეხედვით იოლი საქმე, ასეთი სულაც არ ყოფილა. პრიმერა დივიზიონში თავის გამოჩენა ბევრი სპეციალისტისთვის სულაც არ ყოფილა მიმზიდველი სამუშაო, ან კი „ალმერიას" პერსპექტივას უწუნებდნენ.

ლილიოს გაშვების შემდეგ გუნდში „რასინგის" ყოფილი ბოსი **მარსელინო გარსია ტორალი** დაიბარეს. მაგრამ მხარეებმა ხელი ხელზე ვერ დაჰკრეს, სპეციალისტი იმაზე მეტს ითხოვდა, ვიდრე მას ანდალუსიური კლუბი სთავაზობდა. ასე გაჩნდა პრესაში არგენტინელი **ნესტორ გოროსიტოს** სახელი. ის „ალმერიას" ხელმძღვანელობის ახალი კანდიდატი გახდა. გოროსიტო სპეციალურად ჩაფრინდა სამხრეთ ამერიკიდან ესპანეთში, მაგრამ მოლაპარაკება მაინც ისევ ისე დასრულდა, როგორც გარსია ტორალის შემთხვევაში.

ამასობაში ტურის მატჩებიც მოახლოვდა, „ალმერია" „მესტალიაზე" „ვალენსიას" სტუმრობდა და დიდი შანსი იყო, ის იქ უმწვრთნელოდ გასულიყო.

ასე გამოჩნდა ახალი კანდიდატურა - „ტენერიფეს" ექსთავკაცი, 41 წლის **ხოსე ლუის ოლტრა.** ოლტრამ კი ითავა „ალმერიას" ამოყვანა წუმპედან - გუნდს 13 მატჩში 1 მოგება აქვს სულ. სხვათა შორის, „მესტალიაზე" ოლტრა კი იჯდა სათადარიგოთა სკამზე, მაგრამ „ალმერია" მისი მომზადებული არ იყო. ასე რომ, მხოლოდ 1:2 მარცხი უკვე კარგია...

## ზიზუს მისია: ჰაზარდი რეალში



უკვე ყველამ იცის, თუ როგორ აფასებს **ზინედინ ზიდანი** ბელგიელ ტალანტ **ედენ ჰაზარდს.** ზიზუ უბრალოდ შეყვარებულია „ლილის" 19 წლის შემტევი ნახევარმცველის ფეხბურთზე. ახლა კი ფრანგი, რომელიც ოფიციალურად გახდა „რეალში" **ფლორენტინო პერესის** მრჩეველი, განიხილავს ბელგიელი თინეიჯერის შესაძლო შეძენის ვარიანტებს.

ფრანგული ლიგა 1-ის წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი დიდწილად განაპირობებს კიდეც „ლილის" წარმატებას. ჰაზარდმა სეზონი უფრო ცუდად დაიწყო, ვიდრე შარშან, მაგრამ ახლა ჩვეულ სტილში ათამაშდა და ევროპის დიდი კლუბებიც ისევ დაინტერესდნენ მისი შეძენით. *„ის, რასაც ედენი თავისი კლუბისთვის აკეთებს, არაჩვეულებრივია. მის შესახებ უკვე ველაპარაკე „რეალში" ხალხს, მაგრამ ჯერ არ დავლაპარაკებივარ ჟოზე მოურინიოს",* - განუცხადა ფრანგული ფეხბურთის ლეგენდამ „კანალ პლუსს". ფრანგი ჟურნალისტები ეგრევე დაეკითხნენ, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჰაზარდს „სამეფო კლუბში" თამაშის პერსპექტივა გაუჩნდა, რაზეც ზიზუმ მიუგო - არ გამოვრიცხავო.

ჰაზარდს, რომელსაც სულ უფრო ხშირად ადარებენ **ლეო მესის,** ურჩიეს, რომ ეს სეზონი მაინც „ლილში" ჩაამთავროს, თუმცა თავად ფეხბურთელის სურვილია, რომ რომელიმე გრანდში გადავიდეს. ასაკის მიუხედავად, ჰაზარდმა უკვე 17-ჯერ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურა. ჰაზარდი 2005 წლიდან ირიცხება „ლილში", 2007-ში კი მთავარ გუნდში დებიუტი ჰქონდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტურის გამოხმაურება

# ფელიქს, ახსენი, თუ ძმა ხარ

## შალკეში მონასტერი არეულია, ვის შეუძლია მაგათის გაგდება?

**„ROCK 'N' RAUL გელზენკირხენში", - ვწერდით ერთი კვირის წინ. დორტმუნდის „ბორუსიას", რა თქმა უნდა, ვაქებდით, მაგრამ ვაქებდით „შალკესაც" და ვაკრიტიკებდით „ვერდერს". ზუსტად ერთი კვირის თავზე, მხოლოდ „დორტმუნდმა" შეინარჩუნა სტატუსი, „შალკესა" და „ვერდერში" კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა...**

„შალკეს" 0:5 „კაიზერსლაუტერნთან" ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. მართალია, გელზენკირხენელები ამ სეზონში ძალიან ცუდად გამოიყურებიან და „შალკეს" წაგება არავის უკვირს, მაგრამ მათთვის კვირა იმდენად კარგად დაიწყო (4:0 „ვერდერთან") და იმდენად ბრწყინვალედ გაგრძელდა (3:0 „ლიონთან", ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საგზურის განაღდება), რომ ნამდვილად ვერავინ იფიქრებდა, თუ **ფელიქს მაგათის** გუნდი „კაიზერსლაუტერნთან" ხუთ უპასუხო გოლს გაუშვებდა. სწორედ ამიტომ ატყდა განგაში გელზენკირხენში, ამიტომ სკანდირებდნენ „შალკეს" ფანები, მაგათი გააგდეთო და ამიტომ აიმაღლა ხმა კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონიესმა** ორშაბათს, ანუ, გუშინ.

*„იმედგაცრუებული ვარ! არა, ამას იმედგაცრუებაც აღარ ეთქმის. „ვერდერთან" და „ლიონთან" ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ ჩვენი ქომაგები ეიფორიაში იყვნენ და სიმართლე უნდა ითქვას, ჩვენც გვეგონა, რომ კრიზისს საბოლოოდ თავი დავაღწიეთ და ახლა ეს ჯოჯოხეთი დაგვემართა. 0:5 - ასეთი ანგარიშით „შალკეს" 18 წელია არ წაუგია! გაგვანადგურა და შეგვარცხვინა გუნდმა, რომელიც წელს გადმოვიდა პირველ ბუნდესლიგაში,* - ყვიროდა ტიონიესი და ბოლოს შედარებით მშვიდად დასძინა, - *მოკლედ, მწვრთნელმა და მენეჯერმა ფელიქს მაგათმა უნდა ამიხსნას, უფრო სწორად, კლუბის წევრების ყოველწლიურ შეკრებაზე ყველას უნდა აგვიხსნას, რა მოხდა, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა და როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ ჯოჯოხეთს."*

მოკლედ, ხვალ „შალკეში" დიდი სხდომაა და საინტერესოა, მაგათს თანამდებობიდან გათავისუფლების საფრთხეც ხომ არ ემუქრება? ფაქტი ისაა, რომ მისი პერსონა მორყეულია, კონტრაქტი კი „შალკესთან" 2013 წლამდე აკავშირებს. ტიონიესი ფელიქსის გათავისუფლებაზე საუბარს თავს არიდებს და თუ ამბობს, მხოლოდ იმას, მწვრთნელის გაშვებაზე ხელმძღვანელობას ლაპარაკი არ ჰქონდა.

*„მწვრთნელის გათავისუფლებას მე არ ვაპირებ და მარტო მე ეს არც შემიძლია. მხოლოდ იმას ვიტყოდი, რომ მაგათის შეცვლაზე საუბარი არ არის. ჩვენ ფეხბურთელების თამაშზე ვართ განრისხებულები. მართალია, ნაღდად არ მეშინია იმის, რომ „შალკე" მეორე ბუნდესლიგაში გავარდება, რადგან ეს გამორიცხულია, მაგრამ დამეთანხმებით, „შალკეს" შეფებს მაგათისგან და მისი გუნდისგან გაცილებით მაღალი მოთხოვნები გვაქვს, ვიდრე ელიტაში ადგილის შენარჩუნებაა,"* - ამბობს ტიონიესი.

ჩვენი გერმანელი კოლეგების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უშუალოდ მატჩის შემდეგ მაგათი **რაულს, ჰუნტელაარსა** და კომპანიას, ნახევარი საათის განმავლობაში ტუქსავდა. მოგვიანებით კი ფელიქსმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შეგირდებს იანვარში არდადეგები შეუმციროს. ჰო, ცხადია, თუ იანვრამდე მიატანა.

## ვან გაალი კარგ ხასიათზეა

საკმარისი იყო, „ბაიერნს" დამაჯერებლად მოეგო, რომ მიუნხენში ყველა დამშვიდდა - უცებ ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ყველაფერი კარგადაა, ხშირად ახსენებენ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა ჰარმონია, იდილია და რაც მთავარია, მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** თურმე ჯერ კიდევ ფიქრობს გერმანიის ჩემპიონობაზე.

არადა, რეკორდმაისტერი 14 ტურის შემდეგ, ლიდერ „დორტმუნდს" 14 ქულით ჩამორჩება. ამასობაში, ლუისმა დორტმუნდის „ბორუსიასაც" გაჰკრა კბილი: *„ტიტულის შენარჩუნებაზე, რა თქმა უნდა, ვფიქრობ. სულაც არ მიმაჩნია, რომ ჩვენთვის ყველაფერი დამთავრდა. სეზონის დასრულებამდე ჯერ ძალიან დიდი დროა დარჩენილი. რაც შეეხება დორტმუნდს, მე ყოველთვის „ბორუსიას" მოწინააღმდეგეთა ფანი ვიყავი ხოლმე და ახლა ხომ მით უმეტეს..."* - უთხრა ვან გაალმა „ბილდს".

## ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი, 3-4-3)

**ტობიას ზიპელი (კაიზერსლაუტერნი) - ფილიპ ლამი (ბაიერნი), მარტინ ამედიკი (კაიზერსლაუტერნი), მატს ჰუმელსი (ბორუსია დ) - ივო ილიჩევიჩი (კაიზერსლაუტერნი), ანატოლი ტიმოშჩუკი (ბაიერნი), კრისტიან ტიფერტი (კაიზერსლაუტერნი), მარკო როისი (ბორუსია მ) - უგო ალმეიდა (ვერდერი), სრდიან ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), ია კონანი (ჰანოვერი)**

პირველი და უმთავრესი, რაც ტურის კიკერისეულ სიმბოლურ ნაკრებთან მიმართებაში უნდა აღვნიშნოთ, ისაა, რომ საუკეთესო თერთმეტეულში „კაიზერსლაუტერნის" ხუთი ფეხბურთელია. ეს კი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ მე-14 ტურში ყველაზე დიდი გმირობა სწორედ „წითელმა ეშმაკებმა" ჩაიდინეს. ასეცაა: „ლაუტერნმა" „შალკე" 5:0 გაანადგურა. ხუთიდან ოთხ ბეტცენბერგელს სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრა აქამდეც დაგემოვნებული ჰქონდა (ოთხივეს ორ-ორჯერ), აი, ცენტრალური მცველი **მარტინ ამედიკი** კი სიმბოლურში პირველად მოხვდა. ამედიკი „კიკერის" მე-12 ტურის სიმბოლურ ნაკრებში ერთადერთი დებიუტანტია. „ჰანოვერის" თავდამსხმელი **ია კონანი** კი აქ მეოთხედ მოხვდა. საოცარია, მაგრამ უნდა დაიჯეროთ: დორტმუნდელი **ნური შაჰინი** სიმბოლურში ვერ მოხვდა.

## ტურის გმირი

სრდიან ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი)

რთული გამოსაცნობი არ უნდა ყოფილიყო, რომ ტურის გმირიც აუცილებლად კაიზერსლაუტერნელი იქნებოდა. „კიკერმა" მე-14 ტურის საუკეთესო ფეხბურთელად, აბსოლუტურად ლოგიკურად, პფალცელთა 27 წლის თავდამსხმელი **სრდიან ლაკიჩი** დაასახელა, რომელმაც „შალკეს" მცველებს ათასი თავსატეხი გაუჩინა, განსაკუთრებით კი გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველი **კრისტოფ მეტცელდერი** დაჩაგრა და რაც მთავარია, გელზენკირხენელებს ორი გოლი გაუტანა. ჰო, მართლა, საგოლე პასი გვავიწყდებოდა...



ფელიქს მაგათს შალკეს ბოსები ბევრი რამეს აახსნევინებენ

### საუკეთესო ფეხბურთელები

14 ტურის შემდეგ, კიკერის შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | საშუალო შეფასება |
|---|---|---|
| 1. ნური შაჰინი | ბორუსია (დ) | 2.43 |
| 2. ანატოლი ტიმოშჩუკი | ბაიერნი | 2.43 |
| 3. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 2.46 |
| 4. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.55 |
| 5. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.60 |
| 6. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.64 |
| 7. მანუელ ნოიერი | შალკე | 2.68 |
| 8. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.71 |
| 9. კრისტიან ვეტკლო | მაინცი | 2.73 |
| 10. ოლივერ ბაუმანი | ფრაიბურგი | 2.75 |

გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. თეოფანის გეკასი | აინტრახტი | 12 | 2 | 14 |
| 2. ლუკას ბარიოსი | ბორუსია (დ) | 8 | 3 | 11 |
| 3. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 5 | 6 | 11 |
| 4. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 10 | 0 | 10 |
| 5. ედინ ჯეკო | ვოლფსბურგი | 9 | 1 | 10 |
| 6. მარიო გომესი | ბაიერნი | 9 | 1 | 10 |
| 7. უგო ალმეიდა | ვერდერი | 9 | 1 | 10 |
| 8. სრდიან ლაკიჩი | კაიზერსლაუტერნი | 9 | 1 | 10 |
| 9. ივო ილიჩევიჩი | კაიზერსლაუტერნი | 5 | 5 | 10 |
| 10. ჩიპრიან მარიკა | შტუტგარტი | 3 | 7 | 10 |

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა




## შტეფანი და მიხაელი წამოდგნენ

ლევერკუზენში არც მწვადს წვავენ და არც შამფურს, ამბობენ, რომ 14 ტურის შემდეგ მესამე ადგილზე ყოფნით უაღრესად კმაყოფილები არიან და მხოლოდ თავიანთ პროგრამაზე ცდილობენ კონცენტრირებას. პრინციპში, სხვა რამეს აზრიც არ აქვს. მეორე ადგილზე მყოფ „მაინცს" „ფარმაცევტები" უკვე ოთხი ქულით ჩამორჩებიან, ლიდერ „დორტმუნდს" კი სულაც 11 ქულით. სამაგიეროდ, **იუპ ჰაინკესის** გუნდს „ჰანოვერი" და „ბაიერნი" „სათოფეზე მიუახლოვდნენ", არც „ჰოფენჰაიმია" შორს.

სწორედ „ჰოფესთან" ითამაშა „დონ იუპის" გუნდმა შაბათს 2:2 და ეს იყო ფრე, რომელსაც კაპიტანი **სიმონ როლფესი** წაგების ტოლფას ყაიმს უწოდებს. საქმე იმაშია, რომ „ლევერკუზენი" იგებდა და „ჰოფენჰაიმმა" ანგარიში მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზეღა გაათანაბრა. **გონსალო კასტრო** თავ-ბედს იწყევლის, ჩემი ბრალიაო და ეს უკანასკნელი სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმაც** გააკრიტიკა, ტაქტიკურად უპატიებელი შეცდომა დაუშვაო. მაგრამ დაკარგული ორი ქულა რომ მხოლოდ კასტროს ბრალი არაა, ეს ფიოლერმაც კარგად იცის და მწვრთნელმა ჰაინკესმაც, რომელმაც თქვა კიდეც, სავსებით სამართლიანად დავისაჯეთ, რადგან „ჰოფენჰაიმს" ბოლოს წინააღმდეგობას ველარ ვუწევდით, ფაქტი იყო, რომ მეტოქე ქულას იმსახურებდაო.

ბუნდესლიგის მესამეადგილოსნის ბანაკში მთავარი და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ **შტეფან კისლინგმა** და **მიხაელ ბალაკმა** ვარჯიში განაახლეს. შეგახსენებთ, რომ 26 წლის კისლინგი მეოთხე ტურის მერე იყო ტრავმირებული, 34 წლის ბალაკი კი მესამე ტურის მერე. როდის შეძლებენ კისლინგი და ბალაკი მოედანზე გასვლა, ეს ჯერ ზუსტად მაინც არ არის ცნობილი.

## კევინის გროსკონტრაქტი

აგერ უკვე ორ თვეზე მეტია, რაც დორტმუნდის „ბორუსიას" მრავლისმნახველი ქომაგების ბედს ძაღლი არ დაჰყეფს - ვესტფალიური კლუბიდან და მის გარშემო ბოლო დროს მხოლოდ დადებითი ინფორმაციები ვრცელდება და თანაც, ძალიან ბევრი. აი, მაგალითად კიდევ ერთი ისეთი ცნობა, რომელიც შავყვითლების ფანებს ძალიან გაახარებს: მიონხენგლადბახის „ბორუსიას" განადგურებიდან (4:1) ერთი დღის შემდეგ, დორტმუნდელებმა 22 წლის უნიჭიერეს ნახევარმცველ **კევინ გროსკროიტცს** ახალი კონტრაქტი გაუფორმეს. ნახევარმცველმა, რომელიც უკვე გერმანიის ნაკრებსაც უშინაურდება (2 მატჩი ბუნდესგუნდში), 2012 წლამდე გაფორმებული ხელშეკრულების განახლებას და გაგრძელებას მოაწერა ხელი, რის შედეგადაც, BVB-ს თავისი ბედი 2014 წლამდე დაუკავშირა.

დორტმუნდში დაბადებული და გაზრდილი გროსკროიტცი „ბორუსიაში" 2009 წელს, მეორე ბუნდესლიგურ „ალენიდან" გადავიდა. დღეს კევინი „ბორუსიას" ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა. „ბილდის" ინფორმაციით, გროსკროიტცის ხელფასი ორჯერ გაიზარდა - თუ აქამდე წელიწადში 600 000 ევროს იღებდა, ამიერიდან 1.2 მილიონს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ წინა კვირაში დორტმუნდთან კონტრაქტი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმაც** გააახანგრძლივა (ასევე 2014 წლამდე). „ბორუსიას" შეფებს ამ სეზონში ახალი კონტრაქტების გაფორმება **მარსელ შმელცერთან**, მეკარე **რომან ვაიდენფელერთან** და მცველ **პატრიკ ოვომოიელასთან** აქვთ დაგეგმილი.

## უგო და მარიკა დასაჯეს

„შტუტგარტის" რუმინელ თავდამსხმელ **ჩიპრიან მარიკას** მსაჯის შეურაცხყოფა ძალიან ძვირად დაუჯდა. გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ მას 50 000 ევროს გადახდა დააკისრა და თან სამმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიუსაჯა, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრე მარიკასთვის უკვე დასრულებულია. რაც შეეხება დანაშაულს: მარიკა „ჰამბურგთან" მატჩის მე-15 წუთზე გააძევეს, რადგან მთავარ არბიტრ **ვოლფგანგ შტარკს** „არშლოხი" უწოდა. ვფიქრობთ, ეს სიტყვა თარგმანს არ საჭიროებს.

აქვე გეტყვით, რომ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო „ვერდერის" პორტუგალიელმა თავდამსხმელმა **უგო ალმეიდამაც**, რომელიც ბუნდესლიგის გასულ ტურში ასევე გააწითლეს, ოღონდ არა მსაჯის შეურაცხყოფის, არამედ მეტოქე გუნდის ფეხბურთელთან არასპორტული მოპყრობისთვის. მარიკასგან განსხვავებით, ალმეიდასთვის ფულადი ჯარიმა არ დაუკისრებიათ.

## ფინკე იაპონიიდან იბარგება

ცნობილი გერმანელი მწვრთნელის **ფოლკერ ფინკეს** იაპონური კარიერა მთავრდება. გუშინ გავრცელებული და ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაციის თანახმად, 62 წლის სპეციალისტი იაპონურ კლუბ „ურავა რედ დაიმონდსთან" ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, მოქმედ ხელშეკრულებას კი ვადა წლის ბოლოს გასდის და ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ფინკე ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ იაპონიიდან წავა. *„იაპონიაში დიდი და ძალიან საჭირო გამოცდილება მივიღე, ახლა კი დროა, რომ სამშობლოში დავბრუნდე,"* - უთხრა ფინკემ ჩვენს გერმანელ კოლეგებს. შეგახსენებთ, რომ სანამ იაპონიაში წავიდოდა, ფოლკერი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობის კანდიდატიც იყო.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. XIII ტური

# კლასიკური რბევა




ეს იყო მატჩი, რომელსაც მთელი საფეხბურთო სამყარო ელოდა და ეს აღმოჩნდა შეხვედრა, რომელშიც კაცებმა ბავშვებს გადაურბინეს. ყველა კითხვას პასუხი „კამპ ნოუზე“ გაეცა: 90 წუთის განმავლობაში ერთხელაც კი არ ყოფილა მომენტი, როცა „რეალი“ ფეხბურთს თამაშობდა, სტუმრებს წუხელ ეს ფეხბურთის ყველა წესების დაცვით აუკრძალეს...

კაცები და ბავშვები ვახსენეთ და.. წუხანდელი 5:0-ის მთავარი (ერთ-ერთი მაინც) გმირი „ელ გუახე“ (ანუ ბავშვი ასტურიულად) **დავიდ ვილია** იყო, რომლის ანგარიშზე 2 გოლი და საგოლე პასი, პლუს ბევრი ქუსლური პასი და აბსოლუტურად გამასხარავებული ვიზავი **სერხიო რამოსი**, რომელიც ბოლოს ისე „აიჭრა“, ერთ ეპიზოდში მინიმუმ სამჯერ იმსახურებდა გაძევებას.

„ბარსელონამ“ 99 ათას გულშემატკივარს და კიდევ მილიონობით ტელემაყურებელს განსაკუთრებული საღამო აჩუქა, ასეთი სათამაშო უპირატესობა კატალონიურ გუნდს არ ჰქონია თუნდაც „ალმერიასთან“, რომელსაც 8:0 მოუგო! ესპანური დერბი და „კლასიკური“ არ შედგა, სამაგალითოდ სამაგალითოდ კლასიკური რბევა მივიღეთ **ჟოზე მოურინიოს** გუნდისა.

**ჩავი-ინიესტას** დუეტმა მოურინიოს ძაფით ნაკერი დაცვის ხაზი გახსნა და ჩვენ ისევ ის შარშანდელი „რეალის“ დაცვა მივიღეთ, არასაიმედო, ნელი და დაბნეული. ამ ორი გენიოსის საქმე კი დიდებულად განაგრძო კიდევ ერთმა სუპერდუეტმა, რომელიც ჩვენს თვალწინ იბადება - **ლეო მესისა** და დავიდ ვილიას ტანდემზე მოგახსენებთ. ძირითადად ამ ოთხეულის წყალობით, „ბარსამ“ გამჭოლი პასებით „რეალის“ საყრდენებს საყრდენი გამოაცალა, დაცვა ნაწილებად დაშალა, **იოზილი** უბრალოდ „ჩაყლაპა“, **რონალდო** გააჩერა და შეატოვა **იკერ კასილიასს** 11 გამშაგებული კატალონიელი პირისპირ...

1994 წლის შემდეგ „ელ კლასიკო“ ასეთი უპირატესობით „ბარსელონას“ არ მოუგია, 16 წლის წინათაც ზუსტად 5:0 დაფიქსირდა.

გუშინ ჟოზე მოურინიომ, „განსაკუთრებულმა“ ადამიანმა „რეალის“ თავკაცის მანტიით პირველი მარცხი იგემა, მართლაც რომ განსაკუთრებულად მწარე მარცხი...

**ხოსეპ გვარდიოლა:** *„ძალიან გახარებული ვარ, განსაკუთრებით თამაშის შინაარსის გამო, მაგრამ ამ თამაშის მოგებით ლიგა არ მოგვიგია“.*

ჟოზე მოურინიო: *„ერთმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, ერთმა კი - ძალიან ცუდად. ორივემ დაიმსახურა ის, რაც მიიღო. გაგვანადგურეს? არა, უბრალოდ გვაჯობეს“.*

**ბარსელონა-რეალი 5:0**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ჩავი (86. კეიტა), ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო (86. ჟეფრენი), მესი, ვილია (75. კრკიჩი).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ს. რამოსი, პეპე, რ. კარვალიო, მარსელო (59. არბელოა) - ხედირა, ჩ. ალონსო - დი მარია, იოზილი (46. ლ. დიარა), რონალდო - ბენზემა.

**გოლები:** 1:0 ჩავი (9), 2:0 პედრო (17), 3:0 ვილია (54), 4:0 ვილია (56), 5:0 ჟეფრენი (90)

**გაფრთხილება:** ვალდესი, ვილია, მესი, პუიოლი, ჩავი - რონალდო, პეპე, ჩ. ალონსო, კასილიასი, რ. კარვალიო, ს. რამოსი, ხედირა.

**გაძევება:** ს. რამოსი (90)

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 15-5 (6-2); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 98 772

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 13 | 11 | 1 | 1 | 38-8 | 34 |
| 2. რეალი | 13 | 10 | 2 | 1 | 33-11 | 32 |
| 3. ვილიარეალი | 13 | 8 | 3 | 2 | 26-12 | 27 |
| 4. ესპანიოლი | 13 | 8 | 1 | 4 | 15-15 | 25 |
| 5. ვალენსია | 13 | 7 | 3 | 3 | 19-13 | 24 |
| 6. მალიორკა | 13 | 6 | 3 | 4 | 15-13 | 21 |
| 7. სევილია | 13 | 6 | 2 | 5 | 20-22 | 20 |
| 8. ატლეტიკო | 13 | 6 | 2 | 5 | 22-17 | 20 |
| 9. სოსიედადი | 13 | 6 | 1 | 6 | 19-19 | 19 |
| 10. ბილბაო | 13 | 6 | 1 | 6 | 21-23 | 19 |
| 11.ხეტაფე | 13 | 5 | 2 | 6 | 19-20 | 17 |
| 12. ოსასუნა | 13 | 4 | 3 | 6 | 12-14 | 15 |
| 13. ერკულესი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-20 | 15 |
| 14. რასინგი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-19 | 14 |
| 15. დეპორტივო | 13 | 3 | 5 | 5 | 11-16 | 14 |
| 16. ლევანტე | 13 | 3 | 2 | 8 | 14-23 | 11 |
| 17. სპორტინგი | 13 | 2 | 4 | 7 | 11-21 | 10 |
| 18. მალაგა | 13 | 3 | 1 | 9 | 15-27 | 10 |
| 19. ალმერია | 13 | 1 | 6 | 6 | 9-20 | 9 |
| 20. სარაგოსა | 13 | 1 | 5 | 7 | 12-23 | 8 |

ნიკოლოზ ნეფარიძე

INTERNATIONAL BUDO SPORT FEDERATION OF GEORGIA

სიახლე!!!
პირველად საქართველოში!!!

სპეციალური, უნიკალური სავარჯიშო სისტემის მეშვეობით,დროის მოკლე მონაკვეთში რეალურად აიმაღლებთ როგორც ფიზიკური სხეულის,ასევე, ემოციონალურ-მენტალურ თვისობრივ მახასიათებლებსაც, რითაც, შეუდარებლად უფრო დახვეწილი სხეულის ფორმირებისთვის გარანტირებული ხელშეწყობის გარდა, უპირობოდ დადებითად იმოქმედებთ თქვენი შრომის ნაყოფიერებისა და კომუნიკაბელურობის ხარისხობრივ მაჩვენებლებზეც! იმავდროულად, მრავალსაუკუნოვან ტრადიციათა მქონე ამ სისტემით, ორგანიზმის ქოლესტერინისგან გაწმენდის გარდა,უზრუნველჰყოფთ ცხიმთა წვის გააქტიურებული პროცესის შენარჩუნებას სხეულის თვით მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნის დროსაც კი! გარანტირებული ეფექტის კიდევ უფრო დასაჩქარებლად, თქვენი სურვილის შემთხვევაში, ცალკე გათვალისწინებულია სპეციალური მასაჟის კურსის გავლაც!

საწვრთნელი პროცესი მიმდინარეობს ინდივიდუალურ რეჟიმში და იგი უფასოა!!!
ვარჯიშები მიმდინარეობს "ლაგუნა-ვერე"-ს ტრენაჟორების დარბაზში
სამშაბათობით და ხუთშაბათობით 18:00-20:00 სთ პერიოდებში, დაგვიკავშირდით: 899 584859





სიახლე!!!
მოყვარულთათვის!

სპორტ-კომპლექსი „ლაგუნა-ვერე“




შეგასწავლით კარატეს უფასოდ!!!
ნებისმიერი თქვენთაგანი ოფიციალურად გაწევრიანდება საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო ფედერაციაში და შესაბამისად, მასზედ გაიცემა ინდივიდუალური საერთაშორისო ბუდო-პასპორტი!!!
მობ: 899 584859




www.geofight.ge E-mail: geo.fight@yahoo.com მობ: 899 58 48 59

## უცხოური ფეხბურთი

● არგენტინა. აპერტურა

# ჯერი ველესზეა



გასტონ ფერნანდესი გამარჯვების გოლს ზეიმობს

„ესტუდიანტესმა" კინაღამ გაირთულა საჩემპიონო რბოლაში საკუთარი მყარი პოზიციები. მათთვის, ვინც არ იცის: „ინდეპენდიენტე" კოპა სუდამერიკანას ფინალში გავიდა და ძალების დაზოგვისთვის ჩემპიონატის ბოლო მატჩებს ნახევრად სარეზერვო შემადგენლობით ატარებს. და აი, სწორედ ამ რეზერვმა კინაღამ ორი უმნიშვნელოვანესი ქულა დააკარგვინა ლიდერს. სტატისტიკა თავის თავად მეტყველებს ყველაფერზე: „ინდეპენდიენტე" უფრო ხშირად ფლობდა ბურთს, მეტი დარტყმა და კუთხური შეასრულა და ჯარიმებიც ნაკლები ჰქონდა.

პირველი გოლიც მასპინძლებმა საკუთარი სულელური შეცდომის გამო გაუშვეს. **კარლოს მატეუს** საჯარიმოდან ბურთის გატანა უნდოდა, მაგრამ ამის ნაცვლად მეტოქე **ენცო პერესისთვის** პასი გამოუვიდა, რომლისთვისაც გოლის გატანა უადვილესი საქმე იყო.

მასპინძლებმა მეორე ტაიმის სტარტზე ლამაზი სამსვლიანი კომბინაციით გაათანაბრეს - **ნიკოლას მარტინესის** დარტყმა ზედა ძელს მოხვდა და ბურთი ამის შემდეგ შევარდა ბადეში.

რთული სათქმელია, რა ეშველობოდათ „სტუდენტებს" ამ ჩემპიონატში **გასტონ ფერნანდესის** გარეშე. ფორვარდი კიდევ ერთხელ მოევლინა მხსნელად „ესტუდიანტესს" და უძლიერესი თავურით 85-ე წუთზე გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

„ესტუდიანტესმა" ხუთი ქულით გაუსწრო მთავარ კონკურენტ „ველეს სერსფილდს", თუმცა ეს უკანასკნელი ამ ტურის მატჩს დღეს თამაშობს და წესით, არ უნდა გაუჭირდეს შინ „ტიგრეს" დამარცხება, მით უმეტეს, რომ „ველესს" საკუთარ მოედანზე მხოლოდ ოთხი ქულა აქვს დაკარგული.

წინა ტურში „არსენალის" დამარცხების შემდეგ, მოუთმენლად ელოდნენ „ბოკას" შეხვედრას, მაგრამ გრანდს შანსი არ ჰქონია „ნიუელსის" წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ზედმეტად შეაქეს ვუნდერკინდი **არაუხო**, რომელიც პირველად გამოჩნდა „ბოკას" ძირითადში, მაგრამ ვერ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები, **მარტინ პალერმოს** კი ნახევარმცველების სუსტი თამაშის გამო ბურთი თითქმის არ მისდიოდა. „ნიუელსიც" მეტოქის უნიათობის ფონზე იყო გამორჩეული, თორემ მასპინძლებს განსაკუთრებული არაფერი უჩვენებიათ. ერთადერთი გოლი მათ 85-ე წუთზე გაიტანეს. **ლუის როდრიგესს** 25 მეტრიდან ერთი შეხებით ძალიან ეფექტური გოლი გამოუვიდა.

ასეთივე ანგარიშით დასრულდა შეხვედრა „რივერ პლეიტის" მონაწილეობით, ოღონდ მეორე გრანდმა გამარჯვებას მიაღწია. „ოლიმპოს" წინააღმდეგ მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა პარაგვაელი მცველის **ადალბერტო რომანის** გოლი.

ბრწყინვალე თამაში აჩვენა **ხუან პაბლო კარისომ** და არგენტინული პრესა მოუწოდებს **სერხიო ბატისტას** ამ მეკარის ნაკრებში დაბრუნებისკენ. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მომენტი მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე, როცა კარისომ **ბარეიროს** ოთხი მეტრიდან დარტყმული აუღო და „რივერს" გამარჯვება შეუნარჩუნა.

### XVI ტური

**ხიმნასია-გოდოი** 1:3

**გოლები:** 0:1 ნ. სანჩესი (12), 1:1 როხანო (33), 1:2 დ. რამირესი (67), 1:3 მასუერო (72-საკ. კარში)

**არსენალი-სან ლორენსო** 2:1

**გოლები:** 0:1 როვირა (37), 1:1 ობოლო (62), 2:1 მოსკა (90+3)

**კილმესი-ოლ ბოისი** 2:1

**გოლები:** 0:1 მატოსი (10), 1:1 ხ. მორალესი (74), 2:1 რომეო (79)

**ბანფილდი-რასინგი** 1:2

**გოლები:** 0:1 პაუჩი (21), 1:1 კარუშა (24), 1:2 ბილერი (55)

**ინდეპენდიენტე-ესტუდიანტესი** 1:2

**გოლები:** 0:1 ხ. პერეირა (11), 1:1 ნ. მარტინესი (46), 1:2 გ. ფერნანდესი (85)

**ნიუელსი-ბოკა ხუნიორსი** 1:0

**გოლი:** 1:0 ლ. როდრიგესი (85)

**რივერ პლეიტი-ოლიმპო** 1:0

**გოლი:** 1:0 რომანი (32)

**ურაკანი-ლანუსი** დღეს

**არგ. ხუნიორსი-კოლონი** დღეს

**ველეს სარსფილდი-ტიგრე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესტუდიანტესი | 16 | 11 | 3 | 2 | 23-7 | 36 |
| 2. ველესი | 15 | 9 | 4 | 2 | 23-8 | 31 |
| 3. არსენალი | 16 | 8 | 4 | 4 | 19-15 | 28 |
| 4. გოდოი | 16 | 7 | 6 | 3 | 29-18 | 27 |
| 5. რასინგი | 16 | 7 | 4 | 5 | 22-15 | 25 |
| 6. რივერი | 16 | 6 | 7 | 3 | 15-12 | 25 |
| 7. ნიუელსი | 16 | 6 | 7 | 3 | 13-10 | 25 |
| 8. კოლონი | 15 | 6 | 5 | 4 | 18-22 | 23 |
| 9. ოლ ბოისი | 16 | 6 | 4 | 6 | 19-17 | 22 |
| 10. ლანუსი | 15 | 6 | 3 | 6 | 15-19 | 21 |
| 11. არგ. ხუნიორსი | 15 | 5 | 5 | 5 | 16-15 | 20 |
| 12. ბოკა | 16 | 6 | 2 | 8 | 18-19 | 20 |
| 13. სან ლორენსო | 16 | 5 | 5 | 6 | 16-18 | 20 |
| 14. ბანფილდი | 16 | 4 | 7 | 5 | 18-15 | 19 |
| 15. ტიგრე | 15 | 5 | 3 | 7 | 18-20 | 18 |
| 16. ოლიმპო | 16 | 4 | 2 | 10 | 16-24 | 14 |
| 17. კილმესი | 16 | 2 | 7 | 7 | 12-22 | 13 |
| 18. ინდეპენდიენტე | 16 | 2 | 7 | 7 | 13-24 | 13 |
| 19. ურაკანი | 15 | 3 | 4 | 8 | 13-26 | 13 |
| 20. ხიმნასია | 16 | 2 | 5 | 9 | 9-19 | 11 |

**ბომბარდირები:** 9 - მარტინესი (ველესი), სილვა (ველესი); 8 - რამირესი (გოდოი); 7 - სტრაკალურსი (ტიგრე), პალერმო (ბოკა), ობოლო (არსენალი).

# კეთილშობილი რიკელმე

„ბოკა ხუნიორსის" ვარსკვლავმა **ხუან რომან რიკელმემ** თავისი კლუბის მიმართ კეთილშობილური ჟესტი გამოიჩინა. როგორც წინა მიმოხილვაში ვწერდით, ვეტერანმა პლეიმეიკერმა ტრავმა მიიღო და მინიმუმ 2010 წლის ბოლომდე ვერ შეძლებს ვარჯიშს. ამიტომაც რიკელმემ გადაწყვიტა უთამაშებლობის პერიოდში უარი თქვას ხელფასზე. ხუანმა წელს გააფორმა ოთხწლიანი და ხუთმილიონიანი კონტრაქტი „ბოკასთან".

*„მე დაველაპარაკები კლუბის პრეზიდენტს, - ამბობს რიკელმე. - სამართლიანი იქნება, თუ ამ პერიოდში ჩემთვის განკუთვნილი თანხა კლუბში დარჩება. უმჯობესია ეს ფული ახალგაზრდების აღზრდას ან შემადგენლობის გაძლიერებას მოახმარონ.*

*სულაც არ მიხარია ნახევარი წელი უსაქმოდ ყოფნა. ყველაზე კარგი, რაც ახლა შემიძლია გავაკეთო - ხელფასზე უარის თქმა იქნება".*

რიკელმემ თავისი აზრი გამოთქვა „ბოკა ხუნიორსის" მომავალი მთავარი მწვრთნელის შესახებ და მხარი დაუჭირა **მიგელ ანხელ რუსოს** კანდიდატურას, თუმცა ისიც განაცხადა, რომ **დიეგო მარადონასთან** პრობლემა არ შეექმნება: *„ნაკრებში თამაშზე უარის თქმა შემეძლო, რადგან არ ვარ ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელი, მაგრამ „ბოკა" ჩემი სამსახურია და ვალდებული ვარ ყველა მწვრთნელთან გამოვნახო საერთო ენა".*

■ ■ ■

„ბოკა ხუნიორსი" ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურებას აპირებს. არგენტინულ გრანდს შემადგენლობის გასაძლიერებლად ევროპაში მოთამაშე ორი არგენტინელი ჰყავს შერჩეული.



ხუან რომან რიკელმე

ნომერ პირველი სამიზნეა - არგენტინის ნაკრებისა და ჰოლანდიის „ალკმაარის" მეკარე **სერხიო რომერო**. სავარაუდოდ, მას ექვსთვიანი იჯარით აიყვანენ და კოპა ამერიკას შემდეგ 9 მილიონ დოლარად გამოისყიდიან.

მეორე კანდიდატია ფორვარდი **დარიო ცვიტანიჩი**, რომელზეც უფლებები კვლავინდებურად ამსტერდამის „აიაქსს" ეკუთვნის, თუმცა ახლა ეს თავდამსხმელი მექსიკის „პაჩუკას" ღირსებას იცავს.

# რივერის ვუნდერკინდი ფიორეს ერგო?

„რივერ პლეიტის" სენსაციური ფორვარდი **როხელიო გაბრიელ ფუნეს მორი**, შესაძლოა, უახლოეს მომავალში სერია A-ში გადავიდეს სათამაშოდ.

სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა ფორვარდზე სხვადასხვა რანგის ევროპული კლუბები აცხადებენ პრეტენზიას. სანამ გრანდები არგენტინელზე დაკვირვებას აწარმოებენ, მეორე ეშელონის ტოპ-კლუბებმა უკვე დაიწყეს „რივერთან" მოლაპარაკებები.

ავტორიტეტული არგენტინული გამოცემა Ole-ის ცნობით, „მილიონარიოსის" პრეზიდენტმა **დანიელ პასარელამ** უარყო „ბენფიკას" წინადადება - პორტუგალიური კლუბი ფუნეს მორიში 8 მილიონი ევროს იხდიდა. სამაგიეროდ, ამ მიმართულებით უფრო პერსპექტიული ჩანს „ფიორენტინას" ნაბიჯები.

ფლორენციური კლუბის მენეჯმენტს 19 წლის თავდამსხმელისთვის 10 მილიონი ევრო აქვს გამზადებული და ამ თანხას უმატებს არგენტინის ნაკრების ნახევარმცველ **მარიო ბოლატის**.

არგენტინელი ჟურნალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ პასარელა ამ წინადადებას დათანხმდება და ტრანსფერი დროის საკითხია.

● ბრაზილია. სერია A

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფლუმინენსე უკვე ზეიმობს

# ერთი ნაბიჯი ჩემპიონობამდე

სერია A-ს ბოლოსწინა ტურში სამივე ლიდერმა გაიმარჯვა და დასკვნით ტურს მცირედი ინტრიგა შეუნარჩუნა. ყველაზე მეტად „ფლუმინენსეს" გაუჭირდა. მართალია, ლიდერი სტუმრად უმოტივაციო „პალმეირასს" ხვდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ მოისურვა სტატისტის როლში ყოფნა და გვარიანად ანერვიულა მეტოქე. ანგარიში სწორედ „პალმეირასმა" გახსნა. **დინეის** მცველის შეცდომის შემდეგ მიუვიდა ბურთი და არც უფიქრია, ისე გაისროლა 25 მეტრიდან.

„ფლუმინენსე" არ დაიბნა და მალე მომენტი მომენტზე შექმნა. ეს მონაკვეთი **კარლინიოსის** გოლით დასრულდა. სტუმრებმა შეტევები გააგრძელეს, მაგრამ მალე ტრავმის გამო **დეკუ** დაკარგეს და პორტუგალიელის ნაცვლად მოედანზე **ტარტა** გამოვიდა. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა მატჩის გმირი - მეორე ტაიმში დამატებაზე ივარგა და სამი ქულა მოუტანა „ფლუმინენსეს".

ლიდერს არ ჩამორჩა „კორინთიანსი" და მოლოდინისამებრ საკუთარ მოედანზე დაამარცხა „ვასკო და გამა" - 2:0. ანგარიში **ბრუნო სეზარმა** გახსნა - 25 მეტრიდან დაარტყა და რიკოშეტი დაეხმარა, მეორე გოლისას კი **დანილომ რობერტო კარლოსის** პასი გამოიყენა. „კორინთიანსმა" მოიგო, მაგრამ შენარჩუნდა ერთქულიანი ჩამორჩენა „ფლუმინენსესთან", თანაც „კრუზეიროც" ახლოსაა.

„მელიებმა" სტუმრად რთულ ბრძოლაში მოუგეს „ფლამენგოს" - 2:1. არადა, სტარტიდანვე მდევრის როლში აღმოჩნდნენ და რომ არა სწრაფი საპასუხო გოლი, საქმე სერიოზულად გართულდებოდა. კვანძი მეორე ტაიმის შუაში გაიხსნა, როცა **მონტილიომ** მარჯვენა ფლანგიდან შორეულ ძელთან ჩააწოდა და იქ ბურთს **ტიაგო რიბეირო** დახვდა. 2:1 „კრუზეიროს" სასარგებლოდ, მაგრამ ეს გუნდი, ისევე როგორც „კორინთიანსი" სასწაულის მოლოდინში უნდა იყოს, რადგან ბოლო ტურში „ფლუმინენსე" შინ ხვდება „გუარანის", რომელიც უკვე გავარდნილია სერია B-ში.

### XXXVII ტური

**ატ. გოიანიენშე-სან პაულუ** 1:1

**გოლები:** 0:1 როჟერიო სენი (56-პენ), 1:1 ელიაში (64)

**ატ. მინეირო-გოიაში** 3:1

**გოლი:** 1:0 დიეგო სოუზა (15), 1:1 ევერტონ სანტოსი (39), 2:1 რენან ოლივეირა (45), 3:1 დიეგო ტარდელი (63)

**ავაი-სანტოსი** 3:2

**გოლები:** 0:1 კეირისონი (9), 0:2 ნეიმარი (32), 1:2 კაიო (40), 2:2 კაიო (46), 3:2 კაიო (81)

**ბოტაფოგო-გრემიო პრ** 3:1

**გოლები:** 1:0 ანტონიო კარლოსი (30), 2:0 ედნო (44), 2:1 ვილიან ჟოზე (68), 3:1 მარსელო კორდეირო (90-პენ)

**სეარა-ატ. პარანაენსე** 1:1

**გოლები:** 0:1 რაფაელ სანტოსი (36), 1:1 მაგნო ალვეში (43)

**კორინთიანსი-ვასკო და გამა** 2:0

**გოლები:** 1:0 ბრაუნო სეზარი (40), 2:0 დანილო (57)

**ფლამენგო-კრუზეირო** 1:2

**გოლები:** 1:0 დიეგო მაურისიო (9), 1:1 როჟერი (16), 1:2 ტიაგო რიბეირო (68)

**გუარანი-გრემიო** 0:3

**გოლები:** 0:1 ანდრე ლიმა (23), 0:2 ჟონასი (78-პენ), 0:3 დიეგო (83)

**ინტერნასიონალი-ვიტორია** 1:1

**გოლები:** 0:1 ადაილტონი (50), 1:1 რაფაელ სობისი (62)

**პალმეირასი-ფლუმინენსე** 1:2

**გოლები:** 1:0 დინეი (4), 1:1 კარლინიოსი (19), 1:2 ტარტა (58)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 37 | 19 | 11 | 7 | 61-36 | 68 |
| 2. კორინთიანსი | 37 | 19 | 10 | 8 | 64-40 | 67 |
| 3. კრუზეირო | 37 | 19 | 9 | 9 | 51-37 | 66 |
| 4. გრემიო | 37 | 16 | 12 | 9 | 65-43 | 60 |
| 5. ბოტაფოგო | 37 | 14 | 17 | 6 | 54-39 | 59 |
| 6. ატ. პარანაენსე | 37 | 16 | 9 | 12 | 42-45 | 57 |
| 7. სანტოსი | 37 | 15 | 10 | 12 | 63-50 | 55 |
| 8. ინტერნასიონ. | 37 | 15 | 10 | 12 | 45-41 | 55 |
| 9. სან პაულუ | 37 | 14 | 10 | 13 | 50-54 | 52 |
| 10. პალმეირასი | 37 | 12 | 14 | 11 | 41-41 | 50 |
| 11. სეარა | 37 | 10 | 17 | 10 | 35-42 | 47 |
| 12. ვასკო და გამა | 37 | 10 | 16 | 11 | 41-45 | 46 |
| 13. ატ. მინეირო | 37 | 13 | 6 | 18 | 52-60 | 45 |
| 14. ავაი | 37 | 11 | 10 | 16 | 49-57 | 43 |
| 15. ფლამენგო | 37 | 9 | 16 | 12 | 41-44 | 43 |
| 16. ატ. გოიანენსე | 37 | 11 | 8 | 18 | 51-57 | 41 |
| 17. ვიტორია | 37 | 9 | 14 | 14 | 42-48 | 41 |
| 18. გუარანი | 37 | 8 | 13 | 16 | 33-52 | 37 |
| 19. გოიაში | 37 | 8 | 8 | 21 | 40-67 | 32 |
| 20. გრემიო პრ | 37 | 7 | 10 | 20 | 39-61 | 28 |

**ბომბარდირები:** 22 - ჟონასი (გრემიო); 17 - ნეიმარი (სანტოსი); 14 - ბრუნო სესარი (კორინთიანსი); 12 - ობინა (ატ. მინეირო), ელიაში (ატ. გოიანენსე); 11 - აბრეუ (ბოტაფოგო).

# ნომინანტები

ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, ავტორიტეტულმა გამოცემა Globo Esporte-მ ბრაზილიის ჩემპიონატის „წლის მოთამაშისა" და სხვა ნომინაციებში კანდიდატები დაასახელა. ნომინანტთა სრული სია ასე გამოიყურება:

**მეკარე:** ფაბიო (კრუზეირო), ჯეფერსონი (ბოტაფოგო), ვიქტორი (გრემიო);

**მარცხენა მცველი:** ჯონათანი (კრუზეირო), ლეო მოურა (ფლამენგო), მარიანო (ფლუმინენსე);

**მარჯვენა ცენტრალური მცველი:** ალექს სილვა (სან პაულუ), შიკაო (კორინთიანსი), დედე (ვასკო);

**მარცხენა ცენტრალური მცველი:** ლეანდრო ეუსებიო (ფლუმინენსე), მირანდი (სან პაულუ), რეკერი (ატ. მინეირო);

**მარცხენა მცველი:** კლებერი (ინტერნასიონალი), დიეგო რენანი (კრუზეირო), რობერტო კარლოსი (კორინთიანსი);

**მარჯვენა ნახევარმცველი:** ფაბრისიო (კრუზეირო), ჟუსილეი (კორინთიანსი), ვილიანსი (ფლამენგო);

**მარჯვენა ცენტრალური ნახევარმცველი:** ანდრეს დ'ალესანდრო (ინტერნასიონალი), მონტილიო (კრუზეირო), პაულო ბაიერი (ატ. პარანაენსე);

**მარცხენა ცენტრალური ნახევარმცველი:** ბრუნო სეზარი (კორინთიანსი), დარიო კონკა (ფლუმინენსე), დუგლასი (გრემიო);

**მარცხენა ნახევარმცველი:** აროუკა (სანტოსი), ელიასი (კორინთიანსი), მარკო ასუნსაო (პალმეირასი);

**თავდამსხმელები:** ედერ ლუისი (ვასკო), ჟონასი (გრემიო), ტიაგო რიბეირო (კრუზეირო), კლებერი (პალმეირასი), ლოკო აბრეუ (ბოტაფოგო), ნეიმარი (სანტოსი);

**წლის მწვრთნელი:** კუკა (კრუზეირო), მურისი რამალიო (ფლუმინენსე), რენატო გაუშუ (გრემიო).

**საუკეთესო მოთამაშე:** დარიო კონკა (ჯერჯერობით 265 938 ხმა), დედე (170 451), ბრუნო სეზარი (163 858).

■ ■ ■

თურქეთის „გალათასარაის" ნახევარმცველ **ელანოს** მობეზრდა ევროპაში თამაში და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

დონეცკის „შახტარისა" და „მანჩესტერ სიტის" ყოფილმა მოთამაშემ დაკარგა ადგილი ბრაზილიის ნაკრებში და ახლა სეზონის ბოლომდეც არ სურს თურქეთში დარჩენა.

29 წლის ელანო ბლუმერი მშობლიურ „სანტოსს" უმიზნებს. ვარაუდობენ, რომ ტრანსფერის თანხა დაახლოებით 9 მილიონი ევრო იქნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ოლიმპიური კომიტეტი. პრესკონფერენცია

# ქართული ცეცხლი და ოლიმპიურ ჩემპიონთა ცრემლი ბელგრადში

## ქართველმა გოგომ დივაცი აატირა

ქართული დელეგაცია გუშინ გამთენიისას დაბრუნდა ბელგრადიდან, სადაც ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა გენერალურ ასამბლეაზე ისტორიული მოვლენა დაფიქსირდა - თბილისი 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლად აირჩიეს. ჩვენი მეტოქე ჩეხური ბრნო იყო, ფარული წილისყრის შედეგები კი ასეთია - 26:21 თბილისის სასარგებლოდ. გუშინვე დელეგაციის ხელმძღვანელობამ ოლიმპიური კომიტეტის ოფისში პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც სეოკ-ის პრეზიდენტი და ამ გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი ინიციატორი **გია ნაცვლიშვილი** უძღვებოდა.

ჟურნალისტებთან შეხვედრაც პრეზიდენტის მილოცვით დაიწყო: *„მინდა, ეს გამარჯვება მივულოცო მთელ საქართველოს, ვეტერან სპორტსმენებს და თქვენ - სპორტულ ჟურნალისტებს, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიისას დაგეგმილ ყველა ღონისძიებას ფართოდ და კარგად აშუქებდით. ამ წარმატებით თქვენც ბევრი და კარგი სამუშაო გეძლევათ, რადგან უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში საქართველო დატვირთული იქნება ისეთი ღონისძიებებით, რაც აქამდე არ ყოფილა. ამიერიდან ოლიმპიური კომიტეტი და ქალაქის მერია საკმაოდ დაძაბულ და რთულ მუშაობას ვიწყებთ. რა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად - თქვენც, სპორტული მედიაც“.*

პრესკონფერენციაზე ნაცვლიშვილმა ის დამხმარე გუნდიც გაამხილა, რომელიც ბელგრადში წარსადგენ საპრეზენტაციო პროგრამაზე მუშაობდა. მისი თქმით, ამ თემაზე ინფორმაციას შეგნებულად ასაიდუმლოებდნენ - თურმე ეშინოდათ, გარკვეული დეტალები ინტერნეტში არ მოხვედრილიყო და ამ გზით კონკურენტებს არ ჩავარდნოდა ხელში. პრეზენტაცია **დავით დოიაშვილმა** და **კოტე ფურცელაძემ** დადგეს, რომლის წამყვანადაც ცნობილი ჟურნალისტი **ნუგზარ რუხაძე** მოგვევლინა, ქორეოგრაფიული ნომრები კი ანსამბლ „კავკასიონის“ ბავშვებმა შეასრულეს (ხელმძღვანელი **ანგული ქავთარაძე**). ქართულ დელეგაციაში შედიოდნენ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები **დავით გობეჯიშვილი** (სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტიცაა) და **ნინო სალუქვაძე**. ასამბლეაზე ფრანგულ ენაზე სპეციალური მიმართვა გააკეთა პარლამენტის ვიცე-პრემიერ **გიორგი ბარამიძის** ქალიშვილმა **ანა ბარამიძემ**, რაც თურმე ერთ-ერთი ემოციურად გამორჩეული მომენტი გახდა - ამ მიმართვამ მონაწილეებზე ისე იმოქმედა, ზოგს თვალზე ცრემლიც კი მოადგაო. მათ შორის გობეჯიშვილს და სერბეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, უცნობილეს კალათბურთელ **ვლადე დივაცს**, რომლის ცხოვრებაშიც ერთი გამორჩეული შტრიხია - ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ატეხილი სამოქალაქო ომის შედეგად დაობლებულ ბავშვს ზრდის. ატირებულმა დივაცმა თურმე პარალელი შვილობილთან გაავლო, ანას პერსონალურად გადაუხადა მადლობა და უთხრა, შენი გამოსვლის გამო მხარს თბილისს დავუჭეროო.

პრეზენტაციაში ასევე მონაწილეობდა ჩვენი სახელოვანი დუეტი „ჯორჯია“ **მაკა ზამბახიძისა** და **რატი დურგლიშვილის** შემადგენლობით. აღსანიშნავია, რომ ყველა მონაწილე თავის ნომერს ცოცხლად ასრულებდა, რაც სრული მოულოდნელობა და ძალზე ეფექტური აღმოჩნდა ასამბლეის მონაწილეებისთვის. თურმე ევროპელები იქით ანა ბარამიძის მიმართვამ აატირა, აქეთ - „კავკასიონის“ ბავშვების მიერ დანთებულმა საცეკვაო ცეცხლმა მოახდინა ფურორი და ოვაციები არ დაიშურეს, იქით - **რუსა მორჩილაძის** მუსიკასა და **ბიბი კვაჭაძის** ტექსტზე შექმნილმა ფესტივალის ჰიმნმა (კლიპი **ზაზა ორაშვილმა** გადაიღო), რომელიც დუეტმა „ჯორჯიამ“ შეასრულა. პრეზენტაცია ახალი სიტყვა აღმოჩნდა ანალოგიურ ღონისძიებებში და დიდწილად განსაზღვრა გამარჯვებულის ვინაობა. ცერემონიალის შემდეგ თურმე ევროპელები ამბობდნენ, მსგავსი რამე დიდ ოლიმპიადებზეც არ გვინახავსო და თან ამატებდნენ, თქვენ ამით მეტოქე მოკალითო. ამ პროგრამის პრემიერა წილისყრის წინა დღესაც შემდგარა, როცა საქართველოს წარდგინება ხდებოდა და მაშინაც დიდი მოწონება დაუმსახურებია. ქვეყნის წარდგინების ცერემონიალმაც დიდი აჟიოტაჟით ჩაიარა - ქართული ცეკვა-სიმღერის გარდა, ევროპელებმა ქართული ღვინოებიც დააჭაშნიკეს.

ასამბლეის მონაწილეებზე დიდი გავლენა მოახდინა პოლიტიკური ელიტის აქტიურობამ - ქვეყნის პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის** პირდაპირმა მიმართვამ, დედაქალაქის მერ **გიგი უგულავას** თუ გიორგი ბარამიძის ჩასვლამ. სამივე მათგანის სიტყვას ძალზე დიდი ფასი დაედო, რადგან ეს სახელმწიფო დონეზე გაცემული გარანტიების ტოლფასია, რაც ფესტივალის ღირსეულად ჩატარების წინაპირობაა. ბარამიძის ჩასვლას რუსთა მითქმა-მოთქმაც გამოუწვევია, რადგან კარგად ახსოვდათ ჩვენი ხელისუფლების პოზიცია სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით და ამ თემაზე ბარამიძის მიერ გაკეთებული განცხადებები.

ეტყობა, რუსთა გულისწყრომა ჩვენი სეოკ-ის ხელმძღვანელებისა და რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტ **ალექსანდრ ჟუკოვის** შეხვედრამ გაანელა, რომელიც რუსეთის ვიცე-პრემიერიცაა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ მოლაპარაკებას მოჰყვა რუსეთის ოფიციალური განცხადება, რომ ბელგრადში მხარს თბილისის კანდიდატურას დაუჭერდნენ. ნაცვლიშვილის სიტყვებით, ეს იყო წმინდა სპორტული თემატიკის შეხვედრა და პოლიტიკაზე ლაპარაკი არ ყოფილაო, თუმცა დასძინა, რომ თავის დროზე საქართველომ მხარი დაუჭირა სოჭის კანდიდატურას, მაგრამ შედეგად აგვისტოს ომი მივიღეთო. ამის მიუხედავად, მან ჟუკოვი მაინც მოიწვია საქართველოში და თანხმობაც მიიღო, თუმცა ზუსტი ვადები ჯერ არაა ცნობილი. ნაცვლიშვილმა გამოთქვა იმედი, რომ უახლოეს წლებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობა მოწესრიგდება.

*„მიმაჩნია, რომ ევროპამ სწორი გადაწყვეტილება გამოიტანა და ევროკავშირისკენ კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი სპორტმა გადადგა, რაც, ალბათ, ლოგიკურია, რადგან სხვა სფეროებთან შედარებით, ყველაზე დიდი წარმატებები გააჩნია. თუმცა ეს გამარჯვება არა მხოლოდ ოლიმპიური კომიტეტის ან დღევანდელი სპორტსმენების წარმატება, არამედ იმ ვეტერანებისა, რომლებმაც ქართული სპორტის ისტორია შექმნეს. ამის გარეშე მსგავსი მიღწევა გაგვიჭირდებოდა და მადლობა ვეტერანებს იმ სპორტული მატიანესთვის“* - თქვა ნაცვლიშვილმა. მან არც ის დამალა, რომ ცოტა მეტ ხმას ელოდა, მაგრამ რამდენიმე ქვეყანამ „გადაგვაგდო“, თუმცა რაკიღა მოვიგეთ, ახლა ამას მნიშვნელობა არც აქვს. ნაცვლიშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველა მხარდამჭერ ქვეყანას, განსაკუთრებით კი სომხეთსა და აზერბაიჯანს. თურმე ის შიშობდა, რომ მეზობლები თავს შეიკავებდნენ, რადგან ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ უახლოეს ათწლეულში კავკასია მსგავს კომპლექსურ ღონისძიებას ვერ მიიღებს ანუ თუ მათაც სურდათ რაღაც ასეთის მასპინძლობა, ამ სურვილზე ხელი უნდა აეღოთ. ამის მიუხედავად, ნაცვლიშვილი დარწმუნებულია, რომ ორივემ დაგვიჭირა მხარი და სანაცვლოდ არც ჩვენ დარჩებით ვალში, თუ მათ ოდესმე საქართველოს ხმა დასჭირდებათ. ცხადია, პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ამ გადაწყვეტილების პოლიტიკურ ასპექტს და განაცხადეს, რომ ეს საქართველოს ახალ პერსპექტივებს უქადის ევროკავშირისკენ, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. ნაცვლიშვილმა ისიც თქვა, რომ თავიდან მათ შანსებს ექსპერტები მხოლოდ 10%-ით აფასებდნენ და ისიც იზიარებდა ამ შეფასებას.

რაც შეეხება ახალ სპორტულ ბაზებს, მათი ნაწილი უკვე მწყობრშია და საერთაშორისო ექსპერტების მოწონებაც დაიმსახურა, ნაწილი კი უნდა შერემონტდეს და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდეს. ეს ყველაფერი აუცილებლად გაკეთდება. მით უფრო, დედაქალაქი ორმაგად ამოიღებს დანახარჯს, მაგრამ ფინანსებზე უფრო მნიშვნელოვნად მათ დღევანდელი ვაკუუმის გარღვევა მიაჩნიათ, რაც თავისთავად მოჰყვება ამ ფესტივალს. წინასწარი გათვლებით, თბილისში 20 ათასამდე ევროპელი ჩამოვა, რომლებიც გაეცნობიან ქართულ კულტურას, წარმოდგენას შეიქმნიან ჩვენს ქვეყანაზე...

როგორც იცით, ამ ფესტივალის პროგრამაში ცხრა სახეობაა - კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, ცურვა, ჩოგბურთი, ძიუდო, ტანვარჯიში, ველოსპორტი, მძლეოსნობა. საზოგადოებისთვის საინტერესო თემაზე - რატომ არ შევიდა ფეხბურთი თამაშების პროგრამაში, ნაცვლიშვილმა უპასუხა, რომ ამის უფლებას ზემდგომნი არ იძლევიან, თორემ მათ წყალბურთისა და ჭიდაობის შეტანაც სურდათ, სადაც წარმატების იმედი ჰქონდათ, მაგრამ უარი მიიღეს. იგეგმება ოლიმპიური სოფლის აშენებაც - ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე. იქ ბიზნესმენი **ბიძინა ივანიშვილი** სტუდენტური ქალაქის აშენებას აპირებს, რომლის თავდაპირველი დანიშნულებაც ოლიმპიური სოფლის ფუნქცია იქნება, ხოლო მისი დასრულების შემდეგ საუნივერსიტეტო ქალაქის სტატუსით გააგრძელებს ცხოვრებას, რაც სპორტულ ბაზებთან ერთად, ასევე დიდი შენაძენი იქნება ქალაქისთვის.



**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი. პრესკონფერენცია

# გზა გავლილი და გასავლელი

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავკაცად მომავალი ოთხი წლით კვლავ არჩეულმა დიდოსტატმა **გია გიორგაძემ** გუშინ პრესკონფერენცია მოაწყო. უპირველესად 3 დეკემბრიდან გასამართავ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატს შეეხო. თურქეთში საასპარეზოდ საქართველოდან ოთხი დიდოსტატი — ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი** და **სოფიკო ხუხაშვილი** — გაემგზავრება პირად მწვრთნელებთან (**ხვიჩა სუპატაშვილი, ზურაბ სტურუა, მერაბ გაგუნაშვილი, დავით არუთინიანი**) ერთად. *„ჩვენს მოჭადრაკეებს რეალური შანსი აქვთ, მაღალი ადგილებისთვის იბრძოლონ. განსაკუთრებით ჩიბურდანიძის და ძაგნიძის გვეიმედება, რომლებიც ბოლოდროინდელი შედეგებით გამოირჩევიან, თუმცა ლომინეიშვილსა და ხუხაშვილსაც მაღალი ამბიციები გააჩნიათ“*, — აღნიშნა გია გიორგაძემ.



გია გიორგაძე

მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა თურქული ბატალიებით არ ამოიწურება, რადგან იქ და ფიდეს გრანპრის გამარჯვებულნი **ალექსანდრა კოსტენიუკთან** და მსოფლიოს რეიტინგით უპირველესთან ერთად კვლავ მიუსხდებიან გვირგვინისთვის 64-უჯრიან დაფებს. იმ კვარტეტში მოხვედრა ორმაგად შეუძლია ძაგნიძეს, რომელიც ფიდეს გრანპრის პირველ გათამაშებაში ბოლო ეტაპის წინ მეორე ადგილზეა და გაისად ჩილეში მეორე ადგილიც ჰყოფნის საერთო წარმატებისთვის.

*„ეს ორი შეჯიბრება ჩვენთვის პრესტიჟულიცაა და პრიორიტეტულიც. 19 წლის წინათ დაკარგული ტიტული უნდა დავიბრუნოთ. ბოლო სამი წელიწადია, ქართული ჭადრაკი აღმავლობის გზაზეა. ვგულისხმობ დრეზდენსა და ხანტი-მანსიისკში მოპოვებულ საჭადრაკო ოლიმპიადების ოქროს და ბრინჯაოს, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ჩვენი ქალების მეორე ადგილს, კონტინენტის პირად პირველობებზე ბადურ ჯობავას მეორე და მესამე ადგილებს, ახალგაზრდების ასაკობრივ პირველობებში მოხვეჭილ ჯილდოებს. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ დაფნის გვირგვინს სულ სხვა ხიბლი აქვს. ნანა ძაგნიძესთან ერთად წარმატებებით ყველა გაგვაოცა ბადურ ჯობავამ. წლეულს მან ხანტი-მანსიისკში თვით მაგნუს კარლსენი დაამარცხა, რამდენიმე დღის წინათ კი ხარკოვის საერთაშორისო ტურნირზე წლევანდელი ოლიმპიადის გამარჯვებულს, მსოფლიოს ექსჩემპიონ რუსლან პონომარიოვსა და პაველ ელიანოვს სძლია. კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია ნებისმიერ მოჭადრაკეს, მოუგოს. ამიტომაც გადავწყვიტეთ, გაისად ძაგნიძე-ჯობავასთვის სამწვრთნელო შტაბი შევქმნათ, უცხოელი სპეციალისტებიც მოვიწვიოთ. ამას კი სათანადო დაფინანსება სჭირდება. სწორედ ამ სიტუაციის გათვალისწინებით, სპორტის სამინისტროში წარვადგინეთ ჭადრაკის განვითარების პროგრამა, სადაც ცალკე მუხლადაა გამოყოფილი მომავალ ბიუჯეტში ორივე დიდოსტატისთვის მხარდასაჭერი პროგრამა, რასაც, იმედია, გაითვალისწინებენ“*, — აღნიშნა ფედერაციის თავკაცმა.

პრესკონფერენციაზე ითქვა ისიც, რომ ქალთა ნაკრებს გაისად ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელის — ევროპისა (ბულგარეთი, ნოემბერი) და მსოფლიოს (თურქეთი, დეკემბერი) ჩემპიონატები, რომლებისთვისაც მზადება, ფაქტობრივად, ეროვნული ჩემპიონატით დაიწყება. ეს შეჯიბრება კი გაისად 9 იანვარს აიღებს სტარტს, ნაადრევად მისი გამართვა იმითაა განპირობებული, რომ პრიზიორები ფედერაციამ ტურნირზე გასამგზავრებლად უნდა დააფინანსოს, საწვრთნელი შეკრებაც მოუწყოს, ცხადია, ვაჟებთან ერთად.

ქალთა ნაკრებში მოსახვედრად, მოგეხსენებათ, კონკურენცია საკმაოდ მაღალია. წლეულს კანდიდატთა რიცხვს შეემატა ნაზი პაიკიძეც, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა მოსკოვის ჩემპიონატში, რუსეთის უმაღლეს ლიგასა და სუპერფინალში. ფედერაციამ იგი 2011 წლის ეროვნულ ჩემპიონატზე მოიწვია და სამომავლო ურთიერთობებიც მაშინ გაირკვევა. არადა, მოგეხსენებათ, ქართველ დიდოსტატს რუსეთის ჭადრაკის ფედერაცია უპირებს გადაბირებას, რადგან ნაზის ორმაგი მოქალაქეობა აქვს — საქართველოსი და რუსეთისაც.

ფედერაციის პრეზიდენტი სკოლებში ჭადრაკის სწავლებასა და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, 2011 წელს საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის გამართვასაც შეეხო. *„ისეთი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულიცაა საკლუბო ჩემპიონატები რომ არ ტარდება. უკვე ვესაუბრე რეგიონების ხელმძღვანელებს, რამდენიმე წარმატებული კომპანიის მესვეურებს ამის თაობაზე. ვიმედოვნებთ, რომ ისინი ითანამშრომლებენ ჩვენს ფედერაციასთან, ჩამოვაყალიბებთ რამდენიმე კლუბს და ეროვნულ ჩემპიონატსაც გავმართავთ, რაც ჩვენი მოჭადრაკეების ოსტატობის ამაღლებასა და ქართული საჭადრაკო სკოლის წინსვლასაც შეუწყობს ხელს“*, — გვითხრა გია გიორგაძემ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ქალები ქართულ სპორტში

# ბადესთან მიმნყვდეული ქალთა ფრენბურთი

ევროპული ქვეყნების მსგავსად, ჩვენი მეზობლებიც არაერთ მილიონს ხარჯავენ ქალთა ფრენბურთის პოპულარიზაციისთვის. მსოფლიო რეიტინგის ლიდერთა შორისაა რუსეთი. აზერბაიჯანისა და თურქეთის ფრენბურთის ფედერაციები გამართული ინფრასტრუქტურითა და პერსპექტივით იწონებენ თავს. მათ ფონზე კი ქართველ ფრენბურთელ გოგონებს ნამდვილად არ ულხინთ.

რუბრიკის სტუმრები ქალთა ფრენბურთის ნაკრების წევრი, გამთამაშებელი **ნათია ბანძელაძე** და ნაკრების კაპიტანი, პირველი ტემპი **დალი ალიბეგაშვილი** არიან.

### ბედი - თავისუფალი მოთამაშე

ნათია ბანძელაძე: „ფრენბურთის თამაში 14 წლისამ დავიწყე. სიმაღლეში ზრდას მწვრთნელთა მიერ ჩემ მიმართ დაინტერესებაც მოჰყვა. პავლე მაჩაიძის თხოვნით, ინტენსიურად ვვარჯიშობდი. მოგვიანებით, ირანში ქალთა ისლამური თამაშების ტურნირში მივიღე მონაწილეობა... მნიშვნელოვანი ტურნირი არ იყო, თუმცა ფრენბურთისადმი პროფესიულ დონეზე ჩემი დაინტერსება განაპირობა“.

დალი ალიბეგაშვილი: *„დედის მეგობრის ირმა მეტრეველის დამსახურებაა, რომ ფრენბურთს ვთამაშობ. დედა ფრენბურთელი და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყო. არ სურდა, მეც ფრენბურთი მეთამაშა. იცოდა, რა პრობლემების წინაშეც აღმოვჩნდებოდი“*.

### ქალთა პირველობის ჩემპიონები

საქართველოს ფრენბურთელ ქალთა პირველობაში 7 გუნდი მონაწილეობდა. დედაქალაქს „თბილისი“ და „თბილისი 2“ წარმოადგენდა. თანხების უქონლობის გამო, წლეულს მხოლოდ „თბილისი„ ასპარეზობს. რეგიონებიდან ბათუმის „ბათუმი“ და დიდი ჯიხაშის „ჯიკო„ ცდილობენ საუკეთესო სამეულში პოზიციების დაკავებას. ბათუმელებს ხელფასიც აქვთ და კარგ პირობებშიც ვარჯიშობენ, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენებზე.

ნათია ბანძელაძე და დალი ალიბეგაშვილი „თბილისის“ ფრენბურთელები არიან. მათ შარშან „ჯიკოს“ 8-წლიანი ჰეგემონია დაამხეს და ქვეყნის პირველობა მოიპოვეს. ისინი ამბობენ: *„პირობების არქონის გამო ფიზიკური მომზადება გვაკლია, თუნდაც კვირაში მინიმუმ ერთხელ ტრენაჟორებზე ვარჯიშიც კი სანატრელი გაგვიხდა. ამ ეტაპზე ავლაბრის სკოლაში არასტანდარტულ დარბაზში ვვარჯიშობთ. ასეთი პირობების მიუხედავად შევძელით და რვაგზის ჩემპიონ „ჯიკოს“ პირველობა ჩამოვართვით“*.

### ჯოჯოხეთიდან სამოთხეში

ერთი წლის წინ დალის გაუმართლა და თურქეთის მეორე ლიგის გუნდ „კოშკუნოზ სპორტში“ 9 თვით ჩაირიცხა. *„ივნისიდან გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი.*

» მე-13 გვერდზე

## ქართული სპორტი

მოყვარეს პირში უძრახე

ინტერვიუ რომან რურუასთან

# უფუნქციო მოადგილე

## რომან რურუა: შეიძლება კაცი სულ არ იყო სპორტსმენი, მაგრამ იყო ძალიან კარგი ხელმძღვანელი

**დღეს „ლელოს" სტუმარია მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი (წაუგებლად), სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების სამგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი რომან რურუა.**

**ამას წინათ, ბატონმა რომანმა დემონსტრაციულად დატოვა ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი...**

**– ბატონო რომან, რა გეკისრებოდათ ჭიდაობის ფედერაციაში და რამ გაიძულათ, იქიდან წამოსულიყავით?**

– მართალი გითხრათ, ამ თემაზე ლაპარაკს არ ვაპირებდი, მაგრამ ხათრს ვერ გიტეხავთ, რაკი მთხოვეთ, გულახდილად ვისაუბროთო, დაე, ასე იყოს. შემომთავაზეს ფედერაციაში მისვლა და მონაწილეობა იმ რეფორმებში, რის განხორციელებასაც აპირებდნენ.

მე ფედერაციის პრეზიდენტიც ვიყავი, მაგრამ ძალიან ცუდ დროს, როცა ქვეყანა დაქცეული იყო, კუპონიზაციის პერიოდზე მოგახსენებთ, მაშინ არავინ იცოდა, ქვეყანა საით მიექანებოდა. სახელმწიფოს ჭიდაობის დარდი კი არა, მოსახლეობის გამოკვების საშუალება არ ჰქონდა. აი, ასეთ დროს ვიკისრე პრეზიდენტობა. მართალია, დიდი წარმატებები არ მქონია, ვერაფერს დავიბრალებ, მაგრამ, დამეთანხმებით, იმ დროს ეს შეუძლებელიც იყო. თუ რამ შედეგი მქონდა, ეს ადრინდელი, ჩემამდელი მუშაობის წყალობით იყო. ამიტომ, როცა არჩევნების მეორე პერიოდმა მოაღწია, ვინმესთვის უნდა გადამეცა პოსტი. მეორე არჩევნებზე ჩემი კანდიდატურა აღარ დამიყენებია და დავით გობეჯიშვილი გახდა პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, მასაც რთულ სიტუაციაში მოუხდა მუშაობა და ვერც მან დაატყო ხელი ჭიდაობას.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, კახა გენაძემ მიმიწვია. მე იმიტომ მივედი ვიცე-პრეზიდენტად, რომ ვიფიქრე, სახელმწიფო გვერდში უდგას ამ კაცს, მასაც რაღაც რეფორმები აქვს ჩაფიქრებული და თუ რაიმე შემიძლია, ყველნაირად ხელს შევუწყობ და დავეხმარები-მეთქი. მაგრამ, მივედი თუ არა, დავინახე უსაქმურობა, არავინ არაფერს აკეთებდა.

პირველ რიგში, მოვითხოვე, საიდან დავიწყო, თქვენი აზრი მაინტერესებს-მეთქი. ვერ შეიკრიბა ფედერაცია ერთხელ, მეორედ, მესამედ. ველარ გავიგეთ, რა უნდათ ფედერაციის წევრებს, შეუძლიათ კი მუშაობა, იქნებ არ შეუძლიათ. არადა, პირველივე დღეს უნდა გარკვეულიყო, ფედერაციაში ვის რა ფუნქცია ევალა. ჭრანაირი ამგვარი საუბარი არ შემდგარა და დავრჩი უფუნქციოდ.

მით უმეტეს, კაცი, რომელიც ძველ ფედერაციაში მუშაობდა, ხოლო ახალში არავის აურჩევია, ისევ მუშაობს და იგივე ფუნქცია დარჩა, რაც მანამდე ჰქონდა. მე კიდევ, ახალმოსული უფუნქციოდა ვარ.

**– ვისზეა ლაპარაკი, არ იტყვით?**

– არა, რატომ უნდა ვთქვა, იმ კაცს არაფერს ვერჩი, არ მინდა გული ვატკინო. თუ უნდა, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს იქაურობა, მაგრამ მე თუ მიწვევ, გამითავისუფლე რა, ადგილი. ყველაფერმა ამან, ბუნებრივია, ჩემში უკმაყოფილება გამოიწვია. მე და სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მერაბ ლუდუშაურმა გადავწყვიტეთ, ცალკე გველაპარაკა ფედერაციის პრეზიდენტთან. ვსხედვართ და ვსაუბრობთ. ამ დროს დაუკითხავად შემოდის პიროვნება და ისე, რომ არავინ არაფერს ეკითხება, იწყებს მტკიცებას, მე ხომ კარგი ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი, ეს გავაკეთე, ის გავაკეთეო.

პრეზიდენტმა იმ კაცს არ უნდა უთხრას ახლა ამის დრო არ არის, ამ თემაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, საქმე მაქვს, ხალხი მოვიდა და სხვა საკითხს ვარკვევთო?

ეს კიდევ არაფერი. ამ დროს შემოდის მეორე პიროვნება, გალეწილი მთვრალი, და პრეზიდენტს ეუბნება, შენ გარდა არავის ვცნობ ჭიდაობაშიო. ესე იგი, რა გამოდის, დანარჩენი ყველა ფეხებზე მკიდიაო?! და ამას ვისმენთ პრეზიდენტი და მე, ვიცე-პრეზიდენტი. ამის მერე ჩემი დარჩენა იქნებოდა?! პრეზიდენტს ამას უბედავს და ვიცე-პრეზიდენტს უარესი მოუვა, არა?! ისე, მე რა უნდა გამიბედონ მაგ ლაწირაკებმა, იმ ღლაპებმა!

დავანებოთ ამას თავი. პრეზიდენტს ვეკითხები, ბატონო კახა, რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ ჭიდაობაში, რისთვის დაგვიძახე-მეთქი. იდექი ჩვენს გვერდზეო. კაცო, შემძულდა ეს სიტყვა! მნიშვნელობით შესანიშნავი სიტყვაა, მაგრამ შემძჯავრდა! კარგი, ბატონო, გიდგავარ გვერდში, მაგრამ სადამდე უნდა ვიდგე, ეს ოხერი, დარჭობილი ხომ არა ვარ პალოსავით, მითხარი, რა გავაკეთო და გავაკეთებ, თუ არა და, მერე პასუხი მომთხოვე. არა, უბრალოდ, ჩვენს გვერდზე იყავიო. ესე იგი, შირმა ხარო, რა!

ახლა გეკითხებით, ჭიდაობა რომ ჩავარდეს, ვის მოსთხოვენ პასუხს, გენაძემ თვითონაც აღიარა პრესაში, ჭიდაობისა არაფერი ვიციო. რურუა იმიტომ მოვიყვანე, საქმე რომ ეკეთებინა, მე რომ ვიცოდე, რურუა რად მინდოდაო. გეთანხმებით, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ რომ მომიყვანე, ფუნქცია მომეცი, დამასაქმე, გაათავისუფლე ის კაცი, ვინც იყო ჩემამდე და დამავალე საქმე. საჩხუბრად ხომ არ მომიყვანე!

ერთი სიტყვით, ის გალეშილი კაცი შევატოვეთ ხელში და ვუთხარით, კარგად ბრძანდებოდეთო. ავდექით მე და ლუდუშაური და წამოვედით.

ამის შემდეგ ხმა არ ამომიღია, არც პრესაში მითქვამს რამე და არსად. ერთი კი ვიფიქრე, განცხადებას გავაკეთებ-მეთქი, მაგრამ იტყოდნენ, აი, ჩაგვიშვაო და ამიტომაც ვიყავი ჩემთვის.

არადა, ჭიდაობა გვეცლება ხელიდან. ეს დღეს კი არ დაწყებულა, მოდის ასე, ნელ-ნელა. ჩემი მოთხოვნა სულ სხვა არის. თქვენ ითხოვთ ჩემპიონს, მე ვითხოვ ჩემპიონებს! აი, ეს სხვაობაა ჩვენ შორის. ვინ მოგცა უფლება, პირველ ჩემპიონობაზე გაჩერდე! მეორედაც უნდა მოიგო და მესამედაც! მაგრამ ამას მომზადების მეთოდიკა სჭირდება, მცოდნე კაცი უნდა.

ეს არასოდეს არსად მითქვამს, პირველად თქვენ გეუბნებით, მეც არ ვიცი, ახლა რა დამემართა. ეტყობა, გაჩერება აღარ შეიძლება. კაცო, იმ სპორტსმენზე, მის აღზრდაზე უზარმაზარი ფული, შრომა ჩავდე, აურაცხელი ოფლი ვღვარე და შენ აჩერებ! რატომ მაქსიმუმს არ იღებ მისგან!

**– ეს რომ უნდოდეთ, ხახალეიშვილსა და ცირეკიძეს ხელს არ შეუშლიდნენ.**

– მწვრთნელმა თუ პასუხისმგებელმა მუშაკმა ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს. განა მე არ შემემთხვა ასეთი რამ? 1967 წელს ბუდაპეშტში, მსოფლიოს ჩემპიონატზე. მწვრთნელებმა მითხრეს, წადი სასტუმროში, დაისვენე, დრო გაქვს, საღამოსთვის მოემზადეო. გავედი გარეთ, უნდა წავიდე და ჩემი გვარი არ მესმის?! რატომ ახსენეს ჩემი გვარი-მეთქი, ეჭვი შემეპარა, შემოვტრიალდი, ახლა სხვა ენაზე გავიგონე ჩემი გვარი (ინგლისურად და ფრანგულად აცხადებდნენ). გამოვიქეცი, ტრიბუნაზე ავვარდი, ვხედავ, ჩემი მოწინააღმდეგე ხალიჩაზე დგას, წამმზომი ჩართულია უკვე ხუთი წუთია. კისრისტეხით გამოვიქეცი, გადავიცვი და ასე მოუმზადებელი შევვარდი საჭიდაოდ, ფეხშიშველი, რომ წამმზომი გამეჩერებინა. ასე რომ, ასეთი ამბები ხდება და უნდა აიცილო თავიდან. ეს სპორტსმენების კი არა, მწვრთნელების შეცდომებია.



მაგრამ მეორეცაა. ზოგადად, შესაძლოა სპორტის რომელიმე სახეობაში იყოს ჩავარდნა, წარუმატებლობა, ჩვენ კი ამ წარუმატებლობას გადავტეხავთ ხოლმე ერთ პიროვნებაზე. არა, ხალხო, ეს არ არის ერთი წლის, თუნდაც კონკრეტული შემთხვევის შედეგი, ეს წლების შედეგია და ამაში ბრალი მიუძღვის ყველას, ვინც ამ საქმესთან უშუალოდ არის დაკავშირებული. ვინ მოგვცა იმის ფუფუნება, რომ თითზე ჩამოსათვლელ კადრებს ასე ჰაიჰარად მოვექცეთ, გვინდა, მოვხსნით, გვინდა, გავაგდებთ... ხელმძღვანელის როლი უმაღლესია, ხელმძღვანელმა სწორად უნდა ამუშაოს სპეციალისტი, მაგრამ სწორად რომ ამუშავო, საქმე უნდა გესმოდეს. შეიძლება კაცი სულ არ იყო სპორტსმენი, მაგრამ იყო ძალიან კარგი ხელმძღვანელი.

**– ისეთი, როგორიც თავის დროზე გიორგი სიხარულიძე იყო...**

– კი ბატონო, სიხარულიძე, რა, სპორტსმენი იყო? ესე იგი, მოთხოვნის უნარი უნდა გქონდეს, ალღო უნდა გქონდეს. წარუმატებელი მწვრთნელი ისე უნდა ამუშაო, რომ წარმატებას მიაღწიოს. არ გვყავს ჩვენ ასე დასაკარგი სპეციალისტები, დიდი ხელფასი მათ არა აქვთ და ყველა გარბის, ყველას უნდა ფულის შოვნა. ყველა მწვრთნელი ცოდოა, დაჩაგრულები არიან. არადა, თვალის ჩინივით უნდა მოუფრთხილდე. ვინ უნდა გააკეთოს საქმე, შემცვლელი გყავს თუ რა?! ხელმძღვანელი კარგი მეურნე უნდა იყო, სამართლიანი და კაცთმოყვარე, მტკიცე ადამიანი.

ერთი სიტყვით, მე მეტი და მეტი მინდა, სხვებს კი ეს არ აინტერესებთ. მე რა ვქნა, ბოდიში თქვენთან და, მალადავებ თუ რა, იყავი ჩვენთან რა ლაპარაკია. ნაწყენი დავრჩი და არ დავდიოდი ფედერაციაში, არც მევალებოდა ყოველდღე და ყოველ კვირა იქ ყოფნა, ხელფასი კი არ მქონდა, თუ საქმე იყო, გამომიძახებდნენ. იმის შემდეგ არავის დავუძახივარ. ვიჯექი ჩემთვის და ველოდებოდი, იქნება ფედერაციის სხდომა და დამიძახებენ, მივალ და ჩემს სათქმელს ვეტყვი-მეთქი. ზუსტად დაემთხვა, მოსკოვის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩაატარეს ფედერაციის სხდომა და დამიძახეს. თუ ამ შემთხვევაში გავიგონე ტელეფონის ზარი, ვითომ სხვა დროს ვერ გავიგონებდი?! ხომ დამაბრალეს, არ გვპასუხობდაო.

**– მოსკოვში მიგიწვიეს მსოფლიო ჭიდაობის ისტორიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ფილას ორდენის გადმოსაცემად. თქვენ კი ფედერაციის გენერალურ მდივანს აბრალებთ, მან დამიმალა ეს მიწვევაო. როგორ გგონიათ, რატომ დაგიმალეს?**

– საუბედუროდ, ყველაფერს ვერ ვიტყვი, რომ ვთქვა, მაშინვე ყველაფერს ნათელი მოეფინება. ასე რომ, მე კი ვიცი, მაგრამ...

**– თქვენ ამბობთ, რომ ჭიდაობა დაქცეულია. რაში ხედავთ გამოსავალს?**

– სპორტში რაც სახეობებია, ყველაფერს რომ მიხედოს საქართველომ, რესურსი არ ეყოფა. ფულიც რომ გქონდეს, სპორტის სახეობების კონცენტრირება უნდა მოხდეს. 80-მდე სახეობაა, მოსახლეობაც არ გეყოფა ამისთვის.

მასობრიობას რომ ვამბობთ, ეს სწორია. ქვეყანას სჭირდება ჯანმრთელი, ენერგიული მოსახლეობა. ახლა დიდ სპორტზე არ ვლაპარაკობ. ფიზიკური აღზრდის საკითხი უპირველესია ქვეყანაში, რადგან ყოველგვარი განვითარება და პერსპექტივა დამყარებულია ფუძეზე. უამისოდ წარმოუდგენელია რამის გაკეთება. ფუძე კი საღი უნდა იყოს. ამას ბუნებაც გასწავლის. მაკარენკომ რომ თქვა, ბავშვის აღზრდა დაბადებიდან იწყებაო, მე უფრო დაბლა ჩამოვალ, მშობლების ქორწინებიდან იწყება. ქორწინებას აქვს თავისი შერჩევის კანონი. ტყუილი კი არ არის, დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. რატომ კითხულობდნენ გარიგების დროს, ბაბუა-ბებია ვინ ჰყავს, მშობლები ვინ არიანო. მომავალ თაობაზე ზრუნვა უპირველესად განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და თავდაცვის სამინისტროების საქმეა.

**– ბატონო რომან, მივადექით მეტად საჭირბოროტო საკითხს. სკოლებში პირველივე კლასიდან ფიზკულტურის გაკვეთილის ნაცვლად შემოიღეს სპორტული გაკვეთილები. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

– როცა მე პარლამენტში განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის წევრი ვიყავი, თავმჯდომარე ამაღლობელი იყო, განათლების მინისტრი კარტოზია. იმ პერიოდში დაისვა საკითხი, რომ განათლების პროგრამიდან ამოეღოთ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი. მართალია, ამის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ეს ერთი კაცის გადასაწყვეტი ხომ არ იყო. კარტოზიას რომ ვკითხე, რატომ იღებთ-მეთქი, მიპასუხა, ამერიკელები გვთავაზობენ ამასო. სიტყვა-სიტყვით მახსოვს. კი მაგრამ, თუ ამერიკელები გთავაზობენ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ამოღებას, თქვენ ვერ დაუსაბუთეთ, რომ ეს არასწორია-მეთქი. როგორ უნდა დავუსაბუთოო. კაცო, ფიზაღზრდის გაკვეთილი სპორტსმენს კი არ ზრდის, ეს განტვირთვის საათია-მეთქი. ბავშვი სამი-ოთხი საათი რომ არის მერხთან მიჯაჭვული და თავდახრილი, ერთი საათი არ უნდა მივცეთ ხელის გაქნევის საშუალება?! ფიზკულტურას ნუ დაარქმევთ ამას, ეს არის მოწაფის განტვირთვისა და განმუხტვის საათი. ბავშვი წელში არ უნდა გაიმართოს?!

ნურავის ჰგონია, რომ ამ სპორტის გაკვეთილების შემოღებით დიდ სპორტსმენს მივიღებთ, ეს ჯანმრთელობისთვის, ძალის მოსაკრებად არის საჭირო. ასე რომ, ფიზიკური აღზრდის საკითხი უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის! ამაზე ფიქრი დასაწყებია და თუ ამას ეს მთავრობა ვერ მოახერხებს (ათასი პრობლემაა), ქაღალდზე მაინც დარჩეს, რომ დღეს თუ არა, ხვალ სერიოზულად მიეხედოს!

ბოლოს ერთსაც გეტყვით, არა ვარ ცალ კარში თამაშის მომხრე, ამიტომ მინდა, რომ მეორე მხარეც გამომეხმაუროს და გაგვაგებინონ, მათ რა არგუმენტები აქვთ ჩემ საწინააღმდეგოდ თუ თავის დასაცავად.

**დავით ჭელიძე**

წყალბურთი

# ღვაწლმოსილთა ხსოვნის აღსანიშნავად

ახალგაზრდა წყალბურთელებისთვის წლეულს რამდენიმე საინტერესო შეჯიბრება გაიმართა. ერთ-ერთს გასულ უქმეებზე დაბა ჩაქვში „ოაზისის" საცურაო აუზმა უმასპინძლა. ღვაწლმოსილი მწვრთნელების — **ვლადიმერ მამჩინისა** და **გიორგი კალანდაძის** მემორიალში მთავარი პრიზებისთვის 9 გუნდი იბრძოდა წრიული სისტემით.

უმცროსებში (1997-1998 წლებში დაბადებულნი) 4 გუნდი მონაწილეობდა. ყველას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბ „ლიგამუსის" წყალბურთელებმა (**ჯემალ ზამბახიძე, აკაკი კეჟარაშვილი, ირაკლი რაზმაძე, ილია გიგაური, გოჩა ვადაჭკორია, გუგა ბერიშვილი, ლაშა ბერიშვილი, ნიკოლოზ კორძაია, გიორგი ჭედია, რევაზ იმნაიშვილი, ალექსი ფირცხალავა, მამუკა თუხარელი, ილია დუმბაძე, ვიქტორ გვიმრაძე**, მწვრთნელი **სოსო მაისურაძე**) აჯობეს. მათ ზედიზედ სძლიეს „ტონუსს" (11:3), „დელფინს" (10:7), ბათუმის სპორტსკოლის გუნდს (11:5) და 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ბათუმი და „ტონუსი" გავიდნენ.

უფროს ასაკშიც (1995-1996 წლებში დაბადებულნი) ლიგამუსელებმა იყოჩაღეს, ოღონდ მეორე გუნდმა (**ზურაბ ალანია, მამუკა დავლიანიძე, ვახტანგ კუცია, ლუკა გელაძე, ზურაბ კვირკველია, ლევან მოსაშვილი, ერეკლე წამალაშვილი, გიორგი ჩახნაშვილი, დიმიტრი ვაჩაძე, მიხეილ კიტბაბიკოვი, გიორგი ტოტოლაშვილი, გიორგი ედილაშვილი, მიხეილ მებალიშვილი, ლაშა კოჩიაშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე, თორნიკე შენგელია**, მწვრთნელი **ნოდარ ჩხარტიშვილი**), რომელმაც „ლიგამუსის" პირველ გუნდს 11:9 აჯობა, „ტონუსს" 15:2 მოუგო, ბათუმს — 14:5, ქუთაისს — 9:1. მეორე-მესამე ადგილები „ლიგამუს-1"-ს და „ბათუმს" ხვდა.

გამარჯვებულები და პრიზიორები აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ **დავით თავართქილაძემ** და საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ბითაძემ** დააჯილდოვეს.



უმცროსი ლიგამუსელები

შალვა დევნოზაშვილის ფოტო

**ვაჟა დანელია**

# ბრიტანელებს ბერძნებმაც სძლიეს

**ევროპის** წყალბურთელ ვაჟთა 2012 წლის ჩემპიონატის ექვს საკვალიფიკაციო ჯგუფში 17 გუნდია განაწილებული. საქართველოს ნაკრები ბერძნებთან და დიდ ბრიტანელებთან ერთად E ჯგუფში იბრძვის მომდევნო რაუნდში გასასვლელად. ერთი თვის წინათ სასტარტო მატჩში ჩვენმა წყალბურთელებმა შინ ინგლისელებს 9:3 სძლიეს. მეორე მატჩში კუნძულელებმა ელინელებს უმასპინძლეს და ისევ დამარცხდნენ, ამჯერად უფრო დიდი ანგარიშით — 2:13.

ჯგუფში დანარჩენი პაექრობები გაისად გაიმართება. 30 მარტს საქართველო თბილისში ბერძნებს დაუხვდება. მომდევნო შეხვედრების განრიგი კი ასეთია: **11 მაისი.** საბერძნეთი-საქართველო, **18 ივნისი.** საბერძნეთი-დიდი ბრიტანეთი, **2 ივლისი.** დიდი ბრიტანეთი-საქართველო.

შეგახსენებთ, რომ მომდევნო ეტაპზე ორი გუნდი გადის.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

# გრინიალური

## ტორინმა იუბილეზე რეალი დაამარცხა



http://acbtv.acb.com/video/3273 - ეს არის „გრან კანარია"-„რეალის" მატჩის ინტერნეტ-მისამართი. ვისაც ინტერნეტზე ხელი მიუწვდება, შეუძლია ამ შეხვედრის საუკეთესო მომენტები იხილოს და **ტორინ გრინის** ოსტატობით ნამდვილად დატკბება.

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა კანარელ გულშემატკივარ მქუხარე აპლოდისმენტები ჯერ ეფექტური დრიბლინგის შემდეგ დაიმსახურა, ხოლო მატჩის გადამწყვეტ წუთებზე ფეხზე წამომდგარი ქომაგი გრინის სამქულიანებით ტკბებოდა და მის გვარს სკანდირებდა. მეოთხე პერიოდის მეექვსე წუთზე სამქულიანის რკალიდან ერთი მეტრის მოშორებით მდგარმა ტორინმა სამქულიანი ზუსტად ისროლა და „გრან კანარია" 57:52 დააწინაურა. მალე მან მორიგი შორი სამქულიანი ჩააგდო და - 65:59. კანარელებმა შეხვედრა 70:59 მოიგეს.

გრინმა 30 წუთში 15 ქულა, 5 მოხსნა და 7 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. მან 6-დან 3 სამქულიანი, 5-დან 1 ორიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ტორინს 15 ქულა მატჩის სნაიპერობისთვისაც ეყო.

„რეალის" ძლევის შემდეგ ესპანურ გაზეთებში მისი გვარი არაერთ სათაურში მოხვდა: „გენიალურმა გრინმა „რეალი" დაამარცხა"; „გრინმა 25 წლის იუბილე მადრიდელების ძლევით აღნიშნა" და ა.შ.

გამოცემა „ლაპროვინციაში" საქართველოს ნაკრების უკანახაზელს ერთი სტატია მიეძღვნა: „გრინს დაბადების დღე ასე კარგად ჯერ არ აღუნიშნავს - მისი შეწევნით „კანარიამ" „რეალი" დაამარცხა.

- „გრან კანარიას" ერთგული ქომაგი ჰყავს. მათ გუნდის წარმატებები ძალიან ახარებთ და მეც კმაყოფილი ვარ, რომ მადრიდის „რეალის" ძლევით ქომაგს დიდი სიხარული მოვუტანეთ, - აღნიშნა ტორინ გრინმა.

იგი მატჩის ბოლო წუთებსაც შეეხო:- ძალიან ხისტად და აგრესიულად ვთამაშობდით, მეტოქეს ბოლომდე, უშეღავათოდ ვებრძოდით და არ შეიძლებოდა ჩვენი მონდომება არ დაფასებულიყო.

გრინმა საკუთარ დამსახურებაზე მეტად მწვრთნელის, პედრო მარტინესის ღვაწლზე ილაპარაკა:

- მატჩის წინ მწვრთნელთან ერთად „რეალის" ტაქტიკას ვიხილავდით. სწორედ მაშინ დავრწმუნდით, რომ შეგვეძლო ევროპისა და ესპანეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის დამარცხება. საბოლოოდ, ასეც მოხდა.

გრინს რეალელი უკანახაზელი სერხიო როდრიგესის წინააღმდეგ უწევდა თამაში, რომელთანაც 2006-07 წლების სეზონში „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსში" ასპარეზობდა.

- როდრიგესს კარგად ვიცნობ. იგი არაჩვეულებრივი კალათბურთელია. მანაც კარგად ითამაშა, თუმცა ბოლო წუთებზე ჩვენ წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. გასახდელში ძალიან გავიხარეთ.

შეგახსენებთ, რომ გრინის რეალელმა თანაამპლუელებმა შეტევაში თავი ვერ გამოიჩინეს: პრიჯიონიმ 3 ქულა ჩააგდო, ხოლო როდრიგესმა - 4.

„სარაგოსას" და აეკ-ის მოვლის შემდეგ, გრინმა, როგორც იქნა, იპოვა თავისი ადგილი. იგი „გრან კანარიაში" თავს კარგად გრძნობს:

- იმედი მაქვს, რომ გულშემატკივრები კვლავ ჩვენს გვერდით იქნებიან და ვეცდებით, ისეთივე ბედნიერი დღეები ვაჩუქოთ, როგორიც „რეალის" ძლევისას იყო.

30 ნოემბერს „გრან კანარიას" ევროთასზე ლიტვურ „შიაულიაისთან" გასვლითი მატჩი უწევს:

- ლიტვაში რთული ბრძოლა გველის. ვფიქრობ, ხისტი თამაში იქნება, თუმცა ვეცდებით ევროთასზე მეორე გამარჯვება მოვიპოვოთ, - დასძენს „გრან კანარიას" ახალი ვარსკვლავი."

■ ■ ■

**ნიკა ცქიტიშვილისა** და მისი „ლაგუნ აროსთვის" მეცხრე ტური წარუმატებელი გამოდგა. ბასკებმა „ვალენსიასთან" შინ წააგეს - 75:82.

ცქიტომ 10 წუთში 2 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა.

■ ■ ■

სტუმრად გაიმარჯვა **ქუინტონ ჰოსლის** „ხუვენტუდმა" - „ალიკანტეს" 75:71 აჯობა.

ქუინტონმა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 29 წუთში 8-8 ქულა-მოხსნა გაიფორმა.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრის, **ტაირონ ელისის** „ესტუდიანტესმა" სარაგოსაში, ამავე სახელწოდების გუნდთან 70:84 დათმო.

ელისმა 34 წუთში 6 ქულა, 1 მოხსნა და 2 პასი მოინაგრა.

■ ■ ■

ესპანეთის პირველობის სატურნირო ცხრილსაც გადავხედოთ. მეოთხე ადგილზეა „ხუვენტუდი" (6 მოგება, 3 წაგება), მეცხრე-მეათე ადგილებს ინაწილებენ „გრან კანარია" და „ლაგუნ არო" (5-5 გამარჯვება, 4-4 მარცხი). „ესტუდიანტესს" 9 ტურის შემდეგ 3 მოგება უწერია და ცხრილში მეთოთხმეტეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## მეექვსე

„ოლიმპიამ" ადრიატიკის ლიგაზე მეექვსე მატჩი მოიგო და პირველობის ლიდერებში გაერია. კრკა-სა და „ჰემოფარმსაც" 6-6 გამარჯვება აქვთ და „ოლიმპიასთან" პირველ-მესამე ადგილებს იყოფენ.

მე-9 ტურში სლოვენიელებმა ჩერნოგორიის „ბუდუჩნოსტს" უმასპინძლეს და 68:53 დაამარცხეს.

„ოლიმპიას" ქართველმა ცენტრმა **გიორგი შერმადინმა** 12 წუთი ითამაშა, 2 ქულა (1-დან 1 ორქულიანი), 2 დაფარება და თითო მოხსნა პასი მოაგროვა. მატჩის ბომბარდირი ჩერნოგორიელი **დრაგიჩევიჩი** გახდა - 21 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# მარკოიშვილს მესაათემ მიაკითხა

ბასულИ კვირა **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუსთვის" წარუმატებელი გამოდგა - ჯერ ევროთასზე „გალათასარაისთან" წააგო, იტალიის ჩემპიონატში კი „პეპსი კასერტასთან" დათმო, 65:73.

„კასერტას" მოედანზე გამართული მატჩი საწყისი სამი პერიოდის განმავლობაში ანაბარი გამოდგა, მეოთხე ათწუთეულში კი კანტუელებს „პეპსი" „ყელზე დაადგათ" და საბოლოოდ 8 ქულის სხვაობით დამარცხდნენ.

„კანტუს" მე-11 ნომერმა, მარკოიშვილმა 11 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო) ჩააგდო, რასაც 1 მოხსნა მიამატა. მან მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 18 წუთი გაატარა.

კანტუელთა მწვრთნელმა, **ანდრეა ტრინჩიერიმ** მატჩის ანალიზი მარტივად გააკეთა: - „კასერტამ" ბურთი 40-ჯერ მოხსნა, ჩვენ - 29-ჯერ. წაგების მიზეზიც ფარქვეშ სუსტი თამაში იყო".

„პეპსის" დამრიგებელმა **პინო საკრიპანტიმ** მეტოქისადმი კომპლიმენტები არ დაიშურა: - „კანტუ" შეკრული და კარგად გაწვრთნილი გუნდია. მწვრთნელმა შარშანდელი სეზონის შემდეგ ძირითადი ბირთვის (მარკოიშვილი, მარაცინო, ორტნერი, ლეუნენი, მიკოვი) შენარჩუნება მოახერხა და დაიმატა კარგი კალათბურთელები: გრინი და ტაბუ. ასე რომ, „კანტუ" იტალიის ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო გუნდია".

საინტერესოა, ამ საკითხზე რას ფიქრობენ გულშემატკივრები. გაზეთ „კორიერე დელო სპორტში" გამოქვეყნდა გამოკითხვა, რომელსაც უნდა გამოევლინა გუნდები, რომლებიც „მონტეპასკის" ჩემპიონობაში შეეცილებიან. გამოკითხულთა 41 პროცენტი მიიჩნევს, რომ „მონტეპასკი" ჩემპიონობას თუ დაკარგავს, ეს „მილანის" დამსახურება იქნება. 6,4 პროცენტს სიენელთა კონკურენტად **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსი" მიაჩნია, ხოლო 3,9 პროცენტს - „კანტუ".

აქვე მანუს გუნდთან დაკავშირებით ორ ამბავს გეტყვით. ერთი კარგია, მეორე - ცუდი. კარგით დავიწყოთ: „კანტუს" ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გააფორმა საათების მწარმოებელ ფირმა „ჩაპელეტისთან".

ცუდი კი ისაა, რომ „კასერტასთან" მატჩში კოჭის ტრავმა მიიღო ერთ-ერთმა ლიდერმა **ბენჟამინ ორტნერმა** და იგი გუნდს ჰოლანდიის ქალაქ გრონინგემში ვერ გაჰყვება. შეგახსენებთ, რომ დღეს „კანტუ" ევროთასზე სწორედ „გრონინგემს" ეთამაშება.

დავბრუნდეთ იტალიაში. დამარცხდა ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსიც". ბოლონიელებმა „ვარეზესთან" სტუმრად ვერაფერი გააწყვეს (81:91). სანიკიძე „ვირტუსს" კოჭის ტრავმის გამო ვერ დაეხმარა. ასევე ფეხის ტკივილი გახდა მეორე ლიდერის **ვინსტონის** უთამაშებლობის მიზეზი.

„კანტუსა" და „ვირტუსს" 4-4 მოგება, 3-3 წაგება აქვთ და ექვს გუნდთან ერთად სატურნირო ცხრილში მეხუთე-მეათე ადგილებს ინაწილებენ.

■ ■ ■

„რიმინიში" დაბრუნების შემდეგ იტალიის მეორე ლიგაში ყველაზე ნაყოფიერი მატჩი ჩაატარა **ნიკა მეტრეველმა**, რომელმაც 10 წუთში 5-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, 6 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა. იმედი დავიტოვოთ, რომ იგი 6-ქულიან რეკორდს მალე გადალახავს.

გამოცემა „ბასკეტნეტმა" ქართველი ფორვარდის თამაში 6,5 ბალით შეაფასა: „მეტრეველი მოედანზე მატჩის ბოლო წუთებზე გამოჩნდა. მან დაგვარწმუნა, რომ გააჩნია თვისებები, რაც გუნდს სარგებელს მოუტანს. მას შეუძლია „რიმინის" თამაშზე დადებითად იმოქმედოს, თუმცა ამისთვის არასათანადო სათამაშო დრო აქვს."

„რიმინიმ" სტუმრად „მონფერატოსთან" 72:53 წააგო და ცხრილში მეშვიდე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



# ორქულიანი ტყორცნა და...

ბერმანიის ბუნდესლიგაში წაგებები დასჩემდა **ლაშა გამყრელიძის** „გისენს", რომელსაც ოთხი მარცხის გამო საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაციის შანსი „ბრემერჰავენთან" საშინაო მატჩში მიეცა. თუმცა გისენელებმა შანსი ვერ გამოიყენეს და ზედიზედ მეხუთედ წააგეს.

მესამე პერიოდის ბოლოს ლაშას თანაგუნდელები **გრიფინის** სამქულიანის შემდეგ 62:49 დაწინაურდნენ, მაგრამ მასპინძლებმა ასეთი უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს - სირენამდე 7 წუთით ადრე „ბრემერჰავენმა" ანგარიში გაათანაბრა (67:67). ამის მერე მატჩი ქულა-ქულაში მიმდინარეობდა.

შეხვედრის დასრულებას 24 წუთი უკლდა, როცა გამყრელიძემ ორქულიანი ისროლა, თუმცა ვერ ჩააგდო. არადა, ლაშას ნატყორცნს მიზნისთვის რომ მიეღწია, ანგარიში გათანაბრდებოდა (80:80)...

ბოლო 24 წამში „ბრემერჯავენის" კალათბურთელებმა მონაგარს 3 ქულა მიამატეს და 83:79 გაიმარჯვეს.

ლაშამ 31 წუთში 9 ქულა, 3 მოხსნა, 7 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

„გისენი" მომდევნო მატჩს 4 დეკემბერს შინ „გოტინგენის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ბადესთან მიჯაჭვული ქალთა ფრენბურთი

« მე-11 გვერდიდან

*საქართველოში შარშან აპრილში დავბრუნდი. იქაური დამოკიდებულება ქალთა ფრენბურთისადმი შესაშურია — ინტენსიური ვარჯიში, ტრენაჟორებითა და ფიტნესით მომზადება. ამასთან, კვირის განმავლობაში ერთი დღე თამაში და ერთი დღე დასვენება.*

*როცა მე ასეთ პირობებში თურქეთის მეორე ლიგის გუნდში ვიყავი, ჩვენი გოგონები გაყინულ დარბაზებში ვარჯიშობდნენ."* - ამბობს დალი.

### ძირველი ბედი

საქართველოს ქალთა ნაკრებს სახელმწიფო შესაბამისად აფინანსებს, თუმცა *„არ შეიძლება მხოლოდ ბრაზილიელებზე იფიქრონ და სახელმწიფოს მიერ ფრენბურთისთვის გამოყოფილი თანხის უმეტესობა მათზე დაიხარჯოს. ისინი ოთხნი არიან, ჩვენ — 24. ხელშეწყობა თუ გვექნება, ევროპის შესარჩევზე გაცილებით უკეთეს შედეგს მივაღწევთ.*

*საბედნიეროდ, არიან პერსპექტიული ბავშვები. მათთან შესაბამისი მუშაობით თაობათა ცვლის პროცესის უმტკივნეულოდ გადატანა შეიძლება. სათქმელი ბევრი გვაქვს, მაგრამ რა აზრი აქვს. თითქოს, მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ ნაკრებში ვთამაშობთ"*, - გაგვინდეს გოგონებმა.

### გამოსავალი, რომელიც უნდა მოიძებნოს

პრობლემები თვალსაჩინოა. სასურველი იქნება, თუ ფედერაცია მეტს იზრუნებს საზოგადოებაში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციაზე. უნდა ჩატარდეს მოყვარულთა ტურნირები... *„ბიზნეს კომპანიები გვერდით უნდა დაგვიდგნენ და დაგვეხმარონ. მათი სახელით სიამოვნებით ვითამაშებთ.*

*ფრენბურთის თამაშს რომ ვიწყებდით, უამრავ დაპირებას იძლეოდნენ. გავიზარდეთ და პირობები შეუსრულებელი დარჩა. სირცხვილია, ეროვნული ნაკრები 6 წლის განმავლობაში იმ მაისურებით თამაშობდეს, რომელსაც უკვე ფერი გადაუვიდა და ზომაში დაპატარავდა".*

### ჰორიზონტზე კი...

*„თბილისს„ საჩემპიონო მარათონში არაერთი მძიმე შეხვედრა ელის. დალი და ნათიაც საამისოდ მზად არიან. ზაფხულში ფრენბურთელ ქალთა ნაკრები ოლიმპიადაზე გამგზავრებისთვის იბრძოლებს: „2011 წლის აგვისტოში ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. ჯერ გარკვეული არაა ჯგუფში რომელ ქვეყნებს დავუპირისპირდებით. უიმედოდ ნამდვილად არ ვართ".*

**სალომე ხარატიშვილი**

**P. S. 2 ივლისს სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ფედერაციის ინიციატივით სპორტულ ჟურნლისტ გოგონათა შორის ქვიშის ფრენბურთში ტურნირი ჩატარდა... იმედია, ჟურნალისტ გოგონათა მხარდაჭერა სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს.**

კალათბურთი

# ზვიად ზვიადაური კარატეს ნამდვილი ოსტატია

ნოემბრის ბოლო უქმეებზე საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის კლუბმა „პატრიოტმა" წლის შემაჯამებელი ატესტაცია ჩაუტარა შეგირდებს ტექნიკურ-ფიზიკურ შესაძლებლობებში. *„კარატეში გამოცდის ჩაბარება იგივეა, რაც ცხოვრებაში ჩააბარო დიდი და რთული გამოცდა. კარატეს ნამდვილ ოსტატს არ უნდა გილალატოს ნებისყოფამ, მაქსიმალური უნდა აჩვენო ფიზიკური, ტექნიკური, სულიერი და, რაც ყველაზე მთავარია, გონებრივი შესაძლებლობები, რომლის გარეშეც კარატმენი არაფერია. დღევანდელით კმაყოფილი ვარ, არც კარატეს სხვა ოსტატებს შეუნიშნავთ რაიმე წუნი ჩემი შეგირდებისთვის, რაც სამომავლოდ დიდ სტიმულს გვაძლევს."* — აღნიშნა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის კლუბ „პატრიოტის" პრეზიდენტმა, III დანის მფლობელმა, **ზვიად ზვიადაურმა.**

„პატრიოტის" საამაყოდ უნდა ითქვას, რომ მეზობელი სომხეთიდან მაღალი რანგის ორი ოსტატი, სომხეთის კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (VI დანი), **ვიაჩესლავ არუთინიანი** და ვიცე — პრეზიდენტი (IV დანი) **სამველ არუთინიანი** ეწვივნენ გამოცდის ხარისხის დამკვირვებლად. *„ქართულ კარატეს კარგად ვიცნობ, — ნამდვილი ლიდერია კავკასიასა და მსოფლიოში. მონწვევა და აზრის გაზიარება ჩემთვის დიდი პატივია. „პატრიოტის" სპორტსმენების დონე ყოველთვის მაღალია, მათ ყველგან აფასებენ და გულშემატკივრობენ - თვით მოწინააღმდეგეებიც კი. კმაყოფილი ვარ გამოცდის შედეგებით, ახალ წარმატებებს ვუსურვებ სენსეი ზვიად ზვიადაურს, ის ნამდვილი ოსტატია და შეგირდებიც შესაბამისი ჰყავს. მის კლუბთან ბევრი გამარჯვება ასოცირდება, როგორც საერთაშორისო, ასევე ევროპა-მსოფლიოებზე"*, —თქვა ვიაჩესლავ არუთინიანმა.



**შედეგები: *II კიუ:*** ალექსანდრე გალდავა; ***IV კიუ:*** ნიკა ჯიბლაშვილი, ლუკა გლურჯიძე, ნიკა კოხრეიძე, არტურ ტონიანი, ანასტასია ჭელიძე; ***V კიუ:*** ალეკო სუხიტაშვილი, ალბერტ ნავასარდიანი, დავით დადუნაშვილი, გიორგი ღვინჯილია, მიშიკო ივანიშვილი, რობო ნაჯარიანი; ***VI კიუ:*** ნიკა, ლუკა, ვალიკო გალდავები, გიორგი ივანიშვილი, დავით ხრიკაძე, ალბერტ ოგანეზოვი; ***VII კიუ:*** გიორგი ბელუა, გიორგი აფციაური, გიორგი ხეთაგუროვი, გოგა გოგრიჭიანი, ნიკა ნარიმანიძე, ალეკო მახნიაშვილი, ზურა ჯანელიძე, დავით ბასილაძე; ***VIII-IX კიუ:*** ლუკა ბექაური, მურთაზ ხუხუა, ნიკა მიკუჩაძე, გოგა ფოცხიშვილი, გარიკ ისაკიანი.

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი,**

*საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრესმდივანი*

R

● ინტერვიუ რიჩი დიქსონთან

# მსოფლიო თასზე ელიტასთან ბრძოლა მოგვიწევს

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ნოემბრის ტესტებზე ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო. „ბორჯღალოსნებს" მწვრთნელთა ახალი ჯგუფი ხელმძღვანელობს და ამიტომ ძნელი სავარაუდო იყო, რამდენად იოლად შეძლებდნენ რიჩი დიქსონი და კომპანია მორაგბეებთან კონტაქტის დამყარებას. ცხადია, რაგბის კავშირის ხელმძღვანელების მიერ ნაკრების მწვრთნელთა შტაბის შეცვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, როგორც გამოჩნდა, ეს რისკი გამართლებული აღმოჩნდა.**

**რიჩი დიქსონს შოტლანდიაში გამგზავრებამდე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" შევხვდით და განვლილი ორი ტესტმატჩისა და სამომავლო გეგმების თაობაზე ვესაუბრეთ.**

**- საქართველოს ნაკრებმა მწვრთნელთა ახალი შტაბის ხელმძღვანელობით ორი ტესტმატჩი გამართა. თუ ხართ კმაყოფილი გუნდის მიერ გაწეული სამუშაოთი, მოხერხდა თუ არა დასახული გეგმის განხორციელება?**

- მწვრთნელთა ახალი შტაბი ეროვნული გუნდის თბილისში ჩამოსვლამდე ერთი კვირით ადრე შეიკრიბა. ვფიქრობდით, ვმსჯელობდით, როგორ უნდა დავხმარებოდით მორაგბეებს, რათა მათი თამაშის ხარისხი გაგვეუმჯობესებინა. პირველ მატჩამდე, კანადის ნაკრებთან, მოსამზადებლად დრო ძალიან ცოტა გვქონდა. მოკლე ვადებში უნდა მოგვესწრო შერკინებისა და უკანა ხაზის შეთამაშება.

ადრე გუნდი ორად იყო გაყოფილი. სამუშაოს ძირითად ნაწილს მორკინალები ასრულებდნენ, უკანახაზელები მათ მხარს ვერ უბამდნენ. ჩვენი მიზანი იყო ეს ხარვეზი აღმოგვეფხვრა და უზრუნველგვეყო მათი კოორდინირებული მოქმედება. ამიტომ მოთამაშეებს სწორედ იმ ელემენტებში ვავარჯიშებდით, რომელიც ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა.

**- შეძლო თუ არა გუნდმა, თუნდაც კანადის ნაკრებთან მატჩში, თამაშის ახალი ელემენტების გამოყენება?**

- ცხადია, ნაჩქარევად რაიმე რადიკალური ცვლილების განხორციელება ძნელია, მაგრამ კანადელებთან მატჩში მორაგბეებმა სცადეს ვარჯიშზე დამუშავებული ახალი ელემენტები თამაშისას გამოეყენებინათ. ეს ჩვენი, მწვრთნელების მოთხოვნაც იყო. ვიცოდით, რომ შეცდებოდნენ, მაგრამ ამ შეცდომებს დეზორიენტაცია არ უნდა გამოეწვია. შეცდომებზე უნდა ისწავლონ, სწორი გზა დაინახონ, ისწავლონ სწორი გადაწყვეტილებების მიღება.

ეს ორი კვირა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. უკვე ვიცით, რაზე უნდა ვიმუშაოთ. ახალ ეტაპზე უნდა გადავიდეთ, ყველაფერს ვილონებთ, რომ მოთამაშეებს დავეხმაროთ წარმატების მიღწევაში.

**- კანადის ნაკრებთან მატჩისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ გუნდთან „ბორჯღალოსნებმა" ოდნავ უარესად ითამაშეს...**

- კანადის ნაკრებთან მატჩისგან განსხვავებით, ჩვენმა გუნდმა ამერიკელებთან უკეთესად ითამაშა მეორე ტაიმში. პირველ ტაიმში იმდენად დიდი იყო მოწინააღმდეგისგან ზეწოლა, რომ მორაგბეებმა ძველი სტილით დაიწყეს თამაში.

შესვენებაზე გუნდს დაველაპარაკეთ, ავუხსენით როგორ ეთამაშათ. მორაგბეებმა სწორად გაიგეს მათგან რას ვითხოვდით. ვუთხარით, რომ ბრძოლა, როგორც სჩვევიათ, ბოლომდე თავდადებითაა საჭირო.

შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განვახორციელეთ, რამაც თამაშის ხარისხი საგრძნობლად გამოასწორა. კანადასთან მატჩისგან განსხვავებით, ბოლო ათი წუთი სულ ჩვენ ვუტევდით და ყველაფრის საზღაურად დამსახურებული ჯილდო მივიღეთ. აბა გაიხსენეთ, ბოლოს როდის იყო, საქართველოს ნაკრებმა წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ მეორე ტაიმი და მთლიანად მატჩიც რომ მოიგო. სტატისტიკა ყურადღებით დავათვალიერე და ვნახე, რომ გუნდი მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ნახევარს უარესად ატარებდა. თუნდაც კანადასთან - პირველი ტაიმი 15:8 მოვიგეთ, მეორე კი ფრედ - 7:7 დამთავრდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან კი პირიქით მოხდა. წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ გუნდმა მობილიზება, ძალების მოკრება შეძლო. ძალიან მახარებს რომ მოთამაშეები ფიზიკურად არ დაღლილან, სათამაშო ფორმა არ დაუკარგავთ.



ჩვენ დიდ ძალისხმევას ვახმართ იმას, რომ მოთამაშეებმა რაგბის გამართულად თამაში ისწავლონ, სწორი გადაწყვეტილებების მიღებას მიეჩვიონ. ვცდილობთ, გავწვრთნათ ისინი არა მარტო ფიზიკურად, არამედ მენტალურადაც. კმაყოფილი ვარ, რომ ბიჭები ყოველივე ამას სწორად აღიქვამენ.

**- წინ ერთა თასის მორიგი გათამაშებაა. ამ ტურნირს, ალბათ, მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად გამოიყენებთ. ნაკრებში ახალ მოთამაშეებს ვიხილავთ?**

- ამ ორი თამაშისთვის მზადებისას საქართველოს A ნაკრების მოთამაშეებიც გვყავდა მოწვეული. ისინი ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობდნენ და იმავეს აკეთებდნენ, რასაც ეროვნული გუნდის მოთამაშეები. ყველაფერი უნდა ვილონოთ, რათა დეკემბერ-იანვარში მათ საშუალება მიეცეთ მოემზადონ და ერთა თასის მატჩებს საუკეთესო ფორმაში შეხვდნენ. ძალიან ბევრი ისეთი მორაგბეა, რომელთაც, ამჯერად, თამაშმა არ მოუწია.

ვნახოთ, ვინ როგორ მზადყოფნაში იქნება, იმის მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას. მათ მომზადებაში A ნაკრების მწვრთნელები უნდა დაგვეხმარონ. ასევე ვცდილობთ, რომ ხელი შევუწყოთ ამ მწვრთნელების განვითარების პროცესს.

**- ახლახან გაირკვა, რომ მსოფლიო თასზე ჩვენი მეოთხე მეტოქე კარგად ნაცნობი რუმინეთის ნაკრები იქნება. თქვენ ამ ქვეყნის ფედერაციას რაგბის განვითარების პროგრამის შექმნაში ეხმარებით და შესაბამისად კარგად იცნობთ რუმინულ რაგბის...**

- დიახ, რუმინულ რაგბის კარგად ვიცნობ, მაგრამ ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან შეხება არ მქონია. განვითარების პროგრამაზე მუშაობისას მეტ დროს საქართველოში ვატარებდი და რუმინეთში მაშინ ჩავდიოდი, თუ ამას IRB მთხოვდა. ასე რომ, ჩემი საქმიანობასა და მათ ეროვნული ნაკრებს შორის კავშირი არ არის.

მსოფლიო თასზე რუმინელები კარგ გუნდს გაგზავნიან. მათ ბევრი გამორჩეული, მაღალი დონის პროფესიონალი მორაგბე ჰყავთ. მოკლედ, რუმინეთის ნაკრებში ბევრი არაფერი შეცვლილა. ქართველი და რუმინელი მორაგბეები ერთმანეთს კარგად იცნობენ და არ მგონია, მათგან რაიმე სიურპრიზი იყოს მოსალოდნელი.

**- როგორ შეაფასებდით, ჯგუფურ ტურნირში სხვა მეტოქეებს, ინგლისს, არგენტინას და შოტლანდიას. რას შეიძლება ველოდოთ ჩვენი გუნდისგან მათთან დაპირისპირებისას?**

- ვერ ვიტყვი რომ მოვუგებთ, თუმცა ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ მათთვის იოლად დასამარცხებელი გუნდი არ ვიყოთ. ინგლისი მსოფლიო რეიტინგში მეხუთეა, შოტლანდია მეშვიდე, ხოლო არგენტინა მერვე. ისინი მაღალი დონის გუნდები არიან და ძალიან ბევრი შრომა დაგვჭირდება, რომ ჩვენს ნაკრებსა და მათ შორის დონეთა სხვაობა შევამციროთ.

● ნოემბრის ტესტები



ვოლაბებმა ლე ბლე დააჩოქეს

# ლე ბლეს ქომაგმა დაუსტვინა

ნოემბრის ტესტების ბოლო დღე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ყველაზე საინტერესო გამოდგა. ახალი ზელანდიის ნაკრებმა ოთხი თამაშიდან ოთხივე მოიგო და დიდ სლემს მისწვდა. ავსტრალიის ეროვნულმა გუნდმა „ლე ბლე" გაანადგურა 16:59. მოხსნას გადაურჩა მსოფლიოს ჩემპიონ „ბოკეს" მთავარი მწვრთნელი **პიტერ დე ფილიერსი.** სამხრეთაფრიკელებმა დაგეგმილი ორი მატჩის ნაცვლად სამი მოიგეს.

„ოლ ბლექსმა", როგორც მსოფლიო რეიტინგში პირველ ადგილზე მყოფ გუნდს ეკადრება, ევროპული ტურნე ტრიუმფით განვლო. **გრემ ჰენრის** ბიჭებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს ინგლისის, შოტლანდიის, ირლანდიის დაუელსის ნაკრებები, რითაც დაამტკიცეს, რომ წლეულს სამი ერის მოგება, როგორც ამას დე ფილიერსი ამტკიცებდა, სულაც არ იყო მსაჯების წყალობა.

ახალზელანდიელებმა ბოლოს კარდიფში, „მილენიუმზე" უელსის ნაკრები შთამბეჭდავ ბრძოლაში დაამარცხეს 25:37. „კივებს" მასპინძლების წინააღმდეგობის დაძლევა პირველ ტაიმში გაუჭირდათ. მათი უპირატესობა სულ რაღაც ოთხ ქულაში აისახა - 13:9.

მეორე ნახევარი მთლიანად „ოლ ბლექსის" კარნახით წარიმართა. მათ მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს და დამსახურებული, ლამაზი გამარჯვება იზეიმეს.

დიდ ინტერესს იწვევდა 2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქის ინგლისის ეროვნული გუნდის დაპირისპირება მსოფლიოს ჩემპიონ „ბოკესთან". ლონდონში, „თვიქნემზე" სამხრეთაფრიკელებმა „პომები" თითქმის ყველა კომპონენტში დაჩაგრეს და 21:11 მოუგეს.

მასპინძლებს გამარჯვების იმედი მათი საკმაოდ მძლავრი, მობილური შერკინების გამო ჰქონდათ, თუმცა „ბოკემ" სწორედ ამ რგოლში პირწმინდად აჯობა. **მარტინ ჯონსონის** სამწყსომ წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ პირველ ტაიმში შეძლო, რომელიც ფრედ 6:6 დასრულდა.

შესვენების შემდეგ **ვილემ ალბერტსმა** და **ლუაზი მვოვომ** თითო ლელო გაიტანეს და მასპინძლები, ფაქტობრივად, უშანსოდ დატოვეს. ინგლისელმა ფულბეკმა **ბენ ფოდენმა** თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მეტოქე კონტრშეტევაზე დაალელოვა, მაგრამ გვიანღა იყო.

სენსაციური ანგარიში დაფიქსირდა პარიზში, სადაც „ლე ბლემ", როგორც უკვე ვთქვით, კატასტროფული ანგარიშით წააგო ავსტრალიის ნაკრებთან. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი მასპინძლებს მსგავს არაფერს უქადდა. ფრანგებმა მორკინალების მძლავრი, მობილური თამაშით სტუმრებს ბევრი პრობლემა შეუქმნეს, თუმცა ტაიმი მაინც ფრედ 13:13 დასრულდა.

მატჩის მეორე ნახევარში „ვოლაბების" უკანახაზელებმა გაინავარდეს. შვიდი ლელოდან ხუთი სწორედ მათ ანგარიშზეა. გარემარბმა **დრიუ მიტჩელმა** კი დუბლი გაიფორმა. საქმე იქამდე მივიდა, რომ „ლე ბლეს" საკუთარმა ქომაგმა დაუსტვინა.

ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი** თამაშში 72-ე წუთიდან ჩაერთო, როცა ანგარიში 16:40 იყო.

მძიმე ბრძოლა გადახდა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთ მეტოქეს, შოტლანდიის ეროვნულ გუნდს. „ნარშავებმა" ედინბურგში, „მერიფილდზე" სამოას ნაკრებს გაჭირვებით - 19:16 მოუგეს. 55-ე წუთისთვის ანგარიში საყაიმო იყო - 16:16. მატჩის დამთავრებამდე დარჩენილ დროში გარდატეხის შეტანას ვერც ერთი ახერხებდა. გამარჯვების მომტანი საჯარიმო კი 79-ე წუთზე შეცვალზე შესულმა **რუარიდ ჯეკსონმა** გაიტანა.

**შოტლანდია-სამოა 19:16**

შოტლანდია: ლ - ვოლკერი. 2ს - პარკსი, ჯეკსონი. გ,ა - პარქსი.
სამოა: ლ - ფოტუალი. 3ს,გ - ვილიამსი.

**იტალია-ფიჯი 24:16**

იტალია: 8ს - ბერგამასკო
ფიჯი: ლ - ტალეიმატოგა. 3ს,გ: ბაი

**ინგლისი-სამხრეთ აფრიკა 11:21**

ინგლისი: ლ - ბოდენი. 2ს - ფლუდი.
სამხრეთ აფრიკა: 2ლ - ალბერტსი, მვოვო. 3ს,გ - მ.სტეინი.

**უელსი-ახალი ზელანდია 25:37**

უელსი: ლ - ბირნი. 6ს,გ - ს.ჯოუნზი.
ახალი ზელანდია: 4ლ - გეარი, მულიაინა, ტოეავა, აფოა. 3გ,2ს - კარტერი.

**საფრანგეთი-ავსტრალია 16:59**

საფრანგეთი: ლ - საჯარიმო. 3ს.გ - პარა.
ავსტრალია: 7ლ - ეშლი-კუპერი, გენია, რობინსონი, მიტჩელი (2), ელსომი, ოკონრი.

**ირლანდია-არგენტინა 9:29**

ირლანდია: 2ლ - ფერისი, დარსი. 5ს -სექსტონი. 2გ - სექსტონი, ოგარა.
არგენტინა: 3ს - კონტეპომი.

გვერდი მომზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კიდევ ერთი შეწყვეტილი სერია



ამარე სტაუდმაიერი

**გუშინდელ** დღემდე „ნიუ ორლეანი“ ერთადერთი გუნდი იყო, რომელსაც საკუთარ მოედანზე არც ერთი მატჩი არ ჰქონდა წაგებული. „ჰორნეტსის“ სერია მერვე საშინაო მატჩში „სან ანტონიომ“ შეწყვიტა. ამ გუნდებმა უკვე მოასწრეს წელს ერთხელ დაპირისპირება და მაშინ „ნიუ ორლეანმა“ 99:90 მოიგო. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო „სან ანტონიოს“ 12-მატჩიანი მოგებათა სერია, რომელიც მხოლოდ გასულ შაბათს შეწყდა.

პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლებს სრული საფუძველი ჰქონდათ ზედიზედ მერვე საშინაო გამარჯვებაზე ეფიქრათ. „ჰორნეტსმა“ შესანიშნავი შემტევი კალათბურთი აჩვენა და „სან ანტონიოს“ ნაქებ დაცვას საშინელი დღე აყარა. დიდ შესვენებაზე გუნდები 17-ქულიანი სხვაობით გავიდნენ. 61:44 - „ნიუ ორლეანის“ სასარგებლოდ.

ბუნებრივია, „სან ანტონიოს“ დამრიგებელ **გრეგ პოპოვიჩს** ხელს არ აძლევდა დაცვაში თავისი შეგირდების მოქმედება და საჭირო დარიგებები მისცა კალათბურთელებს. სტუმრებმაც მაქსიმალურად შებოჭეს **კრის პოლი** და არც სხვა მოთამაშეების მეურვეობა დავიწყებიათ. ამას დაემატა ტყორცნების რეალიზაციის გამოსწორება - 60.5 პროცენტი თამაშიდან (38-დან 23). საბოლოოდ, „სპურსმა“ ბოლო ორი მეოთხედი 65:58 მოიგო. გადამწყვეტი აღმოჩნდა სტუმრების გაქცევა მეოთხე მეოთხედის სტარტზე - 17:4, რომელმაც ხუთქულიანი ჩამორჩენა შვიდქულიან უპირატესობად აქცია. ასეთი შოკისგან **მონტი უილიამსის** გუნდი ვეღარ გამოვიდა.

■ ■ ■

გუშინდელ დღეს თავისი გმირებიც ჰყავდათ. მაგრამ თუ **ბლეიკ გრიფინმა** (35 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი) და **ჯეისონ რიჩარდსონმა** (39 ქულა, 10 მოხსნა) თავიანთ გუნდებს ვერ მოაგებინეს, **ამარე სტაუდმაიერმა** ბრწყინვალე თამაშის გარდა, „ნიუ იორკის“ გამარჯვებითაც გაიხარა. ამარემ 54 წუთის განმავლობაში 37 ქულა, 15 მოხსნა და 7 შედეგიანი პასი დააგროვა და „ნიქსის“ გასვლითი მოგებათა სერია ოთხ მატჩამდე გაიზარდა.

„ნიუ იორკსა“ და „დეტროიტს“ შორის ურთიერთობის გარკვევა ორ ოვერტაიმამდე გაიწელა და აქაც „ნიქსს“ სტაუდმაიერი დაეხმარა - მისი მეურვეობით გართულ დეტროიტელებს ოთხი სამქულიანი გამოეპარათ.

სხვათა შორის, „ნიუ იორკის“ კალათბურთელებმა უნიკალური შედეგი დააფიქსირეს. **ტონი დუგლასისა** და **რონი ტურიაფის** ტრავმების გამო **მაიკ დ'ენტონი** მთლიანად სასტარტო ხუთეულის წევრებზეა დამოკიდებული. სტაუდმაიერმა, **რაიმონდ ფელტონმა**, **დანილო გალინარიმ** და **ლენდრი ფიოდსმა** შესაბამისად 54, 53, 52 და 51 წუთი დაყვეს მოედანზე. 40 წელია ერთი გუნდის ოთხ მოთამაშეს მოედანზე 50 წუთზე მეტი არ გაუტარებია. საინტერესოა, რომ მაშინაც ეს „ნიუ იორკის“ კალათბურთელებმა გააკეთეს: **უოლტ ფრეიზერმა**, **უილის რიდმა**, **ბილ ბრედლიმ** და **დიკ ბარნეტმა**.

■ ■ ■

აღიარებული სნაიპერების - **კევინ დურანტის**, **სტივ ნეშისა** და **კობი ბრაიანტის** შეცდომები მათ გუნდებს დამარცხებად დაუჯდათ. „ოკლაჰომა“ სტუმრად ეთამაშებოდა „ჰიუსტონს“ და ბოლო წამებზე წააგო - 98:99. ბოლო შეტევაში დურანტს მიეცა თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ ექვსი მეტრიდან ნასროლი აცდა მიზანს.

დღის ყველაზე შედეგიან მატჩში „ფინიქსი“ „დენვერის“ წინააღმდეგ 19 ქულას აგებდა, მაგრამ ხანგრძლივი სპურტით კინაღამ გაუთანაბრდა მეტოქეს. ბოლოსკენ სხვაობა სულ რაღაც სამი ქულა იყო და სტუმრებმა უკანასკნელ შეტევაში ბრწყინვალედ გათამაშებული კომბინაციით ნეში სამქულიანის სასროლად გაიყვანეს. კანადელს ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ვეტერანმა ააცილა და „ფინიქსმა“ წააგო - 133:138.

კობი ბრაიანტმა კი „ინდიანას“ წინააღმდეგ ბოლო 10 წამში ორი აცილება მოასწრო. 92:95-ზე „ლეიკერსის“ ლიდერმა, რომელსაც იმ მომენტისთვის 41 ქულა ჰქონდა, სამქულიანი ვერ ჩააგდო. ბურთი **არტესტმა** მოხსნა და **ოდომის** გავლით ისევ კობის მიაწოდა, მაგრამ ამჯერად მან 10 მეტრიდან ისროლა და ისევ არაზუსტად. შედეგად, „ლეიკერსმა“ ისტორიაში პირველად წააგო „სტეიპლ ცენტრში“ „ინდიანასთან“.

**ტორონტო-ატლანტა 78:96**

23:27, 23:25, 11:25, 21:19

ტ: ბარნიანი (14+7 მოხსნა), დეროზანი (13+6 მოხსნა).

ა: უილიამსი (17+12 მოხსნა), ჯონსონი (16), ჰორფორდი (16+8 მოხსნა), სმიტი (12+13 მოხსნა+10 პასი+3 ჩაჭრა).

**დეტროიტი-ნიუ იორკი 116:125 (2ო)**

25:28, 30:25, 23:22, 21:24, 10:10, 7:16

დ: პრინსი (31+8 მოხსნა+7 პასი), სტაკი (29), ჰემილტონი (16+6 პასი), მაკგრეიდი (13+6 მოხსნა).

ნ-ი: სტაუდმაიერი (37+15 მოხსნა+7 პასი), ფელტონი (23+11 პასი+5 მოხსნა), გალინარი (20+9 მოხსნა), ჩენდლერი (20), ფიოლდსი (16+11 მოხსნა+6 პასი).

**ნიუ ორლეანი-სან ანტონიო 95:109**

34:26, 27:18, 16:28, 18:37

ნ-ო: უესტი (23+7 მოხსნა), პოლი (15+6 მოხსნა+7 პასი), ოკაფორი (12+7 მოხსნა+5 დაფარება), ბელინელი (12), არიზა (10).

ს-ა: ჯინობილი (23+7 მოხსნა+8 პასი), დანკანი (21+7 მოხსნა), ჯეფერსონი (19), ჰილი (14).

**კლიპერსი-იუტა 97:109**

32:30, 28:22, 14:27, 23:30

კ: გრიფინი (35+14 მოხსნა+7 პასი), გორდონი (21+9 პასი), ბლედსოუ (12+5 პასი), ამინუ (12).

ი: უილიამსი (26+5 მოხსნა+9 პასი), მაილზი (16), კირილენკო (15), მილსეპი (15), ბელი (12), ჯეფერსონი (10).

**ჰიუსტონი-ოკლაჰომა 99:98**

33:25, 17:17, 27:29, 22:27

ჰ: მარტინი (23), ბატიე (18+6 მოხსნა), ლაური (14+6 მოხსნა+8 პასი), სკოლა (13+6 მოხსნა), ჰილი (12+7 მოხსნა), მილერი (11+7 მოხსნა).

ო: უესტბრუკი (23+10 პასი), დურანტი (18), იბაკა (16+8 მოხსნა), გრინი (15+7 მოხსნა), ჰარდენი (10).

**ნიუ ჯერსი-პორტლენდი 98:96**

23:26, 21:26, 29:26, 25:18

ნ-ჯ: ჰარისი (25+8 პასი), მოროუ (16), ლოპესი (13), ჰემფრიზი (10+8 მოხსნა+4 დაფარება).

პ: მეტიუზი (25), როი (21), ოლდრიჯი (20+5 მოხსნა), მილერი (13+5 პასი).

**დენვერი-ფინიქსი 138:133**

31:18, 37:39, 37:32, 33:44

დ: სმიტი (30+8 მოხსნა), ბილაპსი (25+8 პასი), ლოუსონი (15+7 პასი), აფლალო (15), ფორბსი (15), უილიამსი (14+7 მოხსნა), ნენე (12+9 მოხსნა)

ფ: რიჩარდსონი (39+10 მოხსნა), ნეში (17+11 პასი), ჩილდრესი (15+5 მოხსნა), ჰილი (11), ფრაი (10+5 მოხსნა).

**ლეიკერსი-ინდიანა 92:95**

26:23, 19:28, 24:26, 23:18

ლ: ბრაიანტი (41+5 მოხსნა), ოდომი (15+11 მოხსნა), გასოლი (13+12 მოხსნა+3 დაფარება).

ი: ჰიბერტი (24+12 მოხსნა+6 პასი), გრეინჯერი (18), კოლისონი (14), რაში (11).

# კარმელო ისევ აქტუალურია

„ნიუ ჯერსი ნეტსის“ ხელმძღვანელობის უპირველეს სატრანსფერო მიზნად კვლავინდებურად **კარმელო ენტონი** რჩება“. „ნეტსს“ სურს „დენვერის“ ლიდერის ტრანსფერი იქამდე გაჩარხოს, სანამ ვარსკვლავ ფორვარდს ცხვირწინ აცლიან ნიუიორკელი კონკურენტები.

„ნიუ ჯერსი“ „ნაგეტსს“ გაცვლას სთავაზობს, რომელშიც **დერიკ ფეივორსს** შეიყვანენ და მას დრაფტის პირველ რაუნდში ორი სასურველი მოთამაშის არჩევის უფლებას დაუმატებენ.

მაგრამ მხარეებმა კონტრაქტის ხანგრძლივობაზე ვერ მოილაპარაკეს. „ნიუ ჯერსის“ არ სურს მხოლოდ სეზონის ბოლომდე ენტონის მიწვევა. მათ უნდათ, რომ კარმელომ ტრეიდამდე გააგრძელოს კონტრაქტი „დენვერთან“ და ამის შემდეგ გადავიდეს ფორვარდი ახალ კლუბში.

■ ■ ■

ამასობაში, აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთი ფავორიტი „ორლანდო მეჯიქი“ მზად არის თავისი ნებისმიერი მოთამაშე ჩართოს ტრეიდში შემადგენლობის გასაძლიერებლად. ერთადერთი, ვისაც გუნდის დატოვება არ ემუქრება - NBA-ის სუპერცენტრი **დუაიტ ჰოვარდია**.

როგორც გაზეთი Orlando Sentinel წერს, „ორლანდოს“ ხელმძღვანელობა



კარმელო ენტონი

დაინტერესებულია თავის რიგებში **კრის პოლის** ან კარმელო ენტონის მიწვევით. კლუბში მიაჩნიათ, რომ ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად უფრო მეტი სუპერკლასის მოთამაშე ესაჭიროებათ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ლესტერი-ნოტინგემი | 1:0 |
| **ინგლისის თასი** | |
| **II რაუნდი** | |
| დროილსდენი-ლეიტონი | 1:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| მოდენა-ჩიტადელა | 1:1 |
| **სერია C1/A** | |
| რეჯინა-ბასანო | 0:1 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-რეალი | 5:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფიურტი-მიუნხენი | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტური-ლე მანი | 0:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვეენდამი-აპელდოორნი | გადაიდო |
| **პორტუგალია** | |
| პორტიმონენსე-ლეირია | 1:2 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პანაიტოლიკოსი-ოფი | 2:1 |
| დიაგორასი-იანინა | 0:0 |
| **დანია** | |
| ჰორსენსი-ოლბორგი | 0:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ლუგანო-არაუ | 1:0 |
| **თურქეთი** | |
| ბურსა-ქაისერი | 2:0 |
| **რუმინეთი** | |
| გლორია-ვიქტორია | 1:0 |
| გაზ მეთანი-უნივერსიტატეა (კრ) | 1:0 |
| **კვიპროსი** | |
| ალკი-ერმისი | 0:1 |
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტივი (პ)-ჩერნომორეცი | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ნ)-მაკაბი (თ-ა) | 0:2 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| ილისიაკოსი-პანიონიოსი | 72:74 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (გ)-ელდანი | 84:80 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| სევერსტალი-ბარისი | 3:1 |
| სკა-ავანგარდი | 2:1 |
| დინამო (მ)-ავტომობილისტი | 5:4 |
| სპარტაკი-იუგრა | 2:3 (ბ) |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ბრიუნასი | 2:5 |
| ლულეო-ფრიოლუნდა | 2:4 |

## TV პროგრამა

**30 ნოემბერი. სამშაბათი**

**მზე**

14:30 იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

23:40 ინგლისის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ტამპა ბეი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლივლენდი-ბოსტონი (LIVE).

**EUROSPORT**

21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS127. კვალიფიკაცია. კუოპიო. ფინეთი (LIVE).
22:15 მაგიდის ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. 1/4 ფინალი. ბრაუნშვაიგი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

22:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. გალათასარაი (თურქეთი)-პანელინიოსი (საბერძნეთი) (LIVE).
23:45 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სევილია (ესპანეთი)-რიგა (ლატვია) (LIVE).

## ამბები

**კალათბურთი**

### ტორონტოს პეჯა არ სჭირდება

„ტორონტო რეპტორზმა“ სულ ახლახან გადაიბირა **პეჟა სტოიაკოვიჩი** და ამ კალათბურთელთან გამოთხოვებას უკვე აპირებს.

მრავალრიცხოვანი წყაროები იუწყებიან, რომ სავარაუდოდ, კანადური კლუბი კიდევ ერთ ტრეიდს განახორციელებს და ისე გაუშვებს სერბ კალათბურთელს, ყოველ შემთხვევაში „ტორონტოს“ ხელმძღვანელობას ამის იმედი აქვს.

კლუბის პრეზიდენტმა **ბრაიან კოლანჯელომ** განაცხადა, რომ სულ მალე განიხილავს პეჟასთან მისი მომავალი კარიერის გაგრძელების ვარიანტებს, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება.

### უოლი ტრავმირებულია

2010 წლის დრაფტის პირველ ნომერ **ჯონ უოლს** კიდევ ერთი მატჩის გამოტოვებამ მოუწია. „ვაშინგტონის“ მცველმა კვირას „ორლანდოს“ წინააღმდეგ ვერ ითამაშა.

უთამაშებლობის მიზეზი მუხლის დაზიანება გახლავთ. ეს არ არის „უიზარდსის“ ახალგაზრდა ლიდერის პირველი ტრავმა. უფრო ადრე უოლმა ფეხი გადაიბრუნა და ამის გამო ოთხი მატჩის გამოტოვება მოუხდა.

რეგულარული ჩემპიონატის 10 მატჩში უოლის სტატისტიკა 18.0 ქულასა და 9.1 შედეგიან პასს უდრის.

### ერდენი საოპერაციოა

„ბოსტონ სელტიქსის“ თურქ ცენტრს **სემიჰ ერდენს** მხრის ტრავმის სამკურნალოდ ოპერაცია ესაჭიროება. ამის შესახებ გუნდის მთავარი მწვრთნელი **დოკ რივერსი** იტყობინება. თურქმა მხარი ჯერ კიდევ ზაფხულში დაიზიანა და ახლა ტრავმა გაუმიზეზდა.

„სემიჰს ოპერაცია ელის და ის გარკვეული ხანი ვერ შეძლებს თამაშს. მხარი მას ძალიან აწუხებდა და ამიტომაც დავთანხმდით ქირურგიულ ჩარევას“, - თქვა რივერსმა.

შეგახსენებთ, რომ „ბოსტონში“ ჯერაც ელიან ძირითადი ცენტრის **კენდრიკ პერკინსის** დაბრუნებას, რომელსაც მუხლის ტრავმის გამო ამ სეზონში არ უთამაშია.

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-ბოსტონი 4:1**

3:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ე. კეინი-9 (ე. სტიუარტი-7, ბიფულინი-14), 2:0 ბიფულინი-9 (ბურმისტროვი-6, ოდუია-8), 3:0 სლეიტერი-3 (ბიფულინი-15), 3:1 ველერი-5 (რაიდერი-7, ლუჩიჩი-9), 4:1 ბერგფორსი-6 (ბიფულინი-16, ენსტრიომი-17).

**დეტროიტი-კოლამბუსი 4:2**

0:1, 2:0, 2:1

**გოლები:** 0:1 ბრასარი-6 (სტრალმანი-6, ჰეიდა-2), 1:1 კრონვალი-5 (დაციუკი-16, ფრანცენი-5), 2:1 ჰელმი-2 (მილერი-3), 3:1 ფილპულა-6 (ფრანცენი-6, ბერტუცი-14), 3:2 უმბერგერი-8 (ვერმეტი-6, ვორაჩეკი-10), 4:2 კლირი-10 (დაციუკი-17).

**ვაშინგტონი-კაროლინა 3:2 (ბ)**

2:0, 0:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მ. იოჰანსონი-3 (ფერი-5), 2:0 სიომინი-18 (ოვეჩკინი-22, ბექსტრიომი-18), 2:1 კოული-5 (ე. სტაალი-16), 2:2 ე. სტაალი-11 (ი. იოკინენი-14, პიტკანენი-12).
**ბულიტები გაიტანეს:** ოვეჩკინი (ვაშინგტონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა


სება და მიხაელი ერთა თასს ზეიმობენ

# სება, მიხაელი და ფილიპე

გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ცნობილი საავტომობილო შოუ - „ჩემპიონთა რბოლა“ გაიმართა, რომელშიც სხვადასხვა სერიის უძლიერესი პილოტები მონაწილეობდნენ.

ტრადიციულად პირველ დღეს გუნდური პირველობა გათამაშდა და ერთა თასი ზედიზედ მეოთხედ მოიგო გერმანიის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ისევ და ისევ **სებასტიან ფეტელი** და **მიხაელ შუმახერი** ირიცხებოდნენ.

ფინალში გერმანიას ინგლისის ნაკრები დაუპირისპირდა. გამარჯვებულის გამოსავლენად სამივე ცდის ჩატარება გახდა საჭირო. პირველ ცდაზე შუმახერმა ბრიტანეთის ტურინგის კლასის ვეტერან **ჯეისონ პლეიტოს** გაასწრო, მეორეში ფორმულა 1-ის ახალმა ჩემპიონმა ფეტელმა WTCC-ის სამგზის ჩემპიონ **ენდი პრიოლთან** წააგო. მესამე გადამწყვეტ ცდაზე შუმახერი „ბაგით“ პრიოლს ებრძოდა და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

„ისევ უძლიერესები გავხდით, მაგრამ თუ წინა წლებში მე ვაგებდი და სებასტიანი შველოდა სიტუაციას, ახლა ყველაფერი პირიქით მოხდა. მთავარი ისაა, რომ გერმანიამ კიდევ ერთხელ მოიპოვა ერთა თასი“, - თქვა მიხაელმა.

ნახევარფინალიდან გამოეთიშა ბრძოლას **ალენ პროსტისა** და **სებასტიან ლოების** საფრანგეთის ნაკრები, **ჰეიკი კოვალაინენის** სკანდინავია კი საერთოდ ჯგუფიდან ვერ გავიდა.

■ ■ ■

მეორე დღეს მაყურებელს უფრო საინტერესო სანახაობა ელოდა. ვარსკვლავების სიუხვის მიუხედავად, „ჩემპიონთა ჩემპიონი“ საკმაოდ მოულოდნელად პორტუგალიელი **ფილიპე ალბუკერკე** გახდა, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ფორმულა 1-ისა და რალის მსოფლიოს ჩემპიონები - სებასტიან ფეტელი და სებასტიან ლოები.

მეორე დღეს შეჯიბრება სერიოზული ავარიით დაიწყო - პირველივე ცდაზე თავისი Audi R8 დააზიანა ჰეიკი კოვალაინენმა და იძულებული გახდა რბოლას ჩამოშორებოდა. პირველ წრეში სხვა მოულოდნელობები არ ყოფილა. მეოთხედფინალში კი მაყურებელს მიხაელ შუმახერისა და სებასტიან ფეტელის დუელი ელოდათ.

თავდაპირველად მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ, თავისივე აღიარებით ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინა და გამარჯვება ხელიდან გაუშვა. თუმცა შორს არც ფეტელი წასულა - ნახევარფინალში ფილიპე ალბუკერკესთან დამარცხდა, არადა ისიც ლიდერობდა რბოლას პირველი წრის შემდეგ.

ასე გავიდა 25 წლის პორტუგალიელი ჩემპიონთა რბოლის ფინალში. ალბუკერკე რამდენიმე წლის წინ „ფორმულა რენოს“ ევროთასის ჩემპიონი იყო, ამჟამად კი GT-ის იტალიურ სერიაში გამოდის. ფინალში მისი მეტოქე ლოები გახდა. ფრანგმა ნახევარფინალში ენდი პრიოლი დაამარცხა.

პირველი ცდა ალბუკერკეს დარჩა, მეორე ლოებმა მოიგო, მესამეში კი მაყურებელმა ნაცნობი სურათი იხილა - ფრანგი დისტანციის შუამდე ლიდერობდა, მაგრამ ბოლოს დამარცხდა. *„რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ!* - განაცხადა ფილიპემ გამარჯვების შემდეგ. - *მაგრამ ბოდიში მინდა გადავუხადო გერმანელ გულშემატკივრებს ფეტელის ორჯერ გასწრების გამო. ყველა მეტოქე ძალიან ძლიერი იყო და ამიტომაც უფრო მიხარია ჩემი წარმატების!“*

● სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

# პირველი გამარჯვებების უქმეები

სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის გათამაშებამ ოკეანის გაღმა გადაინაცვლა. ქალები სახელგანთქმულ ამერიკულ კურორტ ასპენში შეიკრიბნენ, სადაც გიგანტურ სლალომსა და სლალომში გათამაშდა პირველობები.

ორივე ეტაპზე ფავორიტებად გერმანელი მოთხილამურეები მიიჩნეოდნენ, მაგრამ საბოლოოდ ორივე დისციპლინაში გამარჯვება სხვა ქვეყნის სპორტსმენებს ხვდათ წილად. გიგანტურ სლალომში პირველი ცდა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ვიქტორია რებენსბურგმა** მოიგო, სამაგიეროდ, ხელი მოეცარათ სხვა გერმანელებს - ამ სახეობაში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **კატრინ ჰიოლცლსა** და სეზონის მთავარ ფავორიტ **მარია რიშს** - ისინი მე-15 და მე-10 ადგილებზე იყვნენ.

მაგრამ ჰიოლცლი დაუბრუნდა ეტაპის ფავორიტთა რიცხვს მას შემდეგ, რაც მეორე ცდაზე აბსოლუტურად საუკეთესო დრო აჩვენა. ფრანგ **ტესა ვორლიმდე** გერმანელის შედეგის გაუმჯობესება ვერავინ შეძლო. მოგვიანებით კი თავად ფრანგის დრო დარჩა პირველი ცდის ლიდერებისთვის გადაულახავი ბარიერი. აღსანიშნავია საბოლოო შედეგების სიმჭიდროვე - ვორლიმ მეორე ადგილზე გასულ რებენსბურგს ერთი მეათედი წამი მოუგო, მესამეადგილოსან ჰიოლცლს კი - 2 მეასედი!

მეორე დღეს სპეციალურ სლალომშიც პოდიუმზე გერმანელი ვიხილეთ, ოღონდ ამჯერად მარია რიშის ჩამორჩენა გამარჯვებულთან ნახევარ წამზე მეტი იყო. რიში პირველი ცდის შემდეგ საერთოდ მეშვიდე იყო, მაგრამ მეორე ცდაზე ნაჩვენები საუკეთესო დროის წყალობით მეორე ადგილზე გადავიდა. ტრიუმფატორი კი პირველად კარიერაში შვედი **მარია პიტელი-ჰოლმნერი** გახდა.

ამ ორი სტარტის შემდეგ საერთო ჩათვლაში ლიდერობა განიმტკიცა მარია რიშმა, რომელსაც 234 ქულა აქვს და 38 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს, ფინელ **ტანია პოუტიაინენს**.

■ ■ ■

ქალებისგან განსხვავებით, მამაკაცები კანადურ ლეიკ ლუისში ჩქაროსნულ დისციპლინებში არკვევდნენ ურთიერთობას.

თავდაპირველად პირველობა სწრაფდაშვებაში გათამაშდა და ეტაპის სტარტზე სენსაცია მოახდინა ყველასთვის უცნობმა ფრანგმა **იოან კლერიმ**, რომელსაც ყველაზე მაღალი საშუალო სიჩქარე ჰქონდა პრაქტიკულად ყველა მონაკვეთზე და არც ტექნიკა დაეწუნებოდა.

როცა უძლიერესთა ჯგუფის გამოსვლა დაიწყო, ცხადი გახდა, რომ კლერის შედეგი ძალიან მაღალი იყო. მის დროს ვერაფერი მოუხერხეს აღიარებულმა ფავორიტებმა **დიდიე კუშმა** და **კარლო იანკამ**. მოგვიანებით ფრანგს ჯერ **აქსელ ლუნდ სვინდალმა** და შემდეგ ორმა ავსტრიელმა გაუსწრო.

**მარიო შაიბერმა** და **მიხაელ ვალჰოფერმა** ბრწყინვალედ გაიარეს დისტანცია, ვალჰოფერს კი ყველაფერი იდეალურად გამოუვიდა და მან ავსტრიას გამარჯვება მოუტანა, შაიბერმა და სვინდალმა კი მეორე ადგილი გაიყვეს. რაც შეეხება ეტაპის სენსაცია კლერის, მას **სილვენ ცურბრიგენმაც** გაუსწრო და ფრანგი მეხუთეზე გავიდა.

შვეიცარიელ **ტობიას გრიუნენფელდერის** გვარი მხოლოდ სამთო-სათხილამურო სპორტის ნამდვილი გულშემატკივრებისთვის არის ცნობილი, ახლა კი მას უფრო ფართო აუდიტორია გაიცნობს. 33 წლის ვეტერანმა მეორე დღეს სენსაციური გამარჯვება მოიპოვა გიგანტურ სლალომში. ის ერთ-ერთი პირველი გავიდა ტრასაზე და სხვებისთვის საორიენტაციო დრო დააფიქსირა. მან სულ ცოტათი მოუგო ავსტრიელ **რომედ ბაუმანს**, რომელმაც, როგორც აღმოჩნდა, ასევე ბრწყინვალე დრო აჩვენა.

როგორც წესი, ჩქაროსნულ დისციპლინებში ფავორიტთა ჯგუფი 16-22 ნომრებად გამოდიან. ისინი ერთიმეორის მიყოლებით დაეშვნენ ტრასაზე, მაგრამ გრიუნენფელდის პოზიცია უცვლელი რჩებოდა. ყველაზე ახლოს მის დროსთან თანამემამულე კარლო იანკა მივიდა, მაგრამ სულ რვა მეასედი წამი არ ეყო ლიდერობის ხელში ჩასაგდებად.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს თასზე თავის პირველი ტრიუმფის დღეს გრიუნენფელდერი იუბილარი იყო - მას 33 წელი შეუსრულდა.


მარია რიში საერთო ჩათვლას ლიდერობს

● ჩოგბურთი


კლაისტერსის საჩუქარი

# ბავშვების მფარველი კიმი

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **კიმ კლაისტერსი** და მისი მეუღლე, ამერიკელი კალათბურთელი **ბრაიან ლინჩი** სერიოზულად არიან დაკავებული ბავშვთა დახმარების საკითხებით. წყვილმა მონაწილეობა მიიღო ევროპარლამენტის სხდომაში, აგრეთვე უჩვეულო სურათი გადასცა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც ბავშვთა უფლებების საკითხებით არიან დაკავებული.

კიმის ოჯახის საჩუქარი წარმოადგენს სურათს, რომელიც ორი ათასი პატარა ოჯახური ფოტოსგან შედგება. ეს ფოტოები მსოფლიოს ყველა კუთხიდან არის გამოგზავნილი. თავად სურათი „დიდი მეგობრული ოჯახის“ სიმბოლო გახლავთ. ამ საჩუქრით კლაისტერსი მოუწოდებს ევროპარლამენტის წევრებს არ მოდუნდნენ ოჯახის უფლებების დაცვის საკითხებში მუშაობისას.

გარდა ამისა, ამ ღონისძიების ფარგლებში კიმმა მასტერკლასი ჩაუტარა ბავშვებს და ავტოგრაფი მისცა ყველა მსურველს.

# ანა როჯერს ირჩევს

მსოფლიოს კიდევ ერთმა ყოფილმა პირველმა ნომერმა **ანა ივანოვიჩმა** WTA-ის მიერ ორგანიზებულ ბლიცინტერვიუში მიიღო მონაწილეობა. 23 წლის ანას გარკვეული დროის განმავლობაში დაუფიქრებლად უნდა ეპასუხა კითხვებისთვის.

აი, ამ ინტერვიუს ფრაგმენტი:

**- ფორჰენდი თუ ბექჰენდი?**

- ფორჰენდი.

**- პიცა თუ სპაგეტი?**

- სპაგეტი.

**- ლეონარდო დი კაპრიო თუ ჯონი დეპი?**

- ლეონარდო დი კაპრიო.

**- გველები თუ ობობები?**

- გველები.

**- ფეხბურთი თუ კალათბურთი?**

- კალათბურთი.

**- როჯერი თუ რაფა?**

- როჯერი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ანა ივანოვიჩი